# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 3 სექტემბერი 1999 №168 (941) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 2 ლოკომოტივის ექვსი ექსი

რკინიგზელებმა პაოკამდე საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველები მამუკა მაჭავარიანი და ბესიკ ბერაძე დაიმგზავრეს

## 5 დასასრულის დასაწყისი

დღეს აზერბაიჯან-პორტუგალიის მატჩით ევრო 2000-ის შესარჩევი ციკლის გადამწყვეტი ეტაპი იწყება

## 7 რობსონი ნიუკასლშია!



მას ჯანმრთელობაც და ამბიციაც გვარიანი ჰქონია

## 8 რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს



### დავით გობეჯიშვილი

# ბოსკამპს შერისხული შეყილაძე გამოეცხადა



მერაბ რატიშვილი
ლიუბლიანიდან

შინდისფერი ლეგიონის სლოვენიაში გადაფრენა ნამდვილქართულის ნაცვლად გერმანულად დაიწყო: თვითმფრინავი ზუსტად დათქმულ დროს, დილის ათ საათზე აფრინდა და საფრენი ვადის შემდეგ, სამ საათსა და თხუთმეტ წუთში დაეშვა ლიუბლიანაში, „ბრნიკის" აეროპორტში. მგზავრობის დროს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მოგზაურობამ მეტისმეტად მშვიდად, ცოტა არ იყოს, მოსაწყენად ჩაიარა.

მოწყენილი ჩანდა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი. თითქმის არავის ელაპარაკებოდა, ორიოდ სიტყვას თუ გაუცვლიდა ვინმეს და დროს წიგნის კითხვაში კლავდა. მერე კი, თვითმფრინავის მეორე სალონის პირველ რიგში მოკალათებულმა, გემრიელად დაიძინა, ისე, მხოლოდ უმტკიცესი ნერვების პატრონს რომ შეუძლია. მის უკან კი საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები განთავსდნენ, რომელთა რიგებიც გუშინ თბილისშივე ორი კაცით შეივსო: ბოსკამპმა მაინც ჩართო სასლოვენიო შემადგენლობაში თემურ ქეცბაია და არჩილ არველაძე.

ლიუბლიანაში ჩამოსული სავიზო-სასაზღვრო ფორმალობების გამო დანარჩენ ჟურნალისტებთან ერთად ცოტა ხნით საზღვარზე შევყოვნდი. სლოვენიის ტერიტორიაზე შესულს კი პირველი შემეჩეხა... ჩემი ძველი ნაცნობი, ქართველი კაცი, სტამბოლის „ფენერბაჰჩეს" და თურქეთის ნაკრების კალათბურთელი ზაზა ენდენი (ენდელაძე). „ფენერბაჰჩე" ლიუბლიანაში ტურნირზე ყოფილა და შინ მიემგზავრებოდა. ზაზამ შოთა და არჩილ არველაძეები მოიკითხა, მაგრამ ფეხბურთელები ჩვენზე ადრე წავიდნენ. რა გაეწყობა, ტყუპებს მოკითხვა, ჩვენს ბიჭებს კი გამარჯვებაო და დაგვემშვიდობა.

ლიუბლიანის სასტუმრო „ჰოლიდეი ინში" დაბინავებულ ეროვნულ ნაკრებს ერთი წევრი, ისრაელიდან ჩამოსული გოგა გახოკიძე ადგილზე დახვდა, ხოლო ცოტა ხანში ბელგიიდან გელა შეყილაძე გამოეცხადა. შესარისხად გამზადებული შეყილაძის თბილისში ჩამოუსვლელობის მიზეზი გუშინწინდელი „გენკ" — „ლიერსის" სუპერფინალი ყოფილა. შეყილაძემ მთელი მატჩი ითამაშა და მისმა „ლიერსმა" სუპერთასი მოიგო.

ბოსკამპმა ცოტა ხანს მოასვენა გუნდი, მერე კი, აქაური დროით ხუთის ნახევარზე ვარჯიში დანიშნა.

სანამ ნაკრები ისვენებდა, სასტუმროს ჰოლში ვიდექი. უცებ შენობაში გუნდის ფიზმომზადების მწვრთნელი, სრული სპორტული ფორმით აღკაზმული ფრანსუა დე იონგი შემოიჭრა. ამ კაცის სირბილისადმი სიყვარულზე რომ ბევრი გამიგია, ვკითხე, უკვე ირბინეთ-მეთქი. არა, მიპასუხა დე იონგმა, გარეთ ვიყავი და სარბენი ადგილები დავზვერე, ცოტა ხანში ბიჭები უნდა ვავარჯიშოო.

დათქმული დროისთვის ფეხბურთელებმა ვარჯიშზე გასამგზავრებლად ქვემოთ იწყეს დენა. ძირითად ნაწილს გამოეყვნენ ქეცბაია, ნემსაძე, წერეთელი, შეყილაძე და დე იონგის წინამძღოლობით ლიუბლიანის ქუჩებში გაუჩინარდნენ — აი, თურმე, ვისთვის შეურჩევია მარშრუტი ფრანსუა-მორბენალს.

ეროვნული გუნდის ძირითადი ნაწილი კი სასტუმროდან 15 წუთის სავალზე მდებარე რკინიგზის სტადიონს მიადგა. იდეალურ გაზონზე ბოსკამპმა ორ ნაწილად, ცხრა-ცხრად გაჰყო ფეხბურთელები და თხუთმეტი წუთი კვადრატი ათამაშა. ამას მეორე თხუთმეტწუთეული მოჰყვა: დაწყვილებული მოთამაშეები მოედნის ერთი ბოლოდან მეორეში პასებით მირბოდნენ, უკანა გზაზე კი ერთი ბურთს ხელით აგდებდა და მეორე თავურებს ურტყამდა. ამ ვარჯიშებს სამ-ოთხწუთიანი გაწელვა-გაჭიმვები მოჰყვა.

ამის შემდეგ ფეხბურთელთა ნაწილმა წითელი მოსასხამი გადაიცვა, ნაწილმა — ყვითელი და ნახევარ მოედანზე ბურთის ართმევა გაჩაღდა. მეკარეები გვარამაძე და გრიგოლ ჭანტურია ცალკე გაიყვანა მათმა მწვრთნელმა გელა ჭანტურიამ და საგანგებოდ ავარჯიშა. იოჰან-მრისხანე დარიგებებს, ცხადია, იძლეოდა, ოღონდ ნაკლებემოციურად და არც ნამეტანი ბევრს ყვიროდა.

ზემოაღწერილი ინტენსიური ნახევარი საათის შემდეგ ფეხბურთელებმა მოედნის მეორე ნახევარზე გადმოინაცვლეს და თხუთმეტწუთიანი ორკარა ითამაშეს. ამის შემდეგ ბოსკამპმა და მისმა თანაშემწემ გია გეგუჩაძემ ხუთი ფეხბურთელი გამოაცალკევეს. ხუთეული, მარჯვნიდან მარცხნივ, ასე ჩამწკრივდა: ახვლედიანი, დიდავა, ჭიჭვეიშვილი, ცქიტიშვილი. ამათ წინ კი ფართო და ღონიერი ნაბიჯებით კალაძე მიმოდიოდა. ბოსკამპი კარგა ხანს ესაუბრა ამ ხუთეულს და ეჭვი გამიჩნდა, რომ შაბათს საქართველოს ნაკრების დაცვა სწორედ ასე განლაგდება.

ვინ იქნება ამათ წინ, ვერაფერს გეტყვით, რადგან ყველა დანარჩენმა მოთამაშემ საჯარიმოს მიდამოებში მოიყარა თავი და კარში დარტყმებს მიჰყო ხელი. ასე გაილია საათნახევარი და საქართველოს ნაკრებმა ვარჯიში დაასრულა.

და რასა იქმს ამ დროს სლოვენიის ნაკრები? სრეჩკო კატანეცს სადღაც ქალაქგარეთ დაუნიშნავს შეკრება და მისი ნახვა ვერ მოვახერხეთ. სამაგიეროდ, შევიძინე სლოვენიური ყოველდღიური სპორტული გაზეთი „ეკიპა" და შიგ იმისთანები წავიკითხე...

დავიწყოთ სასიამოვნოთი. სლოვენიას არ ეყოლება კაპიტანი დარკო მილანიჩი, საეჭვოა აგრეთვე ჯონი ნოვაკის თამაშიც, მას კოჭი აწუხებს. მიუხედავად ამისა, მარინკო გალიჩი აბსოლუტურად დარწმუნებულია გამარჯვებაში და ამბობს: „ჩვენ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა გვსურს, ამისთვის კი საქართველოს უნდა მოვუგოთ და ამას გავაკეთებთ კიდეც."

მლადენ რუდონია კი ფეხბურთელობას გულთმისნობას უთავსებს და არათუ მატჩის პროგნოზს, საბოლოო ანგარიშს და გოლის ავტორსაც ასახელებს.

მაშ ასე, რუდონიას აზრით, სლოვენია 1:0 მოიგებს, გოლს კი მე-13 წუთზე მილან ოსტერცი გაიტანს. რატომ ოსტერცი და რატომ მაინცდამაინც მე-13 წუთზე, ამას რუდონია არ ამხელს.

# ქალებმა კბილები გამოაჩინეს

## მარტინა ჰინგისი ყველა უილიამსის წინააღმდეგ

US OPEN

*ქარიშხლიანი სამშაბათის მერე ნიუ იორკში, აშშ-ის ღია პირველობაზე საინტერესო ძირითადად პრესკონფერენციებზე ხდებოდა: გორან ივანიშევიჩი ჟურნალისტებს თავისი უცნაურობების შესახებ გაენდო, მარტინა ჰინგისმა კი უილიამსების ოჯახს გამოუცხადა ომი — მაგათ, შვილებსაც და მამასაც, ეტყობა, თავში აუვარდათ, ბევრს და უაზროდ ლაპარაკობენ, ჰგონიათ, ყველა ტურნირის ფავორიტები ევენი არიან და მათი მჯობნი აღარავინააო...*

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



REUTERS ნიუ იორკიდან

მარტინა ჰინგისი

# ექვსი ექსი

„ლინფილდსა“ და ბერძნულ პაოკს შორის რომ გვარიანი სხვაობაა კლასში, თქმა არ უნდა. ჰოდა, ბუნებრივია, ჩრდილოირლანდიური ბარიერის გადამლახავ „ლოკომოტივს“ ერთიორად გაუჭირდება ბიზანტიელებთან ბრძოლა და საამისოდ ამთავითვე მომზადებაც მართებს. რკინიგზელებმა ორიოდე დღის წინ საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრები — ბესიკ ბერაძე და მამუკა მაჭავარიანი დაიმატეს. სხვა საქმეა, რამდენად გამოადგება ეს ორი ფეხბურთელი (ორივე მათგანი ამპლუით მცველია), „ლოკომოტივს“, გუნდს რომელსაც თითქმის ყველა სათამაშო რგოლში დღესდღეობით ბევრი ხარვეზი აქვს. ერთი რამ კი ფაქტია, ექსნაკრებელების გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, რკინიგზელთა ნამატს ურიგო სულაც არ ეთქმის.

ბესიკ ბერაძემ თავისი ბოლოდროინდელი გუნდიდან — ნოვოროსიისკის „ჩკალოვეციდან“ „სამგურალში“ განათხოვრების ნებართვა მიიღო და „ბონაც“ XI ეროვნული ჩემპიონატის წინ წყალტუბოელთა რიგებში ემზადებოდა, მაგრამ იმერელთა მწირმა ბიუჯეტმა ჩკალოველთა მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა და... ბერაძე „ლოკომოტივმა“ საუეფასთასო განაცხადშიც შეიყვანა. რაც შეეხება მაჭავარიანს, მასთან დაკავშირებით წინაალმდეგობას წააწყდნენ — სატრანსფერო საკითხები ბოლომდე ვერ მოგვარდა და იგი მხოლოდ ეროვნულ პირველობაზე თუ გამოადგება ახალ გუნდს.

სხვათა შორის, მაჭავარიან-ბერაძის ჩათვლით „ლოკომოტივში“ ექვსმა ექსნაკრებელმა მოიყარა თავი (ახალწვეულებს გუნდში ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, ბალაშვილი და მეკარე ჯანელიძე დახვდნენ) და ჯერჯერობით რკინიგზული გუნდი მხოლოდ გამოცდილებით თუ იქცევს ყურადღებას, პაოკთან კი მეტი, გაცილებით მეტია საჭირო.

**ბაატა ქვანტალიანი**



ბაჩო კოპალიანის ფოტო

მამუკა მაჭავარიანი

# შეყილაძე ნაკრებს დაეკარგა და სუპერთასი იპოვა

— ორჯერ ვნახე ეს ბიჭი. ბელგიურ ჩემპიონატში მისი გუნდის ბოლო თამაშსაც დავესწარი. მოედანზე შეხვედრის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე შეუშვეს. მივედი, მოველაპარაკე, რომ სასლოვენიოდ ჩამოსულიყო, მაგრამ... იგი არ გამოჩნდა და გაოცებული დავრჩი. მე არ მესმის შეყილაძის მენტალიტეტის. თანაც პრესის საშუალებით გავიგეთ, რომ არ ჩამოვიდოდა — ეს სიტყვები ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა იოჰან ბოსკამპმა დილმის ბაზაზე 1 სექტემბერს მოწყობილ პრესკონფერენციაზე თქვა. კითხვაზე, თუ რა სასჯელი ელოდა შეყილაძეს, ბოსკამპმა უპასუხა, ფედერაცია გადაწყვეტსო.

ამ საუბრის დროს კი ბელგიაში ჩარჩენილი ქართველი მცველი თავის კლუბ „ლიერსთან“ ერთად ქვეყნის სუპერთასის დასაუფლებლად „გენკის“ წინაალმდეგ სათამაშოდ ემზადებოდა. გადამწყვეტი მატჩი მართლაც 1 სექტემბრის საღამოს გაიმართა. ბელგიის ჩემპიონის (გენკი) და თასის მფლობელის (ლიერსი) პაექრობა ჩვენებურის გუნდის გამარჯვებით — 3:1 დასრულდა.

არადა, „ლიერსი“ მდევრის როლში იმყოფებოდა. მე-17 წუთზე გენკელმა პერეირამ გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ ბულგიის თასის მფლობელები დაეუფლნენ უპირატესობას. 35-ე წუთზე კუთხურიდან ჩამოწოდებულზე ჰელმანმა იმარჯვა და ანგარიში გაათანაბრა.



გელა შეყლაძე

ამ გოლში წვლილი გელა შეყილაძესაც მიუძღვისო — იუწყება იქაური სპორტული პრესა. საბოლოო წარმატებას კი „ლიერსმა“ ჰელმანის ნაცვლად მატჩის დამთავრებამდე 13 წუთით ადრე მოედანზე შესული ჰუისეგემსის დუბლის წყალობით მიაღწია. ჰუისეგემსმა 82-ე და 88-ე წუთებზე ორჯერ დალაშქრა „გენკის“ კარი.

აღსანიშნავია, რომ ჩვენებურმა მთელი 90 წუთი დაჰყო მინდორზე.

ასე რომ, ვიდრე ქართული ფეხბურთის მესვეურები ეროვნულ ნაკრებში შეყილაძის გამოუცხადებლობის მიზეზებს იკვლევდნენ, ფეხბურთელი კიდევ ერთი ბელგიური ჯილდოს მოპოვებას ზეიმობდა...

**ხვიჩა სანიკიძე**



მამუკა ტარხნის ფოტო

„ტორპედო“ — „ლანტანა“. გიორგი გოგიაშვილი ესტონელი მცველების გარემოცვაში

# დონ კიხოტი

ჩაწყობილი თამაში და ფეხბურთი, ანაც ფეხბურთი და ჩაწყობილი თამაში. გაჩნდა ფეხბურთი და ჩაწყობილი თამაშიც გაჩნდა. საუკუნეზე მეტია, ეს ორი ცნება განუწყვეტლივ კავშირშია ერთმანეთთან და მოდიან ასე, ერთად — ფეხბურთი და ჩაწყობილი თამაში, ანაც ჩაწყობილი თამაში და ფეხბურთი.

ფეხბურთი ანგელოზს არ მოუგონია, ამიტომაც მარტო სიწმინდეს და სიხარულს ნურავინ მოიძიებს მასში. ფეხბურთი კი საყვარელი ბიჭუნაა, მაგრამ ისეთივე ანცი და ხანდახან მავნეც, როგორც, ჩვეულებრივ, ბიჭუნათა უმრავლესობა.

ფეხბურთს ადამიანები თამაშობენ ფეხბურთელები ჩვეულებრივი მოკვდავები არიან, თავიანთი მიზნებით, ოცნებებით, მისწრაფებებით... ერთისთვის სამუშაოა ფეხბურთი, მეორისთვის გამდიდრების საშუალება, მესამე კატეგორიაც არსებობს ფეხბურთელებისა — მათთვის ფეხბურთი მთელი ცხოვრებაა...

ასეთები ცდილობენ არ შებღალონ თავისი საკეთებელი. შეძლებისდაგვარად, რა თქმა უნდა.

ამჟამად „ტორპედოს“ ნახევარმცველი გიორგი გოგიაშვილიც დაახლოებით მესამე კატეგორიის ფეხბურთელია. და ამით უკვე ბევრი რამ არის ნათქვამი.

„დონ კიხოტი“ დავარქვი ამ წერილს და ვფიქრობ, ცხენიც შეკაზმული მყავს. ჰგავს კი ქარის წისქვილებთან მეომარ კაცს გიორგი? ანაც ფეხბურთში ქარის წისქვილებს რა უნდა... ვისთვის როგორ მე კი გამიხარდა, ქუთაისში რომ გოგიაშვილი მოიყვანეს და სხვისი აბა რა ვიცი.

მისი ბიოგრაფია სხვებისას ჰგავს. ერთი ნიჭიერი ფეხბურთელი ბიჭის ბიოგრაფიაა. ათასები-მეთქი ვერ ვიტყვი და ასეთი ბიჭები აფხაზურ ფეხბურთში ათეულობით ჩნდებიან. მერე ზოგს ხასიათი არ უწყობს ხელს, ზოგს სხვა საქმე გამოუჩნდება და ამ ბევრი ათეულიდან ერთი, ჰა, ჰა ორი ათეული თუ გაჰყვება ბოლომდე ფეხბურთს.

გოგიაშვილზეც ბიჭობაში დაიწყეს საუბარი. გაგრას თავდამსხმელად ნიჭიერი ბიჭი ეზრდებაო. მკითხველო, ყურადღებით, ეს სსრკ ჩემპიონატების დროა. მაშინდელმა საფეხბურთო საქართველომ რომ ვინმეზე დაილაპარაკა, მართლა უნდა ღირდეს... თორემ აიტკივე თავი და ეძიე „დინამოს“, „გურიას“, „ტორპედოს“, ბათუმის „დინამოს“ მიღმა, წარმოიდგინეთ, მეორე ლიგის ათამდე გუნდის მიღმაც, ფეხბურთელი.

მერე კი... მერე სოხუმი: საქართველოს ჩემპიონატი და „ცხუმი“. ჯერჯერობით გიორგი გოგიაშვილი კვლავ თავდამსხმელია, მეგოლე. „ცხუმი“ კი... ო, რა ლამაზი გუნდი იყო „ცხუმი“, ითამაშა ამ ლამაზ გუნდში გიორგიმ ერთი, ორი, სამი სეზონი წარმატებულად. გამორჩეული ფეხბურთელი იყო გუნდისა.

ამის შემდეგ „სამტრედიის“ ჯერია. აფხაზეთი დაიკარგა.

„სამტრედიაში“ ნახევარმცველია გოგიაშვილი. „სამტრედიას“ მის გარეშეც არ უჭირს თავდამსხმელები ერთი ჯანაშია, მეორე, იონანიძე, გოგიჩაიშვილი. თუმცა ნიჭი თავისას შვრება და გიორგი გოგიაშვილი ისეთივე საჭირო კაცია გუნდის შუახაზისთვის, როგორც „ცხუმის“ თავდასხმისთვის იყო თავის დროზე.

ჩაჩუას „სამტრედია“ მეტად ხმამაღალი სიტყვა იყო ქვეყნის მარადი ჩემპიონის, თბილისის „დინამოს“ წინაალმდეგ. მაგრამ მთავარი ის გახლდათ, რომ ითქვა ეს სიტყვა. გასაკეთებელი გაკეთდა. „სამტრედია“ რეალური ვერა, მაგრამ მორალური ჩემპიონი კი გახდა.

„მორალურ ჩემპიონთა“ შორის გიორგი გოგიაშვილი იყო.

მერე „სამტრედია“, ისევე, როგორც ბევრი ერთწლიანი გუნდი საქართველოში, დასუსტდა და ფეხბურთელებიც სხვადასხვა გზას დაადგნენ. „სამტრედიის“ დაშლის პროცესი დაახლოებით ორი სეზონის მანძილზე გრძელდებოდა ნელა, ისევე ნელა, როგორც ერთ დროს „მორალური ჩემპიონი“ „სამტრედია“ ეშვებოდა ქართული სატურნირო ცხრილის ფსკერისკენ.

მახსენდება მომენტი უკვე გვარიანად დაკნინებული „სამტრედიის“ ერთ-ერთი მატჩიდან. დაწვრილებით არ არის სახსენებელი, რიგითი მატჩია, პროზაულად საშუალო მეტოქე. აჩრდილი „სამტრედიისა“ და მისი ფეხმტკივანი ლიდერი გიორგი დარასელია ვერაფერს ახერხებენ. გოლი რაა, ისიც ვერ გაუტანიათ. არადა, „ეროსი მანჯგალაძე“ ნელ-ნელა ასაფეთქებლად ემზადება. დარასელია სულ დადგა. ლიდერს ფეხი სტკივა და ამ დროს მწვრთნელთან (სათადარიგოთა სკამზე) მირბის გახვითქული გოგიაშვილი და მთელი სტადიონის გასაგონად ყვირის — გიორგიჩ, გაიყვანე ძუკუ, ხომ ხედავ, დადგა.

იცის გიორგიმ, რასაც ამბობს, ძუკუსაც ესმის, რას ნიშნავს ეს „დადგა“. მწვრთნელმაც გაიგო. თითქოს უბრალო, არაფრისმქთმელი ფაქტია, მაგრამ ფაქტია, რომ „სამტრედიამ“ მოიგო ის მატჩი.

ასე ერთეულები იქცევიან. არც მოგება, არც წაგება — ამგვარი კომბინაცია გოგიაშვილისთანა ხალხს არ აწყობს და ისინი იბრძვიან, ყვირიან, არ ურიგდებიან.

საფეხბურთო მატჩი ოთხმოცდაათ წუთს გრძელდება და ამ დროის განმავლობაში გოგიაშვილი დონ კიხოტივით მართალია და მეომარი.

მარტო ფეხბურთში, მეტოქესთან, თანაგუნდელებთან როდია მართალი.

ერთი მისი ძველი ინტერვიუ მახსენდება, სოჭში წასვლამდელი. იქ იყო ფეხბურთზე, სხვა რაღაცეებზე საუბარი, ოჯახზეც და გიორგი ამბობს — ფეხბურთი მიყვარს, მასში ბოლომდე ვიხარჯები, მაგრამ არც ჩემი ლტოლვილი ოჯახი — დები, მშობლები მავიწყდებაო.

თითქოს არაფერია, თითქოს უბრალო და აუცილებლად სათქმელ-გასაკეთებელი, მაგრამ აქ მთავარია მოვალეობის შეგნება ოჯახის წინაშე.

ისევე როგორც მოვალეობის შეგნება მაყურებლის წინაშე.

ამ მიდგომიდან კი იმიჯიც — გოგიაშვილი თამაშებს, არ ყიდის. საქართველოში ასეთი რამე ყურს სჭრის, უკვირთ, არ სჯერათ, მაგრამ მე არაფერს ვიბრალებ — ახლობლების წრეში დავით ჯანაშიას ნათქვამს მოგახსენებთ — გამორიცხულია გიორგი გოგიაშვილმა ჩაწყობილი თამაში ითამაშოს.

დავით ჯანაშია კი რა ხანია იცნობს გოგიაშვილს მინდორზეც, მინდვრის გარეთაც. ჰო, მართლა, „სამტრედიაზე“ ვამბობდით. სამტრედიიდან გიორგი გოგიაშვილი სოჭის „ჟემჩუჟინაში“ აღმოჩნდა. სამიოდე სეზონი ითამაშა, რუსეთმაც გაიცნო. არა, გაგარინივით ეროვნულ გმირად არ გაუხდიათ, არც რეკლამა ჰქონია სხვებისდარი (სოჭი პროვინციაა), მაგრამ სკამი არ უხეხია და მისი ჯარიმების სიმწარეც არაერთმა რუსმა მეკარემ იწვნია.

ჯარიმებზეც. მეათე ეროვნულში დიდი „სამტრედიის“ ბოლო წევრ შოთა ჩომახიძეს საუბარში მისეული საჯარიმოები შევუქე — გაიღიმა და — ჩემზე მეტად გიორგი გოგიაშვილის დამსახურებაა, პატარა ვიყავი, დამტოვებდა და ბურთის დატრიალებას მასწავლიდაო.

არ ჩანს დონკიხოტური რაღაცეები? მგონი, კი.

ახლა „ალაზნის“, „შევარდენის“, „სამტრედიის“, „მარგვეთის“ ციცაბოებს „ტორპედოა“ შეჭიდებული, ვგონებ, გაცილებით გამიზნულად. ერთი უპირატესობა აქვს წინამორბედ ჩემპიონობის მაძიებლებთან „ტორპედოს“ — „დინამო“ ის აღარ არის. „ტორპედო“ კი ბევრს (იმ გუნდთაგან) შეეჯიბრება სიძლიერეში. შარშან, უკვე მოსინჯა ევროსარბიელი. წლეულსაც უეფა გაინაღდა და მწვრთნელადაც დავით ყიფიანი მიიწვია.

მაინც, ჩემთვის ვფიქრობდი, რაღაც აკლია „ტორპედოს“. ისევ დავით ჯანაშია — გიორგი გოგიაშვილი რომ გვყავდეს, ჩემპიონობაზე ფიქრიც შეიძლება. გოგი სხვა დონის ფეხბურთელია. საკმარისია, ბურთი მიიღოს და წამიც არ სჭირდება, იცის, სად გადმომაწოდოს პასი. უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის.

ჯანაშია ამ სიტყვებს ზამთრის შეკრებისას ამბობდა. გავიდა ცოტა ხანი და სოჭის „ჟემჩუჟინამ“ გიორგი გოგიაშვილს „ტორპედოში“ წარსადგენად სატრანსფერო ფურცელი მისცა. გიორგი გოგიაშვილი ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელია. მის გვერდით კი „მორალური ჩემპიონები“ — დავით ჯანაშია, ზურაბ იონანიძე, გია ჭანტურია გამოდიან, როგორც ერთ დროს „სამტრედიაში“.

და ვფიქრობ, ეს ის არის, რაც „ტორპედოს“ აკლდა — უტეხი, მეომრული, დონკიხოტური სული.

დავარქვი წერილს „დონ კიხოტი“ და ვფიქრობ, ცხენიც შეკაზმული მყავს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დევიზი: ყველა თანაბარ პირობებში!

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო — ნათქვამია. მეც მჯერა ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის, მწამს, რომ ჟორდანიას გუნდი ქართულ ფეხბურთს ფეხზე წამოაყენებს, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის ზოგიერთი გადაწყვეტილება მართლაც გასაკვირია.

საქმის კეთებას ახლა ვიწყებთ, თქვენი მხარდაჭერა გვჭირდებაო — ესეც ბევრჯერ უთქვამთ ჩვენთვის. პასუხად არაერთხელ ნათქვამს გავიმეორებთ, გვანახეთ საქმე და მხარდაჭერა ჩვენზე იყოს.

ერთ დღეში რომ სოფელი არ შენდება, ესეც ბევრზე უკეთესად ვუწყით. ჩასაფრებულის პოზიციიდანაც არასდროს გამოვდივართ, მაგრამ როცა საქმე აშკარა დარღვევას, ან მიკერძოებას ეხება, იქ გაჩერება გამორიცხულია.

ის, რასაც ქვემოთ მოგახსენებთ, შეიძლება ერთი უმნიშვნელო ამბავი იყოს, მაგრამ ფაქტია, თექვსმეტი პირველჯგუფელიდან მხოლოდ ერთი გამოვიდა დასჯილი, სამი კი უფრო მძიმე დანაშაულისთვის ფედერაციისაგან თავზე ხელგადასმული დარჩა.

გორში, „დილასა“ და თსუ-ს მატჩის მეორე ნახევარში, სტუმართა გუნდის თავკაცმა კოტე დოლიძემ თავისი ნახევარმცველი ადამია სათადარიგო გვაზავათი შეცვალა. ადამია დინჯად გაემართა გასახდელისკენ, ტრიბუნებს რომ მიუახლოვდა, რაღაცით უკმაყოფილო გორელმა მაყურებელმა საშინელი გინება აუტეხა. ვერ მოითმინა ახალგაზრდა ადამიამ და შემგინებელს ხურდაც გვარიანი დაუბრუნა.

ამ თითქოს უმნიშვნელო ინციდენტს რაიმე გართულება არ მოჰყოლია, ის კი არა, ცოტა ხანში ყველას გადაავიწყდა, გარდა მატჩის დელეგატისა. შოთა ხინჩაგაშვილმა მატჩის დამთავრების შემდეგ ადამიას მონაწილის ბარათი დაიტოვა. ძნელი მისახვედრი სულაც არ იყო, რომ ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია არ ასცდებოდა.

ყველამ საკუთარ გულებში ჩავიხედოთ, რომელი ქართველი მოითმენს დედის გინებას, მით უმეტეს, როცა უსაფუძვლოდ და უმიზეზოდ გაგინებენ. მიუხედავად ამისა, ადამიას სხვაგვარად მოქცევა მართებდა. ასეთია ფეხბურთელის ბედი და ვფიქრობთ, შოთა ხინჩაგაშვილიც სწორად მოიქცა, მაგრამ...

მეორე ტურის ქუთაისური მატჩი გავიხსენოთ. აი, რას წერდა „სარბიელი“ 24 აგვისტოს ნომერში:

„ქუთაისელთა მეკარის, გრიგოლ ჭანტურიას საქციელს კი მაინც ვერაფრით გავამართლებთ. მან ჯერ კიდევ პირველი ტაიმის მიწურულს დაუწყო კინკლაობა თანაგუნდელ გოგიაშვილს. ერთ მომენტში დავით ყიფიანმა ორივეს შეცვლა დააპირა, მაგრამ მოკინკლავენი დამშვიდდნენ და მანაც გადაიფიქრა. ბოლოს იყო და, პოლიციელებმა მუჯლუგუნებით გაიყვანეს გასახდელისკენ მეკარე. ჭანტურიამ მაყურებლებთან სიტყვიერი ანგარიშსწორება არ იკმარა და პლასტმასის ჭურჭელიც მოისროლა ტრიბუნაზე.“

„ტორპედო“ — „დილას“ მატჩის დელეგატს, ფეხბურთში ჭიპმოჭრილ და გამობრძმედილ პიროვნებას, ნიკა ამირეჯიბს ჭანტურიას მონაწილის ბარათი არ მოუთხოვია, ეს საკითხი საერთოდ არ გასულა სპორტულ-ტექნიკური კომისიის სხდომაზე.

ახლა ცოტა უფრო წინ წავიწიოთ და 29 აგვისტოს „დინამო“ — „თბილისის“ სკანდალური მატჩი გავიხსენოთ. ბევრმა თავისი თვალით იხილა, რაც იქ მოხდა. იყო გინების კორიანტელი, ფეხბურთელებმაც შემოულაწუნეს ერთმანეთს და ასე შემდეგ.

ის ინციდენტი ფედერაციამ გაარჩია, ერთადერთ დამნაშავედ მატჩის არბიტრი ოთარ გუნთაძე სცნეს და ყველაფერი ამით ამოიწურა. რამდენიმე დინამოელი და თბილისელი მოჯანყე და სიტყვაბილწი ფეხბურთელი არავის გახსენებია. გუნთაძის ზურგზე გადაიარა თავისმა და სხვების ცოდვამაც.

ფეხბურთის ფედერაციაში, ერთ-ერთ თავყრილობაზე, გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ ასეთი რამ თქვა — დავივიწყოთ ყველაფერი, წარსულის წყენაც ქარს გავატანოთ, ერთმანეთს ამოვუდგეთ მხარში ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდო.

თსუ-ს მესვეურები ხედავენ, რომ მარტო მათი ფეხბურთელი დაისაჯა. როგორ გგონიათ, არ ეწყინებოდათ?! ფეხბურთის ფედერაციისთვის ყველა გუნდი ერთნაირია. წეს-კანონიც ყველასთვის ერთი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში კი მხოლოდ თსუ გამოვიდა დაჩაგრული.

იმ სტადიონებსაც რაღაც უნდა მოუხერხოს ფედერაციამ, სადაც სტუმარ გუნდს უმოწყალოდ აგინებენ. ძნელია თამაში, როცა მკვდარ-ცოცხალს არ დაგიყენებს ვიღაც უცხო, რომელიც სტადიონზე, შეიძლება, სულაც შემთხვევითაა მოხვედრილი.

არ არის მსგავსი ფაქტები იშვიათი ჩვენს ჩემპიონატში. ერთი და იგივე დანაშაულისთვის გუნდების ნაწილი ისჯება, სხვები კი დანავარდობენ. მცირე დარღვევები გროვდება და მოუნელებელ ჭირად იქცევა. ამიტომ ფეხბურთის ფედერაცია ვალდებულია, უშეცდომო იყოს. ყველა თანაბარ პირობებში — ამ დევიზით უნდა მუშაობდეს ფედერაცია და წლის ბოლოს მოდავეც ნაკლები ეყოლება.

ორიოდ სიტყვა სატრანსფერო სეზონზეც ვთქვათ. ჩვენში, შეიძლება ითქვას, სატრანსფერო სეზონი არ დახურულა. კერძოდ, უცხოეთიდან დაბრუნებულ ფეხბურთელებს უპრობლემოდ შეუძლიათ, ნებისმიერ დროს საქართველოს ნებისმიერ გუნდში ითამაშონ. ისიც ხომ სინამდვილეა, რომ ქართველები წუთს არ კარგავენ, აღმადაღმა დაიარებიან ამქვეყნად სასურველი კლუბის ძიებაში. ვერავინ გაარკვევს, ითამაშეს სადმე თუ სიარულში დრო უქმად დაკარგეს, დაბრუნდებიან და აქ უპრობლემოდ ხვდებიან გუნდში.

კი მაგრამ, იმ მოთამაშეებმა რაღა დააშავეს, დღეს რომ უკლუბოდ არიან და უცხოეთში სარბიელსაც ვერ მოუცლიათ. ეროვნულ ჩემპიონატში ყურთ თამაში და მხოლოდ ახლა მიაგნეს სასურველ გუნდებს.

ზოგ მათგანს ტრავმა აწუხებდა და თავიდანვე თამაშში შეუშალა ხელი, ზოგს სულაც არ ეფეხბურთებოდა, თავისი გაჭირვება ჰქონდა, ახლა გაახსენდა, რომ ერთ დროს ბურთის გორება ემარჯვებოდა, სამადლოდ, რამდენიმე მიწვევაც აქვს ქართული კლუბებიდან და იანვრამდე მოიცადეო, ეუბნებიან.

თუ ჩავეძიებით, ისეთ ფაქტებსაც მოვიძიებთ, ფედერაციამ გამონაკლისები რომ დაუშვა და ფეხბურთელებს თამაშის უფლება უბოძა.

ისევ გამონაკლისი, ისევ სადაო ამბები. განა არ სჯობს, ან საერთოდ დახურო სატრანსფერო სეზონი, ანაც უცხოეთიდან დაბრუნებულს და აქ მყოფ უკლუბოსაც თანაბრად მისცე თამაშის უფლება. უკლუბოებზე ვიტყოდით, ყველა „მარადონა“ რომ ვერ იქნება, თუ ვინმეს პრეტენზია არა აქვს და ფეხბურთელს არც ერთი კლუბისგან დავალიანება არ ერიცხება, კონტრაქტიც არავისთან აკავშირებს, მაშინ გაუშვი, ითამაშოს, რა თქმა უნდა, მსურველი თუ ჰყავს. მათ ქუჩაში დგომას არ სჯობია, დასაქმდნენ?

**მამუკა ქვანტალიანი**

# ცოდვის ტირილი

საფეხბურთო აღმავლობა იწყებაო საქართველოში, თბილისში იპოვით ისეთ ადგილს, სადაც მსგავსი თეორიებისნაირსახეობებს მოისმენთ. თორმეტგუნდა ჩემპიონატი, კლუბების სათამაშო დონის გათანაბრება, მოთამაშეთა გადანაწილება ჩემპიონატში კონკურენციას გაზრდის, რაც აღმავლობის წინაპირობა გახდებაო.

ერთ დროს შეიძლება ასეც მოხდეს და ზემოჩამოთვლილმა მოვლენებმა არგოს კიდეც ჩვენს დაჩაჩანაკებულ ფეხბურთს, მაგრამ მერწმუნეთ, ამას სულ მცირე, 10-15 წელი დასჭირდება.

მანამდე კი ქართული ფეხბურთი კიდევ კარგა ხანს ივლის უფსკრულის ძირში, სადაც რა ხანია, გადაიჩეხა.

ამის თქმის საფუძველს მეთერთმეტე ეროვნულის განვლილი სამი ტური გვაძლევს. რა მოგვცა ამ სამმა ტურმა?! რა და ორიოდ საინტერესო და დანარჩენი ულიმღამო მატჩი. ის ორიოდ თამაშიც ვერაფრით მიუხლოვდება საშუალო ევროპულს კი არა, უფრო დაბალი დონის შეხვედრებსაც კი.

დავიწყოთ იმით, რომ თითქმის აუტანელი მდგომარეობა გვაქვს ბავშვთა ფეხბურთში. ისეთ მოედნებზე, სადაც ჩვენი ბავშვები ვარჯიშობენ, არ შეიძლება, ნორმალურად განვითარებული მოთამაშე აღიზარდოს. სწორედ ამიტომ ვერ უმატებენ ჩვენი ახალგაზრდები. გარკვეულ ასაკამდე ისინი კვლავ ბავშვებად რჩებიან და ათასში ერთხელ თუ მოხვდებიან რომელიმე შეჯიბრების დასკვნით ეტაპზე. ჯანმაგარ და უკვე დაკაცებულ თანატოლებთან ჭიდილის ძალა აღარ შესწევთ.

ერთხელ ერთმა პატივცემულმა მწვრთნელმა მითხრა, კიდევ არ იცით, რა პირობებში ვმუშაობთ, თორემ ასე არ გაგვიმეტებდითო. შეკრებაზე ჰყოლია იმ მწვრთნელს ახალგაზრდები. თურმე ისინი სადილობისას დანაყრებას ვერ გრძნობდნენ, დაცარიელებულ თეფშებს კი სინანულით აყოლებდნენ თვალს.

— მათმა საცოდაობამ გამათავა კაცი, ბოლმამ დამახრჩო და ლამის ფეხბურთზეც ხელი ავიღეო — ჩიოდა მწვრთნელი. თუ მოზარდს შია და ძალაგამოლეულია, ყოველგვარ კომფორტს მოკლებული მინდორზე ავარჯიშებ, მისგან ფეხბურთელი არაფრით დადგება. ამ სიტყვების დასტურად ყველგან გაიგონებთ, ძალიან ცუდი თაობა მოდისო. ასეა ფოთში, ქუთაისში და თბილისში. ალბათ, სხვაგანაც.

სწორედ იმ ხალხს უნდა გვერდში ამოდგომა, დახმარება და გამხნევება, ვინც საკუთარ ოჯახს აკლებს, თავისი ჯიბიდან მოაქვს ლარები და ბავშვთა ფეხბურთში დებს. სხვაგვარად არაფერი გამოვა, ფეხბურთიც უკანუკან ივლის და ველურ დონეს გაუთანაბრდება.

ახლა კლუბებზეც ვთქვათ. ყოველი მომდევნო წელი ადრინდელზე უარესია ჩვენი გუნდებისთვის. რამდენი შეგიძლიათ დაასახელოთ, სადაც დროულად რიგდება ხელფასები, პრემიებზე რომ არაფერი ვთქვათ. მე თუ მკითხავთ, ასეთი მხოლოდ სამი ვიცი, დანარჩენებს „პოსლეზე“ გადაჰყავთ მოთამაშეები. ფეხბურთელებიც გარბიან ყველგან, ოღონდაც აქაურობას მოშორდნენ, ოღონდაც ოჯახის სარჩენი ფული იშოვონ. ისინი არ ფიქრობენ კლასის ამაღლებაზე, თავის გატანას და გადარჩენაზეა ლაპარაკი.

როგორ მინდორზე თამაშობენ ჩვენი გუნდები? ნუ იტყვით, ბურთი ხნულში უკეთ გაგორდება, ვიდრე ზოგიერთ მათგანზე. სათამაშოდ და სავარჯიშოდ კლუბი რომ ძირითად სარბიელს გაიხდის, ის მინდორი რაში გამოდგება?! არაფერს ვამბობთ გასახდელებზე და საშხაპეებზე.

აქედან გამომდინარე, ჩვენი კლუბების კლასი ვერაფრით ამაღლდება. დონე თანაბრდება და კონკურენციამ იმატაო, რომ გაჰყვირიან, არა მგონია ეს სახეირო იყოს. დონე მართლაც გათანაბრდა, მაგრამ კი არ მოიმატა, არამედ დაეცა. მაგალითისთვის ქვეყნის უცვლელი ჩემპიონი თბილისის „დინამო“ ავიღოთ. საშინელ დღეშია ჩემპიონი, მისი კლასი ისე დაქვეითდა, რომ პირველი ჯგუფის ნებისმიერ გუნდს ძალუძს ტოლ-სწორად გაეჯიბროს. ასეთი კონკურენცია ვერაფრით მოგვცემს სწრაფ ეფექტს, ის კი არა, საკითხავია, საერთოდ იქნება თუ არა წინსვლის წინაპირობა.

დაძაბული მატჩები მოგვიმრავლდაო, ვამბობთ და უამრავ ტექნიკურ წუნზე, რომლის აღმოფხვრაც არსებულ პირობებში თითქმის შეუძლებელია, უსუსტეს ფიზმომზადებაზე არავინ არაფერს ამბობს. იმას რა ჭკუა აქვს, ფეხბურთელი არბენინო, მწვრთნელმა დატვირთვები ფეხბურთელის შესაძლებლობებს უნდა შეუსაბამო. როცა მოთამაშე მშიერია, არ იცი მისი პულსი, არ არეგულირებ წნევას, რა დატვირთვა უნდა მისცე?!

მივადექით მცოდნე სპეციალისტების პრობლემასაც. თუ მართლა გამოცდილი და მცოდნე მწვრთნელი ხარ, მაშინ კლუბში დანიშვნამდე გარკვეული მოთხოვნებიც უნდა წაუყენო ხელმძღვანელებს. უნდა გქონდეს ბაზა, ნორმალური საწვრთნელი პირობები ბაზაზე, აპარატურა სხვადასხვა ჩანაწერების გასარჩევად. აღდგენით ცენტრებზე და სხვა სიკეთეზე ჯერჯერობით ბოლოში ვთქვათ და თვალი დავხუჭოთ.

რამდენი გუნდი გვყავს პირველ ჯგუფში ბაზიანი. ორს გეტყვი, დანარჩენებსაც გაიხსენებდა კაცი, მაგრამ ისინი ისეა გაპარტახებული, რომ მათი არგახსენება გაცილებით უკეთესია.

მწვრთნელები მაინც სიხარულით ღებულობდნენ მიწვევას, ისინი მცირედით კმაყოფილდებიან და თავიდანვე სავალალო შედეგებზე არ ფიქრობენ. ბოლომდე მათაც არ გაემტყუნებათ, უმუშევრობას და ულუკმაპურობას გაურბის მართლაც რომ უმადური პროფესიის ხალხი.

ქართული ფეხბურთის უბედურებაც ის არის, რომ ყველას მწვრთნელი ჰგონია თავი და ჯიუტად თავისას მიერეკება. ფეხბურთი კი ვითარდება, ჩვენ აღმოვჩნდით მხოლოდ ყამირზე.

სანამ კლუბებს ფული არ გაუჩნდებათ, მანამ აღმავლობა არ დაიწყება. ფული კი, ალბათ, დიდი ხანი არ გამოჩნდება. ჩვენთან არც ერთ კლუბში არ არსებობს სამარკეტინგო-კომერციული სამსახური, მოუგვარებელია საკონტრაქტო სისტემა. მხოლოდ გასავალი და არავითარი შემოსავალი. სახელმწიფო კი ფულს არ იძლევა. აქედან გამომდინარე, ქართული ფეხბურთი უძირო ჭაობშია ჩაფლული, საიდანაც ფაქტობრივად გამოსავალი არც არსებობს.

მსაჯებზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. თავი დავანებოთ უწინდელ ცოდვებს და იმის რკვევას, ვინ სად და რატომ აილო და სად შეცდა. ახლანდელზე მოვყვეთ, ძველ არბიტრებს ხომ ახლებიც დაემატნენ, გამოცდებსაც აბარებენ და კუპერებსაც ისე გაირბენენ, თქვენი მოწონებული.

მაინც ცდებიან არბიტრები, ისე რომ მათი შეცდომები ხშირად შეხვედრის საბოლოო შედეგებზეც ახდენს გავლენას. მსაჯიც ადამიანია და შეუმცდარიც ვინლაა ამქვეყნად, მაგრამ თანდაყოლილ შიშს რაღა ეშველება? დარწმუნებული ვარ, მათ შიში თრგუნავთ, რაც შეცდომის დაშვების ალბათობას ერთიორად ზრდის. უცხოეთშიც ცდებიან არბიტრები, ხშირად მიუტევებლადაც, მაგრამ იქაურმა არბიტრმა იცის, რომ შეცდომისთვის ფეხბურთის ფედერაცია (გნებავთ, საფეხბურთო კავშირი, ანაც პროფესიული ლიგა) დისკვალიფიკაციას აკმარებს. იცის, რომ მოსაკლავად, ცხვირ-პირის გასაერთიანებლად არავინ გამოუდგება. დიდი-დიდი მსაჯობას აუკრძალავენ და წავა, სხვა გზას იპოვის.

დაუცველობის პრინციპი აშინებთ ჩვენს არბიტრებს, მაგრამ მაინც მსაჯობენ. შიშით განსჯილი მატჩი კი ვერ ივარგებს. შიშმა გააკეთებინა გუნთაძეს ის, რაც „დინამო“ — „თბილისის“ მატჩისას ჩაიდინა. ვერ დავიჯერებ, რომ ოთარი ისეთი დაბალი დონის მსაჯია, ალექსიძის პენალტიდან დარტყმულში ვერ გარკვეულიყო. შეცდა გუნთაძე და დაისაჯა კიდეც, მაგრამ ვიტყვით, რომ საკმაოდ ლმობიერი გამოდგა ფედერაცია და ნურც გაუკვირდებათ თუ სხვა მსაჯი უარესად შეცდება.

ორი დღის წინ ქალაქში ჭორად დადიოდა, ოთარ გუნთაძეს „თბილისის“ რამდენიმე გულშემატკივარი ფიზიკურად გაუსწორდაო. სისხლი ვადინეთო გუნთაძეს, მოტრაბახეც უნახავთ თურმე. არ ვიცი, რამდენად შეეფერება სიმართლეს, მაგრამ თუ ასე მოხდა, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართული ფეხბურთის უძლურობას და ქვეყნის დაძაბუნებასაც.

ამ ფაქტის გამგონე რომელი მსაჯი გავა მინდორზე გულდამშვიდებული. ალბათ, არც ერთი.

დაძაბული მატჩებია, დონე ამაღლდებაო — დასავლეთ საქართველოში გაიარეთ, რაიონული პირველობის მატჩებს დაესწარით, სადაც ორმოცს მიტანებული კაცები თამაშობენ. სოფელი სოფელს ეჯიბრება და იქ უნდა ნახოთ დაძაბულობა და აზარტი. ისინი თამაშობენ გასართობად, მართალია, გულიანად, მაგრამ პრიმიტიულ ფეხბურთს. არის უდიდესი ვნებათაღელვა და ბედნიერები არიან საათ-ნახევრით მაინც არც არაფრის პრეტენზია გააჩნიათ და დონესაც არ დაგიდევენ.

უსახური ფრეები დონეს ვერ აამაღლებს. სხვა გამოსავალია საძიებელი, ფიქრია საჭირო. იფიქროს ერთმაც და ბევრმაც და გვეშველება. სხვაგვარად ცხვარი კი არა, მამონტიც რომ შევწიროთ ქართული ფეხბურთი, მაინც საცოდავი იქნება.



ბადრი [illegible]ის ფოტო

ეროვნულ ჩემპიონატში არსებულ ნაკლოვანებებს დროულად თუ არ აღმოვფხვრით, მაშინ ვერც საფეხბურთო დონე ამაღლდება და ჩვენი კლუბებიც ცარიელი ტრიბუნების შემყურენი იქნებიან

**მამუკა ქვანტალიანი**

# ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

# სლოვენია თუ ლატვია?

ერთი წლის წინ, 5 სექტემბერს, საქართველოს ნაკრებმა თბილისში ალბანეთი რომ დაამარცხა, თანაჯგუფელთა საკვირაო მატჩებს ლიდერის რანგში ელოდა.

მახსოვს, ოსლოში ლატვიელთა სენსაციური გამარჯვების ამბავი რომ შევიტყვეთ, ქართველთა მწვრთნელ ვლადიმერ გუცაევისთვის მიხარება გვეჩქარებოდა.

— უკვე ვიცი, რეზომ თავად დამირეკა შესვენებაზეც და თამაშის მერეც — უპასუხა გუცაევმა „სარბიელს“.

მაშინ ლატვიელთა მოგება შემთხვევითობად ითვლებოდა და ბოძუაშვილის მიერ საჩვენოდ გაკეთებულ საქმედ აღიქმებოდა. კარგა ხანს ასეც ვფიქრობდით, ვიდრე ლატვიამ ჩვენც არ დაგვამარცხა და მეორე შესარჩევ ჯგუფს სათავეში არ მოექცა.

რევაზ ბოძუაშვილიც თავიდანვე ისე გვაიმედებდა, გეგონებოდათ, ლატვიელთა ერთადერთი დანიშნულება ქართველთა დახმარება, მათთვის ხელის გამართვა იყო. სწორედ ამიტომ რიგაში მარცხმა ქართული ფეხბურთი ტალახში სახით დაანარცხა.

რა გარიგება, რის ხელის გამართვა. ასეთი რამ არც ყოფილა და არც იქნებოდა. საქართველოში ათვალწუნებულმა ბოძუაშვილმა მთელი ეს ლაპარაკი ქართველთა მოსადუნებლად წამოიწყო და, ცხადია, თავისი გაიტანა. ზოგს მისი საქციელი საწყენად დაურჩა, არადა, არც ერთი ნორმალური კაცი მას იმ სიხარულში არ გააწბილებდა, რასაც საქართველოს ნაკრების ძლევისას განიცდიდა.

სწორედ ის ნაკრები, მისი ძირითადი ბირთვი ბოძუაშვილის ხელშია გამოვლილი და რა გასაკვირია, ბოძუაშვილს მათთან გამარჯვება გაჰხარებოდა, ვისაც მისი სამწვრთნელო კვალიფიკაციის ეეჭვებოდა.

გამოხდა ხანი და ლატვიამ ბოძუაშვილის თავკაცობით ისევ გაიხარა. მართალია, ამ გუნდმა რიგაში ჩვენს მეტი ველარავინ დაამარცხა, მაგრამ ათენში ბერძნებს მოუგო, სლოვენიელთა გარდა არც არავისთან წაუგია და ახლა საქართველოს ნაკრებს მთელი 7 ქულით უსწრებს, ჯგუფში კი 11 ქულით მესამე ადგილზეა და მეორეადგილოსან სლოვენიას ორი ქულით ჩამორჩება.

ახლა ლატვიის ბედი ჰკიდია საქართველოზე და არა პირიქით. ერთი სიტყვით, ისე არაა, როგორც ვვარაუდობდით და ეს, ვფიქრობ, კანონზომიერია.

ახლავე ვთქვათ, ჩვენს ჯგუფში პირველი ნორვეგიაა და ბოლოსაც ისვე იქნება. მეორე სლოვენია გახლავთ, მაგრამ მეორეობის შანსი ჯერაც აქვს ლატვიას. დაახლოებით მის დღეშია საბერძნეთიც, თუმცა ლატვიის შანსებთან მისი არაფერია. მით უმეტეს, რომ დარჩენილ სამ ტურში ბერძნები ნორვეგიას და სლოვენიას სტუმრობენ.

ლატვიას შედარებით სუსტი მეტოქეები ჰყავს და მიუხედავად იმისა, რომ ისიც ორჯერ, თან ზედიზედ სტუმრობს ალბანეთს და საქართველოს, იმედგადაწურული არაა. მართლაც, თუ სლოვენიაში შაბათს ქართველები, 9 ოქტომბერს კი ბერძნები იყოჩალებენ, ლატვიის იმედებს ფრთები შეესხმება. ოთხშაბათს სლოვენიელები ოსლოში თამაშობენ და ნორვეგიელებმა არ უნდა წააგონ, თუ სურთ ლიდერობა დაისაკუთრონ. ალბათ, ასეც იქნება — ნორვეგიამ ლიუბლიანაში მოიგო და სლოვენიას შინაც დაამარცხებს.

ბუნდოვანია ჯგუფის ნაბოლარათა — საქართველოს და ალბანეთის ბედი. ორივე გუნდის მიზანია, ცხრილის ფსკერიდან რაც შეიძლება მაღლა აჩოჩდეს და შესარჩევი ტურნირი ისე დაამთავროს.

აქედან გამომდინარე, ჩვენგან ოთხგზის ძლეული ალბანელებისთვის ქართველებთან შეხვედრა ამჯერად ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება. ძველ ჯავრს რომ შევეშვათ, ბოლო ადგილზე მყოფი „არწივეთი“ ჩვენს გადასწრებას ისედაც შეეცდება.

რა იქნება? როგორც ახლა ჩანს, ქართველებს მეტი შანსი აქვთ, ჯგუფში ბოლო ადგილს თავი დააღწიონ. ალბანეთიც და საქართველოც, სავარაუდოდ, ბოლო მატჩზე ახლანდელი ქულათა სხვაობით გავლენ. ასეთ შემთხვევაში ქართველებს ფრეც ხელს აძლევთ. ვნახოთ. ერთი კია, მართალია, ლატვია უბოძუაშვილოდ დარჩა, მაგრამ ეს მატჩი ქართველთათვის საქართველო — ბულგარეთის, ანაც საქართველო — პოლონეთის დარი მაინც იქნება.

ალბათ, ქართველები ყოფილ მოძმეებს დაამარცხებენ და მეორეობა სლოვენიელებს დარჩებათ.

**ვახტანგ ბზიძაძე**



ავთანდილ გუჯაბაშვილის ფოტო

1998 წლის. 10 ოქტომბერი. რიგა. ყაველაშვილი ბლეიდელისთან (№8) საჰაერო დუელისას



სარბიელის არქივიდან

სლოვენიელები ალბანელბთან 2:0 მოგების მერე ქართველებს უმასპინძლებენ



ავთანდილ გუჯაბაშვილის ფოტო

1998 წლის. 10 ოქტომბერი. რიგა. ლატვია — საქართველო 1:0!

## II ჯგუფი

**საქართველო 1:0 ალბანეთი**
1:0 ა. არველაძე (66)

**საბერძნეთი 2:2 ნორვეგია**
0:1 ზაჰოვიჩი (18), 1:1 მახლასი (55), 2:1 ფრანცესკოსი (58), 2:2 ზაჰოვიჩი (72)

**ნორვეგია 1:3 ლატვია**
0:1 პახარსი (11), 1:1 სოლბაკენი (18), 1:2 შტოლცერსი (53), 1:3 ზემლინსკისი (63)

**ლატვია 1:0 საქართველო**
1:0 შტოლცერსი (3)

**სლოვენია 1:2 ნორვეგია**
1:0 ზაჰოვიჩი (24), 1:1 ტ.ა. ფლო (45), 1:2 რეკდალი (80)

**საბერძნეთი 3:0 საქართველო**
1:0 მახლასი (12), 2:0 ლიბეროპულოსი (15), 3:0 უზუნიდისი (36)

**ნორვეგია 2:2 ალბანეთი**
0:1 ბუში (37), 0:2 ტარე (52), 1:2 რეკდალი (81), 2:2 ბერგი (87)

**სლოვენია 1:0 ლატვია**
1:0 უდოვიჩი (86)

**ალბანეთი 0:0 საბერძნეთი**

**საქართველო 1:1 სლოვენია**
1:0 ზ. ჯანაშია (43), 1:1 კნავსი (52)

**საბერძნეთი 0:2 ნორვეგია**
0:1, 0:2 სოლსკიაერი (37, 87)

**ლატვია 0:0 საბერძნეთი**

**საქართველო 1:4 ნორვეგია**
0:1 ივერსენი (16), 0:2 ტ.ა. ფლო (27), 0:3 სოლსკიაერი (35), 0:4 ტ.ა. ფლო (38), 1:4 ზ. ჯანაშია (58)

**ლატვია 0:0 ალბანეთი**

**ნორვეგია 1:0 საქართველო**
1:0 ივერსენი (3)

**ალბანეთი 1:2 ნორვეგია**
0:1 ივერსენი (3), 1:1 ტარე (16), ტ.ა. ფლო (83)

**საქართველო 1:2 საბერძნეთი**
1:0 ქეცბაია (54), 1:1 ფრანცესკოსი (86), 1:2 მახლასი (90)

**ლატვია 1:2 სლოვენია**
1:0 პახარსი (17), 1:1, 1:2 ზაჰოვიჩი (26, 42)

**ალბანეთი 0:1 სლოვენია**
0:1 ზაჰოვიჩი (25)

**საბერძნეთი 1:2 ლატვია**
0:1 ვერსპაკოვსკისი (24), 1:1 ნინიადისი (393), 1:2 ზემლინსკისი (90)

**სლოვენია 2:0 ალბანეთი**
1:0 ზაჰოვიჩი (49), 2:0 ოსტერცი (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 7 | 5 | 1 | 1 | 14:8 | 16 |
| სლოვენია | 7 | 4 | 2 | 1 | 10:6 | 14 |
| ლატვია | 7 | 3 | 2 | 2 | 7:5 | 11 |
| საბერძნეთი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:7 | 9 |
| საქართველო | 7 | 1 | 1 | 5 | 4:12 | 4 |
| ალბანეთი | 7 | 0 | 3 | 4 | 3:8 | 3 |

*04.09 ალბანეთი — ლატვია, ნორვეგია — საბერძნეთი, სლოვენია — საქართველო; 08.09 საქართველო — ლატვია, საბერძნეთი — ალბანეთი, ნორვეგია — სლოვენია; 09.09 ალბანეთი — საქართველო, ლატვია — ნორვეგია, სლოვენია — საბერძნეთი*

## ბომბარდირები

ზაჰოვიჩი (სლოვენია) · 7

# ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები



REUTERS ბიშემ ებიდან

კიგანს იმდენი მოთამაშე დაუშავდა, ლამისაა მინდორზე თვითონ გავიდეს. მისი მთავარი იმედი კი ბექემია

# დასასრულის დასაწყისი

*დღეს აზერბაიჯან — პორტუგალიის მატჩით ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის საშემოდგომო, გადამწყვეტი ეტაპი დაიწყება. სწორედ სექტემბერ-ოქტომბრის შეხვედრები გაარკვევს იმ 9 გუნდს, რომლებიც ფინალურ ეტაპზე პირდაპირ მოხვდებიან. შევახსენებთ, რომ სამი ფინალისტი უკვე ცნობილია. ესენი არიან მასპინძლები — ბელგია და ჰოლანდია, აგრეთვე მეცხრე ჯგუფის ვადამდე გამარჯვებული ჩეხეთის ნაკრები. დანარჩენი რვა ჯგუფის მომგებებს დამატებული ერთი საუკეთესო მეორეადგილოსანი ფინალური ეტაპის საგზურებს ზოგადად 10 ოქტომბრისთვის გაიფორმებენ (ამ დღეს მთავრდება ჯგუფური ეტაპი). დარჩენილი რვა მეორე კი კენჭისყრით ოთხ წყვილად განაწილდებიან და პლეი ოფის სისტემით კიდევ ოთხ ფინალისტს გაარკვევენ. წყვილებში პირველი მატჩები 13-14 ნოემბერს, საპასუხო კი 17 ნოემბერს გაიმართება.*

*საუკეთესო მეორე გუნდად ის გამოცხადდება, ვისაც თავის ჯგუფში პირველ, მესამე და მეოთხე ადგილზე გასულებთან ყველაზე მეტი ქულა ექნება მოგროვილი. ქულების თანაბრობის შემთხვევაში, პირველ რიგში ბურთების სხვაობას, შემდეგ კი იმავე (1,3,4) გუნდებთან გატანილი გოლების რაოდენობას გაითვალისწინებენ.*

*საკუთრივ ჯგუფებში ადგილების განაწილებისას ყველა მატჩში მოგროვილ ქულებს ჩათვლიან. აქაც, ქულათა თანაბრობის დროს, ჯერ ბურთების სხვაობას მიანიჭებენ უპირატესობას, მერე პირად შეხვედრებს.*

## I ჯგუფი

გამარჯვებული აქ უკვე მომავალ ოთხშაბათს შეიძლება გაირკვეს. თუ იტალიამ დანიას მოუგო, მისი დამწევი აღარავინ იქნება. შაბათს კი ორივე თამაში საინტერესოა. მათი შედეგები დიდად განსაზღვრავს მეორეადგილოსნის ბედს. მთავარი დანია — შვეიცარიის დუელია. თუმცა არც ბელარუს — უელსს აქვს ნაკლები მნიშვნელობა. უელსის ნაკრების ბედი სწორედ მინსკში გაირკვევა. ბრიტანელებს მეორეზე გასვლის თეორიული შანსები ჯერ კიდევ შემორჩენიათ და თუ მოიგეს, მით უმეტეს, რომ ბელარუსებს ტრავმებისა და დისკვალიფიკაციის გამო ძირითადის ხუთი ფეხბურთელი დააკლდებათ, მერე ვინ იცის...

## III ჯგუფი

შაბათს გერმანია ფინეთს სტუმრობს და ზაფხულში კონფედერაციათა თასზე ნაწვნევი სირცხვილის ჩამორეცხვას შეეცდება. ნაკრების მწვრთნელ ერიხ რიბეკს ჰელსინკიში რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი არ ეყოლება. „ბაიერნის“ მეკარე ოლივერ კანი შეუძლოდაა, ბუნდესლიგის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირს, „ჰერტას“ ფორვარდ მიხაელ პრეეცსა და „ლივერპულის“ დიტმარ ჰამანს ტრავმები აწუხებთ. სამაგიეროდ, თითქმის წელიწადნახევრიანი შესვენების შემდეგ ბუნდესნაკრებში კვლავ გამოჩნდება „მიდლსბროს“ კრისტიან ციგე, რომელმაც პრემიერლიგის პირველ ტურებში ჩინებულად წარმოაჩინა თავი. ხოლო უბერებელი ლოთარ მათეუსისთვის ეს 140-ე სანაკრებო მატჩი იქნება და მას ცოტაღა დარჩება შვედი მეკარის ტომას რაველის რეკორდის მოხსნამდე. წესით, გერმანელებს პირველობა არ უნდა გაუჭირდეთ. დარჩენილი სამი მატჩიდან ორს შინ თამაშობენ, თანაც ბოლო ტურში უშუალო კონკურენტ თურქეთს მასპინძლობენ, რომელთანაც შარშან ოქტომბერში სენსაციურად დამარცხდნენ (0:1). ბუნდესნაკრები, ცხადია, რევანშის აღებას შეეცდება, მაგრამ ახლა რიბეკი მხოლოდ უახლოეს შეხვედრებზე ფიქრობს ფინეთთან და ოთხ დღეში ჩრდილოეთ ირლანდიასთან რომ უნდა ითამაშონ: „რთული ამოცანის წინაშე ვდგავართ, მაგრამ ორივე მატჩი აუცილებლად უნდა მოვიგოთ“ — ამბობს რიბეკი.

## IV ჯგუფი

შაბათის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი კიევში გაიმართება. ჯგუფის ლიდერი უკრაინა მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთს უმასპინძლებს. უკრაინამ, რომელმაც ჩინებულად დაიწყო შესარჩევი ციკლი, ბოლო ოთხი თამაშიდან სამი ფრედ დაამთავრა და ახლა ფრანგებს თუ ვერ მოუგო, ეგებ პლეი ოფშიც ვერ მოხვდეს. ამის თქმის საბაბს დარჩენილი შეხვედრების კალენდარი გვაძლევს. მეტოქეთა პირველ მატჩში, რომელიც „სტად დე ფრანსზე“ გაიმართა, გოლი არ გასულა, თუმცა, უკრაინელები უკეთ გამოიყურებოდნენ და რომ არა ფრანგთა მეკარე ბარტეზის მოხერხება და დაბნეული შევჩენკო, იქნებ მოეგოთ კიდეც.

საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა როჟე ლემერმა კლერფონტენის საწვრთნელ ბაზაზე ყოფნისას თავის ფეხბურთელებს შარშანდელი ტრიუმფი გაახსენა და საჩემპიონო სულის აღორძინებისკენ მოუწოდა.

სავარაუდოა, რომ კიევში ზინედინ ზიდანი და ნიკოლა ანელკა ითამაშებენ. „არსენალიდან“ „რეალში“ სკანდალური გადასვლის გამო ანელკამ ფრანგთა ბოლო ამხანაგური მატჩი გამოტოვა ბელფასტში, ჩრდილოირლანდიელების წინააღმდეგ. ზიდანმა ხუთი თამაში გააცდინა, ოთხი ოფიციალური და ერთიც ამხანაგური იმავე ბელფასტში. ახლა „ზიზუმ“ ტრავმა მოიშუშა და როგორც „იუვენტუსის“ ბოლო მატჩებმა გვიჩვენა, ნელ-ნელა ჩვეულ ფორმას იბრუნებს. არადა, ანელკას განსაკუთრებით სჭირდება ზიდანი. სწორედ „ზიზუს“ პასებით გაიტანა მან სამივე სანაკრებო გოლი. პირველი მოსკოვში, შარშან ოქტომბერში, როცა ჩემპიონებმა რუსებს 3:2 მოუგეს, შემდეგი ორი კი თებერვალში „უემბლიზე“ ინგლისელების კარში. „ისეთი წინათგრძნობა მაქვს, ანელკა აუცილებლად გაიტანს კიევში — ამბობს მისი თანაგუნდელი კრისტიან კარამბე, რომელიც ნაკრებში „არსენალის“ დაშავებული ნახევარმცველის ემანუელ პეტის ნაცვლად მიიწვიეს — მართალია, მადრიდში ის თეთრ ცხენზე ამხედრებული არ შესულა, მაგრამ არა უშავს. ნიკოლას გარემოსთან შესაგუებლად დრო სჭირდება. თავად ანელკა უფრო თავშეკავებულია: „ჯერ საჭირო ფორმაში ვერ ვარ და არ ვიცი, შაბათისთვის რა მდგომარეობაში ვიქნები. მანქანა ხომ არ ვარ, ადამიანი გახლავართ. ისე კი, თავს ჩინებულად ვგრძნობ“ — განაცხადა ანელკამ კიევში ჩასვლისას.

ლემერი ამბობს, რომ უკრაინელთა დამარცხებას მწვავე ფლანგური თამაშით შეეცდება: „უპირატესობას იმათ მივანიჭებ, ვისაც ორივე ფრთაზე კარგად თამაში ხელეწიფება“ — ამბობს ლემერი. ფრანგი ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ ეს ზიდანის მარცხნივ და ჯორკაეფის მარჯვნივ დაყენებას უნდა ნიშნავდეს.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში რუსები სომხებს მასპინძლობენ. თავიდან თითქოს განწირულმა რუსეთმა წლეულს გამართული ოთხივე შესარჩევი მატჩი მოიგო და ახლა პირველობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. რომანცევი სომხებთან, ცხადია, უეჭველ გამარჯვებას გეგმავს. რუსები ტარასოვკის საწვრთნელ ბაზაზე ემზადებიან. რომანცევს ორი მოთამაშის ბედი აწუხებს. „სპარტაკის“ ანდრეი ტიხონოვსა და „ოვიედოს“ ვიქტორ ონოპკოს ტრავმები აწუხებთ. თუმც მწვრთნელი ამბობს, რომ ექიმები ყველაფერს გააკეთებენ საშაბათოდ მათი მომჯობინებისთვის.

## V ჯგუფი

უახლოეს კვირაში ინგლისელების ბედი გადაწყდება. შაბათს ისინი ლუქსემბურგს მასპინძლობენ, ოთხშაბათს კი ვარშავაში პოლონელებს ესტუმრებიან. მწვრთნელ კევინ კიგანს ბოლო დღეებში უამრავი თავსატეხი გაუჩნდა, რომლებიც ფეხბურთელების ტრავმებთანაა დაკავშირებული. დევიდ სიმენის, დარენ ანდერტონისა და რიო ფერდინანდის შემდეგ „ტოტენჰემის“ მცველი სოლ კემპბელი ძირითადის მეოთხე ფეხბურთელი გახდა, რომელიც ორივე თამაშს გამოტოვებს. კემპბელი კიგანს, ეტყობა განსაკუთრებით სჭირდებოდა, ამიტომ, როცა შეატყობინეს მცველი ტრავმირებულიაო, მან ფეხბურთელი მაინც გამოიძახა ბიშემ ებიში, საწვრთნელ ბაზაზე, რათა დამატებითი გამოკვლევა ჩაეტარებინათ. „ისე ნუ გამიგებთ, თითქოს „ტოტენჰემის“ ექიმებისა არ მჯეროდეს — ამბობს კიგანი — უბრალოდ, ძალიან მინდოდა კემპბელს ეთამაშა. ეს ორი მატჩი ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია და ორივეში აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ. სიტუაცია ისეთია, ყველა ფეხბურთელმა დიდი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს.“

გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ ტრავმების მიზეზით ლუქსემბურგთან ვერ ითამაშებენ ლივერპულელი ჯეიმი რედნეპი, ჩელსელი კრის სატონი.

შესაძლოა, კიგანის ნუგეში მომჯობინებული მაიკლ ოუენი იყოს, მაგრამ დიდი ხნის უთამაშებელმა ოუენმა გასულ უქმეებზე მხოლოდ სამი წუთი დაჰყო „ლივერპულის“ შემადგენლობაში და საეჭვოა, სანაკრებოდ მზად იყოს.

## VI ჯგუფი

თუ შაბათს ავსტრიამ ესპანეთს ვერ მოუგო, 10 ოქტომბრის უკანასკნელ მატჩს კვიპროსთან პრაქტიკულად აზრი აღარ ექნება. მისი კონკურენტი ხომ ბოლო დროს ერთობ მომძლავრებული ისრაელის ნაკრებია. თავის მხრივ, ებრაელებს ორი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა ელით ხუთ დღეში. კვირას ისინი ლიმასოლში კვიპროსს ეწვევიან. გუნდს, რომელმაც ზუსტად ერთი წლის წინ აშკარა ფავორიტი, ესპანეთი გაამწარა (3:2), თანაც აღთქმული მიწის შვილებს არცთუ იოლად გამოსდით კვიპროსელებთან თამაში. ასე, მაგალითად, 1996 წელს კვიპროსელებმა 2:0 მოუგეს ებრაელებს. ოთხშაბათს ისრაელელები სან მარინოს მიიღებენ და თუ ორივე მატჩში გაიმარჯვეს, ევროპაზე მოხვედრის არნახული შანსი მიეცემათ.

## VII ჯგუფი

დღეს ჯგუფის ერთ-ერთი აუტსაიდერი, აზერბაიჯანი ბაქოში, პორტუგალიას მიიღებს. ამ მატჩის შედეგი, ალბათ, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს. საინტერესოა, რომ აზერბაიჯანელთა მთავარი მწვრთნელის, ახმედ ალესკეროვის მიერ საამმატჩოდ გამოძახებული 18 ფეხბურთელიდან 11 ქვეყნის თასის მფლობელის, ბაქოს „ნეფთჩის“ წარმომადგენელია.

რუმინეთი ხვალ სლოვაკეთს ეწვევა. ოთხშაბათს კი მთავარი მატჩი გაიმართება. რუმინელები პორტუგალიელებს უმასპინძლებენ და ალბათ სწორედ იქ გაირკვევა ჯგუფის გამარჯვებულის ვინაობა. შევახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი შეხვედრა შარშან ოქტომბერში რუმინელებმა მოიგეს (1:0). უახლოეს მატჩებს მათ რიგებში თურქული „გალათასარაის“ ორი ვარსკვლავი — გეორგე ჰაჯი და გეორგე პოპესკუც ითამაშებენ, რაც მწვრთნელ ვიქტორ პიცურკას ოპტიმიზმის საფუძველს აძლევს.

## VIII ჯგუფი

გასულ ოთხშაბათს დუბლინში დამარცხებამ იუგოსლავიელებს ერთობ გაურთულა ამოცანა. შაბათს კი უმნიშვნელოვანესი მატჩია. ხორვატია ირლანდიას მასპინძლობს და პირველადგილოსნის ბედიც, შესაძლოა, ამ შეხვედრამ გაარკვიოს. ირლანდიელებს პრობლემები შეექმნათ. იუგოსლავიელებთან შეხვედრაში ტრავმები მიიღეს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელებმა — როი კინმა და დენის ირვინმა. ისინი არც ხორვატებთან ითამაშებენ და არც 8 სექტემბერს მალტასთან. უფრო მეტიც, კინი ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩსაც გამოტოვებს ზაგრების „კროაციასთან“.

ირალნდიური მედიის ცნობით, კინს ბარძაყის კუნთი აქვს დაზიანებული, ხოლო ირვინს აქილევსის მყესი დაშავებია. ნაკრების მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ მათ მაგიერ „სტოკის“ გრემ კავანაფი და „იფსვიჩის“ მეტ ჰოლანდი გამოიძახა.

## IX ჯგუფი

აქ გამარჯვებული ცნობილია. ჩეხებმა შვიდივე მატჩი მოიგეს და ევრო 2000-ის საგზური ვადამდე მოიპოვეს. 4 სექტემბერს კი ბოსნია — შოტლანდიის შეხვედრა მეორეადგილოსნის გარკვევაში დიდ როლს ითამაშებს. გუშინ გლაზგოდან ერთი საინტერესო ცნობა მოვიდა. ბოსნიასთან სათამაშოდ მომზადებულ სქოთთა შორის სამი ცნობილი გვარი გამოჩნდა: დალგლიში, ჯორდანი და სტრაჩანი. მაგრამ ესენი არ არიან ჯო ჯორდანი, კენი დალგლიში და გორდონ სტრაჩანი. ესენი ხსენებული ვარსკვლავების ვაჟები გახლავან: ენდრიუ ჯორდანი, პოლ დალგლიში და გევინ სტრაჩანი. ეს ბიჭები შოტლანდიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრები არიან და დღეს ბოსნიელ თანატოლებს დაუპირისპირდებიან. სქოთთა მთავარი მწვრთნელის, კრეიგ ბრაუნის თქმით კი, მათი მონდომების შემხედვარე, გამორიცხული არაა, ცოტა ხანში ეროვნულ გუნდშიც აღმოჩნდნენ.

**სოლომონ გულისაშვილი**

# ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

## I ჯგუფი

**ბელარუსი 0:0 დანია**

**უელსი 0:2 იტალია**

0:1 ფუზერი (19), 0:2 ვიერი (77)

**დანია 1:2 უელსი**

1:0 ფრედერიქსენი (57), 1:1 უილიამსი (58), 1:2 ბელემი (87)

**იტალია 2:0 შვეიცარია**

1:0, 2:0 დელ პიერო (18, 62)

**შვეიცარია 1:1 დანია**

1:0 შაპუიზა (11), 1:1 ტობიასენი (88)

**უელსი 3:2 ბელარუსი**

1:0 რობინსონი (15), 1:1 გურენკო (22), 1:2 ბელკევიჩი (50), 2:2 კოულმენი (55), 3:2 საიმონსი (80)

**ბელარუსი 0:1 შვეიცარია**

0:1 ფურნიე (72)

**დანია 1:2 იტალია**

0:1 ინძაგი (1), 1:1 სანდი (11), 1:2 კონტე (68)

**იტალია 1:1 ბელარუსი**

0:1 ბელკევიჩი (25), 1:1 ინძაგი (32)

**შვეიცარია 2:0 უელსი**

1:0, 2:0 შაპუიზა (4, 70)

**დანია 1:0 ბელარუსი**

1:0 ჰაინცე (22)

**იტალია 4:0 უელსი**

1:0 ვიერი (7), 2:0 ინძაგი (37), 3:0 მალდინი (40), 4:0 კიეზა (89)

**შვეიცარია 0:0 იტალია**

**უელსი 0:2 დანია**

0:1 ტომასონი (84), 0:2 ტოფტინგი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 4 | 2 | 0 | 11:2 | 14 |
| დანია | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 8 |
| შვეიცარია | 5 | 2 | 2 | 1 | 4:3 | 8 |
| უელსი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:13 | 6 |
| ბელარუსი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:6 | 2 |

*4.09 ბელარუსი — უელსი, დანია — შვეიცარია; 8.09 იტალია — დანია, შვეიცარია — ბელარუსი; 9.10 ბელარუსი — იტალია, უელსი — შვეიცარია*

## III ჯგუფი

**ფინეთი 3:2 მოლდოვა**

1:0 კოლკა (8), 1:1, 1:2 ოპრეა (10, 12), 2:2 იოჰანსონი (44), 3:2 პაატელაინენი (63)

**თურქეთი 3:0 ჩრდ. ირლანდია**

1:0 დერილოღლუ (18), 2:0 ჰავუტჯუ (50), 3:0 დერილოღლუ (58)

**ჩრდ. ირლანდია 1:0 ფინეთი**

1:0 როულენდი (36)

**თურქეთი 1:0 გერმანია**

1:0 ჰაკანი (70)

**მოლდოვა 1:3 გერმანია**

1:0 გუზუნი (6), 1:1, 1:2 კირსტენი (19, 35), 1:3 ბირჰოფი (38)

**თურქეთი 1:3 ფინეთი**

0:1 პაატელაინენი (5), 0:2 იოჰანსონი (51), 1:2 თემიზქანოღლუ (74), 1:3 ლიტმანენი (90)

**ჩრდ. ირლანდია 2:2 მოლდოვა**

0:1 გაიდამაშჩუკი (22), 1:1 დოუი (49), 1:2 ტესტიმიციანუ (56), 2:2 ლენონი (63)

**ჩრდ. ირლანდია 0:3 გერმანია**

0:1, 0:2 ბოდე (19, 43), 0:3 ჰამანი (62)

**თურქეთი 2:0 მოლდოვა**

1:0 ჰაკანი (35), 2:0 იალჩინი (90)

**გერმანია 2:0 ფინეთი**

1:0 იერემისი (31), 2:0 ნოივილი (36)

**მოლდოვა 0:0 ჩრდ. ირლანდია**

**გერმანია 6:1 მოლდოვა**

1:0 ბირჰოფი (2), 2:0 კირსტენი (26), 3:0 ბოდე (37), 4:0 ბირჰოფი (56), 5:0 შოლი (70), 5:1 შიშკინი (75), 6:1 ბირჰოფი (82)

**ფინეთი 2:4 თურქეთი**

1:0 ტიჰინენი (10), 2:0 პაატელაინენი (14), 2:1 ჰავუტჯუ (25), 2:2 ჰაკანი (34), 2:3 ჰავუტჯუ (84), 2:4 ჰაკანი (87)

**მოლდოვა 0:0 ფინეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:5 | 12 |
| გერმანია | 5 | 4 | 0 | 1 | 14:3 | 12 |
| ფინეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:10 | 7 |
| ჩრდ. ირლანდია | 5 | 1 | 2 | 2 | 3:8 | 5 |
| მოლდოვა | 7 | 0 | 3 | 4 | 6:16 | 3 |

*4.09 ფინეთი — გერმანია, ჩრდ. ირლანდია — თურქეთი; 8.09 გერმანია — ჩრდ. ირლანდია, მოლდოვა — თურქეთი; 9.10 ფინეთი — ჩრდ. ირლანდია, გერმანია — თურქეთი*

## IV ჯგუფი

**სომხეთი 3:1 ანდორა**

1:0 ავალიანი (40), 2:0 იესაიანი (72), 2:1 ლუჩენდო პერედია (85), 3:1 იესაიანი (90)

**ისლანდია 1:1 საფრანგეთი**

1:0 დადასონი (32), 1:1 დიუგარი (35)

**უკრაინა 3:2 რუსეთი**

1:0 პოპოვი (14), 2:0 სკაჩენკო (24), 2:1 ვარლამოვი (67), 3:1 რებროვი (74), 3:2 ონოპკო (88)

**ანდორა 0:2 უკრაინა**

0:1 კოსოვსკი (31), 0:2 რებროვი (44)

**სომხეთი 0:0 ისლანდია**

**რუსეთი 2:3 საფრანგეთი**

0:1 ანელკა (13), 0:2 პირესი (28), 1:2 იანოვსკი (45), 2:2 მოსტოვოი (55), 2:3 ბოღოსიანი (81)

**საფრანგეთი 2:0 ანდორა**

1:0 კანდელა (54), 2:0 ჟორკაეფი (59)

**ისლანდია 1:0 რუსეთი**

1:0 კოვტუნი (87ს.კ)

**უკრაინა 2:0 სომხეთი**

1:0 სკაჩენკო (31), 2:0 გუსინი (80)

**ანდორა 0:2 ისლანდია**

0:1 სვერისონი (57), 0:2 ადოლფსონი (66)

**სომხეთი 0:3 რუსეთი**

0:1, 0:2 კარპინი (7, 63), 0:3 ბესჩასტნიხი (90)

**საფრანგეთი 0:0 უკრაინა**

**საფრანგეთი 2:0 სომხეთი**

1:0 ვილტორდი (2), 2:0 დიუგარი (45)

**რუსეთი 6:1 ანდორა**

1:0 ტიტოვი (8), 2:0 ბესჩასტნიხი (13), 3:0 ონოპკო (43), 4:0 ციმბალარი (50), 5:0 ბესჩასტნიხი (63), 5:1 გონსალეს არკესი (73), 6:1 ალეინიჩევი (89)

**უკრაინა 1:1 ისლანდია**

1:0 ვაშჩუკი (59), 1:1 სიგურდსონი (66)

**საფრანგეთი 2:3 რუსეთი**

0:1 პანოვი (37), 1:1 პეტი (47), 2:1 ვილტორდი (53), 2:2 პანოვი (74), 2:3 კარპინი (86)

**ისლანდია 2:0 სომხეთი**

1:0 დადასონი (31), 2:0 კრისტიანსონი (46)

**უკრაინა 4:0 ანდორა**

1:0 პოპოვი (36), 2:0 რებროვი (41), 3:0 დმიტრულინი (56), 4:0 გუსინი (87)

**ანდორა 0:1 საფრანგეთი**

0:1 ლებეფი (85)

**სომხეთი 0:0 უკრაინა**

**რუსეთი 1:0 ისლანდია**

1:0 კარპინი (44)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 7 | 4 | 3 | 0 | 12:3 | 15 |
| საფრანგეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 11:6 | 14 |
| რუსეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 17:10 | 12 |
| ისლანდია | 7 | 3 | 3 | 1 | 7:3 | 12 |
| სომხეთი | 7 | 1 | 2 | 4 | 3:10 | 5 |
| ანდორა | 7 | 0 | 0 | 7 | 2:20 | 0 |

*04.09 ისლანდია — ანდორა, რუსეთი — სომხეთი, უკრაინა — საფრანგეთი; 08.09 ანდორა — რუსეთი, სომხეთი — საფრანგეთი, ისლანდია — უკრაინა; 09.10 ანდორა — სომხეთი, საფრანგეთი — ისლანდია, რუსეთი — უკრაინა;*

## V ჯგუფი

**შვედეთი 2:1 ინგლისი**

0:1 შირერი (1), 1:1 ანდერსონი (30), 2:1 მიალბი (32)

**ბულგარეთი 0:3 პოლონეთი**

0:1 ჰაიტო (19), 0:2 სვერჩევსკი (44), 0:3 ივანი (48)

**ინგლისი 0:0 ბულგარეთი**

**პოლონეთი 3:0 ლუქსემბურგი**

1:0 ბრჟეჩეკი (18), 2:0 იუსკოვიაკი (33), 3:0 ტრჟეჩიაკი (65)

**ბულგარეთი 0:1 შვედეთი**

0:1 ლარსონი (62)

**ლუქსემბურგი 0:3 ინგლისი**

0:1 ოუენი (18), 0:2 შირერი (38), 0:3 საუთგეიტი (88)

**ინგლისი 3:1 პოლონეთი**

1:0, 2:0 სქოულზი (12, 22), 2:1 ბრჟეჩეკი (28), 3:1 სქოულზი (70)

**შვედეთი 2:0 ლუქსემბურგი**

1:0 მიალბი (35), 2:0 ლარსონი (86)

**ლუქსემბურგი 0:2 ბულგარეთი**

0:1 სტოიჩკოვი (17), 0:2 იორდანოვი (38)

**პოლონეთი 0:1 შვედეთი**

0:1 ლიუნგბერგი (36)

**პოლონეთი 2:0 ბულგარეთი**

1:0 ჰაიტო (15), 2:0 ივანი (61)

**ინგლისი 0:0 შვედეთი**

**ბულგარეთი 1:1 ინგლისი**

0:1 შირერი (14), 1:1 მარკოვი (17)

**ლუქსემბურგი 2:3 პოლონეთი**

0:1 სიადაჩკა (22), 0:2 ვიშნიარეკი (45), 0:3 ივანი (68), 1:3 ბირსენსი (76), 2:3 ვანეკი (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 6:1 | 13 |
| პოლონეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 12:6 | 12 |
| ინგლისი | 6 | 2 | 3 | 1 | 8:4 | 9 |
| ბულგარეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:7 | 5 |
| ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:13 | 0 |

*4.09 ინგლისი — ლუქსემბურგი, შვედეთი — ბულგარეთი; 8.09 ლუქსემბურგი — შვედეთი, პოლონეთი — ინგლისი; 9.10 შვედეთი — პოლონეთი; 10.10 ბულგარეთი — ლუქსემბურგი;*

## VI ჯგუფი

**ავსტრია 1:1 ისრაელი**

1:0 რაინმაიერი (7), 1:1 ნიმნი (68)

**კვიპროსი 3:2 ესპანეთი**

1:0 ენგომიტისი (43), 2:0 გოგიჩი (49), 2:1 რაული (73), 3:1 სპოლიარიჩი (77), 3:2 მორიენტესი (80)

**კვიპროსი 0:3 ავსტრია**

0:1, 0:2 ჩერნი (55, 61), 0:3 რაინმაიერი (74)

**სან მარინო 0:5 ისრაელი**

0:1 რევივო (16), 0:2 ნიმნი (18), 0:3 მიზრახი (32), 0:4 ბენადო (58), 0:5 გრაევი (83)

**ისრაელი 1:2 ესპანეთი**

1:0 ჰასანი (64), 1:1 მორიენტესი (65), 1:2 ეჩებერია (78)

**სან მარინო 1:4 ავსტრია**

0:1 ვასტიჩი (58), 0:2 მაირლები (64), 0:3 ჰიდენი (69), 0:4 გლიდერი (76), 1:4 სელვა (81)

**სან მარინო 0:1 კვიპროსი**

0:1 სპოლიარიჩი (40)

**კვიპროსი 4:0 სან მარინო**

1:0 მელანარკიტისი (18), 2:0, 3:0 კონსტანტინუ (32, 45), 4:0 ხრისტოდულუ (90)

**ესპანეთი 9:0 ავსტრია**

1:0, 2:0 რაული (7, 17), 3:0 ურსაისი (30), 4:0 მორიენტესი (35), 5:0 ურსაისი (45), 6:0, 7:0 რაული (48, 74), 8:0 ურსაისი (77), 9:0 ფრანი (84)

**ისრაელი 3:0 კვიპროსი**

1:0 ბანინი (11), 2:0, 3:0 მიზრახი (48, 52)

**სან მარინო 0:6 ესპანეთი**

0:1 ფრანი (21), 0:2 რაული (45), 0:3 ურსაისი (50), 0:4, 0:5 რაული (58, 67), 0:6 ეჩებერია (74)

**ავსტრია 7:0 სან მარინო**

1:0 მაირლები (24), 2:0, 3:0 ვასტიჩი (41, 44), 4:0 მაირლები (53), 5:0 ამერჰაუზერი (70), 6:0 ჰერცოგი (81), 7:0 ვასტიჩი (84)

**ესპანეთი 9:0 სან მარინო**

1:0 მორიენტესი (8), 2:0 ლუის ენრიკე (22), 3:0, 4:0 ეჩებერია (25, 45), 5:0 რაული (56), 6:0, 7:0 ლუის ენრიკე (68, 70), 8:0 რაული (87), 9:0 მენდიეტა (89)

**ისრაელი 5:0 ავსტრია**

1:0 ბერკოვიჩი (26), 2:0 რევივო (45), 3:0 ბერკოვიჩი (47), 4:0 მიზრახი (53), 5:0 გრაევი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 28:4 | 12 |
| ისრაელი | 5 | 3 | 1 | 1 | 15:3 | 10 |
| ავსტრია | 6 | 3 | 1 | 2 | 15:16 | 10 |
| კვიპროსი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:8 | 9 |
| სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 1:36 | 0 |

*4.09 ავსტრია — ესპანეთი; 5.09 კვიპროსი — ისრაელი; 8.09 ისრაელი — სან მარინო, ესპანეთი — კვიპროსი; 10.10 ავსტრია — კვიპროსი, ესპანეთი — ისრაელი;*

## VII ჯგუფი

**რუმინეთი 7:0 ლიხტენშტაინი**

1:0 პოპესკუ (18), 2:0 მუნტეანუ (30), 3:0, 4:0, 5:0 ილიე (32, 45, 53), 6:0 მოლდოვანი (56), 7:0 ილიე (60)

**სლოვაკეთი 3:0 აზერბაიჯანი**

1:0 ფაბუსი (17), 2:0 დუბოვსკი (26), 3:0 მორავჩიკი (37)

**უნგრეთი 1:3 პორტუგალია**

1:0 ხორვატი (32), 1:1 1:2 სა პინტუ (56, 77), 1:3 რუი კოშტა (85)

**აზერბაიჯანი 0:4 უნგრეთი**

**ლიხტენშტაინი 0:4 სლოვაკეთი**

0:1 სოვიცი (3), 0:2 დუბოვსკი (13), 0:3, 0:4 ტომაშეკი (36, 61)

**პორტუგალია 0:1 რუმინეთი**

0:1 მუნტეანუ (90)

**უნგრეთი 1:1 რუმინეთი**

0:1 მოლდოვანი (50), 1:1 ჰრუტკა (82)

**ლიხტენშაინი 2:1 აზერბაიჯანი**

1:0 ფრიკი (47), 2:0 ტესლერი (49), 2:1 ყურბანოვი (59)

**სლოვაკეთი 0:3 პორტუგალია**

0:1, 0:2 ჟოაო პინტუ (17, 30), 0:3 აბელ შავიერი (70)

**პორტუგალია 7:0 აზერბაიჯანი**

**უნგრეთი 5:0 ლიხტენშტაინი**

1:0, 2:0, 3:0 სებოკი (16, 33, 41), 4:0 ილეში (73), 5:0 სებოკი (73)

**რუმინეთი 0:0 სლოვაკეთი**

**აზერბაიჯანი 0:1 რუმინეთი**

0:1 პეტრე (49)

**ლიხტენშტაინი 0:5 პორტუგალია**

0:1 რუი კოშტა (16), 0:2 ფიგუ (49), 0:3, 0:4 მადეირა (53, 59), 0:5 რუი კოშტა (78)

**სლოვაკეთი 0:0 უნგრეთი**

**აზერბაიჯანი 4:0 ლიხტენტშტაინი**

1:0 ყურბანოვი (15), 2:0 ლიჩკინი (41), 3:0 ტაგიზადე (60), 4:0 ისაევი (73)

**პორტუგალია 1:0 სლოვაკეთი**

1:0 ნუნო ფერნანდო (62)

**რუმინეთი 2:0 უნგრეთი**

1:0 ილიე (2), 2:0 მუნტეანუ (15)

**უნგრეთი 0:1 სლოვაკეთი**

0:1 ფაბუსი (53)

**პორტუგალია 8:0 ლიხტენშტაინი**

1:0 სა პინტუ (29), 2:0, 3:0, 4:0 ჟოაო პინტუ (41, 45, 52), 5:0 რუი კოშტა (60), 6:0 ჟოაო პინტუ (68), 7:0, 8:0 რუი კოშტა (81, 90)

**რუმინეთი 4:0 აზერბაიჯანი**

1:0 განეა (36), 2:0 მუნტეანუ (44), 3:0 ვლადოიუ (49), 4:0 როსუ (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 7 | 6 | 0 | 1 | 27:2 | 18 |
| რუმინეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 16:1 | 17 |
| სლოვაკეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:4 | 11 |
| უნგრეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 11:7 | 8 |
| აზერბაიჯანი | 7 | 1 | 0 | 6 | 5:21 | 3 |
| ლიხტენშტაინი | 7 | 1 | 0 | 6 | 2:34 | 3 |

*3.09 აზერბაიჯანი — პორტუგალია; 4.09 ლიხტენშტაინი — უნგრეთი; სლოვაკეთი — რუმინეთი, 8.09 უნგრეთი — აზერბაიჯანი, რუმინეთი — პორტუგალია, სლოვაკეთი — ლიხტენშტაინი; 9.10 აზერბაიჯანი — სლოვაკეთი, ლიხტენშტაინი — რუმინეთი; 10.10 პორტუგალია — უნგრეთი*

## VIII ჯგუფი

**ირლანდია 2:0 ხორვატია**

1:0 ირვინი (4), 2:0 როი კინი (15)

**მაკედონია 4:0 მალტა**

1:0 2:0 ბოზინოვი (20, 47), 3:0, 4:0 შაკირი (70, 76)

**მალტა 1:4 ხორვატია**

1:0 სუდა (29), 1:1 სიმიჩი (54), 1:2, 1:3 ვუგრინეკი (68, 74), 1:4 შუკერი (81)

**ხორვატია 3:2 მაკედონია**

0:1 ჩირიჩი (2), 1:1 შუკერი (16), 2:1 ბობანი (45), 2:2 საინოვსკი (55), 3:2 ბობანი (70)

**ირლანდია 5:0 მალტა**

1:0, 2:0 რობი კინი (17, 19), 3:0 როი კინი (54), 4:0 ქუინი (62), 5:0 ბრინი (82)

**მალტა 1:2 მაკედონია**

0:1 ნიკოლოვსკი (49), 0:2 ზახარიევსკი (63), 1:2 სიქსმიტი (69)

**იუგოსლავია 1:0 ირლანდია**

1:0 მიატოვიჩი (64)

**მალტა 0:3 იუგოსლავია**

0:1, 0:2 ნადი (22, 55), 0:3 მილოშევიჩი (90)

**მაკედონია 1:1 ხორვატია**

0:1 შუკერი (19), 1:1 ბოზინოვი (81)

**ირლანდია 1:0 მაკედონია**

1:0 ქუინი (65)

**იუგოსლავია 1:4 მალტა**

0:1 სალიბა (8), 1:1 მიატოვიჩი (34), 2:1 მილოშევიჩი (49), 3:1 კოვაჩევიჩი (75), 4:1 მილოშევიჩი (90)

იუგოსლავია 0:0 ხორვატია

**ხორვატია 2:1 მალტა**

1:0 სტანიჩი (34), 2:0 სოლდო (55), 2:1 კარაბოტი (60)

**ირლანდია 2:1 იუგოსლავია**

1:0 რობი კინი (54), 1:1 დ. სტანკოვიჩი (60), 2:1 კენედი (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 5 | 4 | 0 | 1 | 10:2 | 12 |
| ხორვატია | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 11 |
| იუგოსლავია | 5 | 3 | 1 | 1 | 9:3 | 10 |
| მაკედონია | 5 | 2 | 1 | 2 | 9:6 | 7 |
| მალტა | 7 | 0 | 0 | 7 | 4:24 | 0 |

*4.09 ხორვატია — ირლანდია; 5.09 იუგოსლავია — მაკედონია; 8.09 მაკედონია — იუგოსლავია, მალტა — ირლანდია; 10.10 ხორვატია — იუგოსლავია, მაკედონია — ირლანდია;*

## IX ჯგუფი

**ესტონეთი 5:0 ფარერები**

1:0 ვიკმაე (12), 2:0 რეიმი (40), 3:0 ტერეხოვი (75), 4:0 ოპერი (86), 5:0 კირსი (90)

**ბოსნია 1:0 ფარერები**

1:0 ბალიჩი (65)

**ბოსნია 1:1 ესტონეთი**

0:1 ალონენი (29), 1:1 ბარბარესი (74)

**ლიტვა 0:0 შოტლანდია**

**ფარერები 0:1 ჩეხეთი**

0:1 შმიცერი (87)

**ბოსნია 1:3 ჩეხეთი**

0:1 ბარანეკი (12), 0:2 შმიცერი (58), 1:2 ტოპიჩი (87), 1:3 კუკა (90)

**ლიტვა 0:0 ფარერები**

**შოტლანდია 3:2 ესტონეთი**

0:1 ხოხლოვ-სიმსონი (35), 1:1 დოდსი (70), 1:2 სმირნოვი (75), 2:2 ხოხლოვ-სიმსონი (79 ს.კ.), 3:2 დოდსი (86)

**ჩეხეთი 4:1 ესტონეთი**

1:0 ნედვედი (8), 2:0, 3:0 ბერგერი (20, 38), 4:0 მიტი (46 ს. კ.), 4:1 არბაიტერი (91)

**ლიტვა 4:2 ბოსნია**

0:1 კონჯიჩი (5), 1:1, 2:1 ივანაუსკასი (11, 67), 2:2 ბალიჩი (68), 3:2 ივანაუსკასი (77), 4:2 ბალტუშნიკასი (93)

**ჩეხეთი 2:0 ლიტვა**

1:0 ჰორნიაკი (10), 2:0 ბერგერი (74)

**ლიტვა 1:2 ესტონეთი**

0:1, 0:2 ტერეხოვი (48, 77), 1:2 ფომენკა (83)

**შოტლანდია 1:2 ჩეხეთი**

0:1 სუხოპარეკი (27), 0:2 შმიცერი (35), 1:2 ჯესი (68)

**ბოსნია 2:0 ლიტვა**

1:0 კოდრო (26), 2:0 ბოლიჩი (89)

**ესტონეთი 0:2 ჩეხეთი**

0:1 ბერგერი (44), 0:2 კოლერი (88)

**ფარერები 1:1 შოტლანდია**

0:1 ჯონსტონი (38), 1:1 ჰანსენი (87)

**ჩეხეთი 3:2 შოტლანდია**

0:1 რიჩი (30), 0:2 ჯონსტონი (62), 1:2 რეპკა (65), 2:2 კუკა (75), 3:2 კოლერი (87)

**ესტონეთი 1:2 ლიტვა**

1:0 ოპერი (8), 1:1 რამელისი (51), 1:2 მაცულავიჩუსი (56)

**ფარერები 2:2 ბოსნია**

0:1 ბოლიჩი (13), 1:1 2:1 არგე (36, 47), 2:2 ბოლიჩი (49)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 7 | 7 | 0 | 0 | 17:5 | 21 |
| შოტლანდია | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 8 |
| ბოსნია | 6 | 2 | 2 | 2 | 9:10 | 8 |
| ლიტვა | 7 | 2 | 2 | 3 | 7:9 | 8 |
| ესტონეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 12:13 | 7 |
| ფარერები | 7 | 0 | 3 | 4 | 4:12 | 3 |

*4.09 ბოსნია — შოტლანდია, ფარერები — ესტონეთი, ლიტვა — ჩეხეთი; 8.09 ჩეხეთი — ბოსნია, ესტონეთი — შოტლანდია, ფარერები — ლიტვა; 5.10 შოტლანდია — ბოსნია; 9.10 ჩეხეთი — ფარერები, ესტონეთი — ბოსნია, შოტლანდია — ლიტვა*

# რობსონი ნიუკასლშია!

გუშინ, „სქაის“ ტელევიზიის ახალ ამბებში გამოაცხადეს, რომ სულის მლაფავი „ნიუკასლ იუნაიტედის“ ახალ მენეჯერად დანიშნულია განთქმული ბობი რობსონი.

ამ დანიშვნამდე უმუშევარი რობსონი, რომელიც ახლა სამოცდაექვსი წლისაა, ჩვიდმეტი წელიწადია ინგლისური კლუბის სათავეში არ ყოფილა.

„სქაისავე“ შეტყობინებით „ნიუკასლმა“ არც უარყო და არც დაადასტურა ეს ინფორმაცია, თუმც, თავად რობსონმა აღიარა, დანიშნული ვარ და ამ ამბავს კლუბი პარასკევს გამოაცხადებსო. მოლაპარაკება მწვრთნელსა და კლუბს შორის დღეს დასრულებულა.

„ნიუკასლის“ თავმჯდომარეს, სერ ჯონ ჰოლს ჯერ კიდევ ორი წლის წინათ უნდოდა რობსონის თავისი გუნდის სათავეში ჩაყენება, მაგრამ მაშინ ძია ბობის „ბარსელონაში“ ყოფნა ერჩივნა.

რობსონმა თავის გულისწადილი ერთ ნიუკასლურ გაზეთს გაუმჟღავნა და სკეპტიკოსები დაამშვიდა, ჯანზეცა ვარ, ამბიციაც გვარიანი მომდგამს და არ დაგავიწყდეთ, ჩემს პატარა სამშობლოში, ჯორდების ქვეყანაში ვბრუნდებიო.

რობსონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ინგლისში (მართლაც მის დაბადების ადგილას) გამოჩენა დამატებითი სტიმულია ნირწამხდარი ნიუკასლელი ქომაგებისთვის.

ახალგაზრდობაში რობსონს ოცჯერ უთამაშია ნაკრებში. კარგი მწვრთნელის სახელი კი რიგითი „იფსვიჩ თაუნის“ აღზევებით მოუპოვებია. ამ გუნდს 1979 წელს ასოციაციის თასი მოაგებინა, ორი წლის შემდეგ კი უეფას თასი. 1982 წელს რობსონმა ინგლისის ნაკრების სათავეში რონ გრინვუდი შეცვალა და ორ მსოფლიო ჩემპიონატზე უხელმძღვანელა გუნდს. 1986 წელს მისმა ნაკრებმა მეოთხედფინალი წააგო არგენტინასთან, 1990-ში კი ნახევარფინალში დამარცხდა გერმანელებთან პენალტების სერიაში. იმავ წელს ინგლისურ ტაბლოიდებზე განაწყენებული გადადგა. ამის შემდეგ, ვიდრე დღემდე რობსონი მუშაობდა „ეინდჰოვენში“ (ორჯერ), ლისაბონის „სპორტინგში“, „პორტუსა“ და „ბარსელონაში“, სადაც მოიგო ესპანეთისა და თასების მფლობელთა თასი.



ბობი რობსონი

# ლაჩრები და მატყუარები

მადრიდის „ატლეტიკოს“ პრეზიდენტი ხესუს ხილი ახალ სკანდალშია ჩარეული. მან ესპანეთის პრიმერა დივიზიონის გუნდის „რეალ სოსიედადის“ დირექტორატსა და მოთამაშეებს ლაჩრები და მატყუარები უწოდა.

ეს სიტყვები ხილმა სამშაბათს ტრადიციულ პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადა და ისინი მთელს ესპანეთს მოედო. პრეზიდენტის უკმაყოფილების საფუძველი ბოლო ტურში დაედო, როდესაც ბასკურმა გუნდმა მის „ატლეტიკოს“ 4:1 აჯობა.

ხილის ლანძღვა-გინების პასუხად „რეალ სოსიედადის“ ხელმძღვანელებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ ამიერიდან აღარასოდეს დაესწრებიან „ატლეტიკოს“ შეხვედრებს და აღარასოდეს ითანამშრომლებენ მადრიდული კლუბის დირექტორატთან არც პროფესიული საფეხბურთო ლიგის და არც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით.

და მაინც, რა არის ასეთი გაბუტვისა და ლანძღვის მიზეზი? მიზეზი გახლავთ პლაკატი, რომელიც სან სებასტიანელმა გულშემატკივრებმა გამოფინეს მატჩის დროს: „მადრიდის „ატლეტიკო“, ხილი და ბასტიონი მკვლელები არიან“.

მოგეხსენებათ, გასულ სეზონში „ატლეტიკოსა“ და „რეალ სოსიედადს“ შორის უეფას თასის მატჩის წინ მადრიდის „ვისენტე კალდერონის“ სტადიონის შორიახლოს „ატლეტიკოს“ გულშემატკივარმა „რეალ სოსიედადის“ ქომაგი მოკლა. მოკლულს აიტორ საბალეტა ერქვა, ხოლო ბასტიონი მადრიდული გუნდის თავზეხელაღებული ქომაგების ჯგუფის სახელია. მკვლელი სწორედ ბასტიონელი იყო.

„რეალ სოსიედადის“ პრეზიდენტმა ლუის ურანგამ განაცხადა, პლაკატი, რომლის გულისთვისაც ხილმა გამოგვლანძღა სულაც არ მინახავს და ეგ თქვენი „ატლეტიკოც“ ყელში მაქვს ამოსულიო.

# მოწმეს კი ეშინია

მოგეხსენებათ, გერმანიის ქალაქ ესენში ოთხ გულშემატკივარ-ხულიგანს ასამართლებენ. მათ გასულ წელს, 21 ივნისს, საფრანგეთში, კერძოდ ლანსში, მსოფლიოს ჩემპიონატის დროს დაუნდობლად სცემეს ადგილობრივი ჟანდარმი, 44 წლის დანიელ ნიველი, რომელიც ექვსი კვირის განმავლობაში კომაში იყო, ხოლო ახლა მიჯაჭვული ინვალიდია და თავის ტვინი აქვს დაზიანებული.

28 წლის ანდრე ცავასკის, 23 წლის კრისტოფერ რაუხის, 24 წლის ტობიას არნო რაიფშლაეგერისა და 31 წლის ფრანკ რენგერის სასამართლო პროცესის გუშინდელი სხდომა წარუმატებლად დასრულდა. მოსამართლე რუდოლფ ესდერსს იმედი ჰქონდა, რომ ბრალდების მთავარ მოწმეს, სისასტიკის საკუთარი თვალით მხილველ მავან ლანსელ მოქალაქეს გამოიძახებდა, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან მისი სახელი ვერ შეიტყო.

საქმე ისაა, რომ საფრანგეთის პოლიცია, რომლისთვისაც მოწმის ვინაობა ცნობილია, მას გერმანულ თემიდას არ უმხელს. გერმანული კანონების თანახმად, მოწმე ანონიმური მხოლოდ პოლიციური გამოძიების დროსაა, სასამართლოზე კი იგი, ბუნებრივია, უნდა გამოცხადდეს. როგორც ჩანს ფრანგი პოლიციელები სწორედ ამას უფრთხიან.

ხულიგანთა პროცესი 30 აპრილს დაიწყო და როგორც ჩანს 1 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

# ღიმილით ხორვატიაში

**EURO 2000**
**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**

VIII ჯგუფი

**ირლანდია 2:1 იუგოსლავია**

1:0 რობი კინი (54), 1:1 სტანკოვიჩი (60), 2:1 კენედი (69)

ირლანდია: კელი, ირვინი (ქარი 66), სტონტონი, ბრინი, კანინგემი, როი კინი (კარსლი 69), კილბეინი, კინსელა, ქუინი (კასკარინო 80), რობი კინი, კენედი

იუგოსლავია: კოჩიჩი, კომლიენოვიჩი, ბოლიჩი, გოვედარიცა, ჯუკიჩი, სტანკოვიჩი, ნადი (კოვაჩევიჩი 76), მიატოვიჩი, მილოშევიჩი, სავიჩევიჩი (დრულოვიჩი 56), მიხაილოვიჩი (საველიჩი 69)

მსაჯი: კოლინა (იტალია)

ირლანდიამ ევრო 2000-ის ფინალური ეტაპისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა: მერვე შესარჩევი ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტს, იუგოსლავიას 2:1 მოუგო.

გამარჯვება 69-ე წუთზე მარკ კენედიმ გამოჭედა, როდესაც 15-წუთიანი, ორმხრივი შეტევებით გადატვირთული მონაკვეთი ზუსტი დარტყმით დაასრულა. აღსანიშნავია, რომ ეს შეხვედრა თავდაპირველი კალენდრის თანახმად, 5 ივნისს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ კოსოვოს კონფლიქტის გამო გადაიდო.

„მანჩესტერ სიტის“ თავდამსხმელმა დაახლოებით 30 მეტრიდან დაარტყა ბურთს და იგი იუგოსლავიელთა კარის მცველის, ალექსანდრ კოჩიჩის მიღმა, კარში შეაგდო.

პირველი ტაიმი უგოლო გახლდათ მართალია, ირლანდიელები უპირატესობას ფლობდნენ და რამდენიმე საგოლე მომენტიც შექმნეს, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს. მეორე ტაიმში კი „ქოვენთრი სიტის“ ფეხბურთელმა, შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულმა რობი კინმა, 54-ე წუთზე როი კინის გამოზომილი პასი მიიღო და ანგარიში გახსნა.

ექვსი წუთის შემდეგ სტუმრებმა გაათანაბრეს: პრედრაგ მიატოვიჩის გრძელი გადაცემა იმით დასრულდა, რომ ბურთი საჯარიმოში მყოფმა დეიან სტანკოვიჩმა ირლნადიელი გოლკიპერის ალან კელის კარში თავურით შეაგდო.

გამარჯვებული ნაკრების მწვრთნელმა, მიკ მაკარტიმ მატჩის შემდგომ განაცხადა, რომ იუგოსლავიელებთან წარმატებამ მის გუნდს შაბათს, ზაგრებში, ხორვატებთან სათამაშოდ ფრთები შეასხა.

„ახლა ჩვენ ხორვატიაში ჩასვლა ღიმილით შეგვიძლია. ორი საუცხოო გოლი გავიტანეთ და დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ“ — თქვა მან.

მაკარტის ირლანდიამ მართლაც კარგად შეუტია და ორი ლამაზი გოლი შეაგდო, მაგრამ დაცვაში, ალბათ, უკეთ გარჯაც შეეძლო. სლობოდან კომლიენოვიჩს პირველ ორმოცდახუთ წუთში იუგოსლავიელთა საუკეთესო მომენტი ჩაუვარდა ხელთ: კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი საჯარიმოს კიდესთან აღმოჩნდა, საიდანაც კომლიენოვიჩმა ლონივრად დაარტყა, მაგრამ ბურთს კელი შეწვდა თითებით.

მასპინძელთა დაცვაში ყველაზე სოლიდურად სტივ სტონტონმა ითამაშა, რომელმაც გამოცდილ იუგოსლავიელ ფორვარდებს ფრიად შეუპოვარი და ოსტატური წინააღმდეგობა გაუწია, მეტწილად შესვენებამდე.

დუბლინის სტადიონზე შეკრებილმა 31 ათასმა გულშემატკივარმა იუგოსლავიის ნაკრებს დიდი პატივი სცა. მეტადრე სახელმწიფო ჰიმნის დროს, ასე რომ, ირლანდიის მთავრობის საქციელის გამო რაიმე გართულება არ ყოფილა. შეგახსენებთ: 5 ივნისს დანიშნული შეხვედრის გადადება სწორედ ირლანდიელ ხელისუფალთა მეცადინეობის შედეგი იყო, რისთვისაც უეფამ ამ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაცია 32 ათასი დოლარით დააჯარიმა.



REUTERS დუბლინიდან

კანინგემმა მიატოვიჩი (№8) მცველად აქცია

# ბა ბოროში გადადის

იბრაჰიმ ბა ის ფერადკანიანი ფრანგი გახლავთ, „მილანის“ შემადგენლობაში რომ ირიცხება, მაგრამ მოედანზე დიდი ხანია აღარ გამოჩენილა. ამიტომაც ეძებდა ახალ გუნდს. ბას ძიებანი ძირითადად ინგლისური პრემიერლიგისკენ იყო მიმართული. ერთიხანობა „ნიუკასლთან“ თითქმის გააფორმა კიდეც კონტრაქტი, მაგრამ მაშინ საქმე ჩაიშალა. მას ინგლისელმა ექიმებმა ჯანმრთელობა დაუწუნეს.

და აი, ბამ სარკმელს მიაგნო: „მილანმა“ იგი „მიდლსბროს“ ათხოვა.

„იბრაჰიმ ბა კვირას მიდლსბროში იქნება და ვგონებ ხელს მოაწერს ხელშეკრულებას. გუშინ კლუბებმა ერთსეზონიანი პირობა დასდეს და ახლა ბოლო სიტყვა ფეხბურთელზეა“ — განუცხადა სააგენტო „როიტერს“ მილანელმა გენერალურმა მენეჯერმა არიედო ბრაიდამ.

თუ ფრანგი მიდლსბროელთა პირობებს დათანხმდება, კვლავ გახდება გერმანელი კრისტიან ციგეს თანაგუნდელი, რომელიც „მილანიდან“ „მიდლსბროში“ ივლისში გადავიდა.

შეგახსენებთ, რომ ორიოდ წლის წინ იბრაჰიმ ბა „მილანის“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იყო და იტალიელ ქალთა შორის მოწყობილ რეფერენდუმში გაიმარჯვა როგორც კაცმა, რომელსაც ისინი ერთი ღამით ჩაუგორდებოდნენ ლოგინში. ცხადია, რეფერენდუმში ყველა ქალს არ მიუღია მონაწილეობა.



იბრაჰიმ ბა

**EURO 2000**
UNDER-21 Championship
**ახალგაზრდული ნაკრებები**

VII ჯგუფი

**აზერბაიჯანი 0:2 პორტუგალია**

0:1 საბროსა (303), 0:2 მორეირა (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 9:6 | 13 |
| პორტუგალია | 6 | 3 | 2 | 1 | 12:3 | 11 |
| რუმინეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:5 | 11 |
| აზერბაიჯანი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:13 | 4 |
| უნგრეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 7:13 | 3 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

# ზოგადი საუბარი ერთში ორზე



მარცხნიდან დგანან: გერჰარდ აიგნერი, ჟერარ ულიე, ფაბიო კაპელო, ალექს ფერგიუსონი, მარჩელო ლიპი, უეფას წარმომადგენელი, ჯონ ტოშაკი, ოტო რეჰაგელი, ოტმარ ჰიცფელდი
სხედან: აბერტო ძაკერონი, ლუის ვან გაალი, მიხაელ სკიბე, ენდი, როქსბურგი

**წამყვანმა** ევროპელმა მწვრთნელებმა კვირაში ორი სანაკრებო თამაშის დაკანონება მოითხოვეს. მათი აზრით, ასე მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდებათ ყოფა კლუბებს, რომელთაც ფეხბურთელები მთელი სეზონის განმავლობაში გაურბიან ხოლმე თავიანთი ქვეყნების ეროვნულ გუნდთა შეკრებებზე.

ეს იდეა გახლდათ ერთ-ერთი მრავალთაგანი, კონტინენტის 10 უძლიერესი მწვრთნელისა და უეფას პირველ თათბირზე რომ გამოითქვა.

ალექს ფერგიუსონმა, რომელიც ჩემპიონთა თასის ახლანდელ მფლობელს, „მანჩესტერ იუნაიტედს" უდგას სათავეში, საერთაშორისო და საშინაო კალენდრების შეჯიბრების საკითხი წამოჭრა. მანვე ილაპარაკა სხვა საკითხებზე, რომელთა მოგვარება სუპერკლუბებს ერთობ წაადგებოდა.

ოთხსაათიან მსჯელობას ესწრებოდნენ „ბარსელონას" მწვრთნელი ლუის ვან გაალი, მადრიდის „რეალის" თავკაცი ჯონ ტოშაკი, მიუნხენის „ბაიერნის" ხელმძღვანელი ოტმარ ჰიცფელდი და მარჩელო ლიპი, რომელიც ამ სეზონიდან მილანის „ინტერს" უძღვება.

ფერგიუსონმა, რომლისთვისაც გადატვირთული და შეუთანხმებელი კალენდრის პრობლემა სხვებზე მტკივნეულია, ვინაიდან მისი გუნდი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასსა და ფიფას მიერ მოგონილ კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატს შორის არჩევანის წინაშე დადგა, თქვა:

„გადატვირთულმა კალენდარმა ყველა შეაწუხა და ამიტომაც იგი დისკუსიის ერთ-ერთი უმთავრესი თემათაგანი გახლდათ. უეფას აინტერესებდა, რა გამოსავალს ვთავაზობთ. ზოგადად კი შემიძლია ვთქვა, რომ მწვრთნელთა ასეთი შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია".

შეთავაზებული იდეა ასეთი გახლდათ: სანაკრებო თამაშები ოთხშაბათ-ხუთშაბათსა და შაბათ-კვირაობით გაიმართოს და ამით ფეხბურთელთა გადაფრენა-გადმოფრენისა და კლუბთან განშორების საკითხი მეტ-ნაკლებად მოგვარდეს.

ენდი როქსბურგი, შოტლანდიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი და უეფას ტექნიკური დირექტორი: „ვინაიდან თამაშების გაფანტვა და დიდი რაოდენობა ფეხბურთელების მომზადებას აძნელებს, ერთ-ერთ გამოსავლად სწორედ სანაკრებო შეხვედრების თითო კვირაში კონცენტრირება მივიჩნიეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში იმ მწვრთნელებისთვის, რომლებიც დისკუსიაში მონაწილეობდნენ, მატჩებისა და ფეხბურთელთა აღდგენითი პროცესის მონაცვლეობა დაუსწრებლად გაგრძელდება. ამ ხალხს მოთამაშეებთან სხვა საკითხებზე სამუშაოდ დრო აღარ რჩება".

თათბირზე გამოიკვეთა რამდენიმე სხვა თემაც. კერძოდ, საუბარი შეხვედრაზე ორი მსაჯით მომსახურეობას, ფეხბურთელების კვალიფიკაციის ამაღლებასა და ყვითელ ბარათებს შეეხო.

მართალია, შეხვედრების ორი არბიტრით განსჯის საკითხი ბევრისთვის ჯერაც გაუგებარი თუ მიუღებელია, როქსბურგმა განაცხადა, რომ დამსწრეები ჩაებნენ კამათში და არჩევდნენ რა სჯობს, ორი თანამსაჯის დამატება თუ ახალი პერსონაჟების კარის ხაზს უკან დაყენება.

„კარის ხაზებთან დაყენებული მსაჯები კამათის ეპიცენტრს, საჯარიმო მოედანს გააკონტროლებდნენ. მოგეხსენებათ, ამ ტერიტორიაზე თითოეული გადაწყვეტილება შესაძლოა, საბედისწერო შეიქნას" — განმარტა როქსბურგმა.

მოკამათენი შეთანხმდნენ, რომ თანამედროვე ფეხბურთში არბიტრებს მაქსიმალური დახმარება სჭირდებათ.

ჯერჯერობით ელიტარულ მწვრთნელთა მომავალი თათბირის თარიღი არ დადგენილა, მაგრამ ასეთი შეხვედრების წელიწადში ერთხელ გამართვის სურვილი გამოითქვა. უეფამ მათ აღუთქვა, რომ დაფიქრდება და შეეცდება ეს შეხვედრები, ოღონდ დაკონკრეტებული პროგრამით, კალენდარში ჩასვას.

„ჯერჯერობით თემატიკა შეუზღუდავი იყო და არანაირი დასკვნა არ გაკეთებულა, მაგრამ დადგენილების მიღება პირველი თათბირის ამოცანა არც იყო. ამჯერად ჩვენთვის თავად შეკრების ფაქტი და იდეების გაზიარება გახლდათ მნიშვნელოვანი" — დაავგირგვინა როქსბურგმა.

# უცნაური გამოსავალი

„**დანდის**" მწვრთნელმა, ჯოკი სკოტმა შოტლანდიური ფეხბურთის გიგანტებს, „გლაზგო რეინჯერსსა" და „სელტიკს" ქვეყნის ჩემპიონატისგან განდგომისკენ მოუწოდა. იგი ამტკიცებს, რომ „რეინჯერსი" და „სელტიკი" მეტისმეტად გაძლიერდნენ და დღეისათვის მათსა და ქვეყნის პრემიერლიგის სხვა გუნდებს შორის განსხვავება იმხელაა, რომ შეჯიბრების ჩატარებას აზრი ეკარგება.

სკოტმა თქვა, რომ მისი სურვილია საუკუნოვანმა მოქიშპეებმა, რომელთა ბიუჯეტები 30 მილიონ გირვანქას აღემატება, ინგლისის პრემიერლიგაში ან იმ ევროლიგაში გადაინაცვლონ, რომელსაც მისი რწმენით, მალე რეალობად აქცევენ.

— „რეინჯერსისა" და „სელტიკის" გარეშე შოტლანდიური პრემიერლიგა უკეთესი იქნება" — ამბობს „დანდის" თავკაცი გაზეთ „დეილი რეკორდისთვის" მიცემულ ინტერვიუში — „ეჭვი არ მეპარება, რომ, როგორც კი გლაზგოს ეს ორი გუნდი დაგვტოვებს, შოტლანდიის პირველობა აუწერელი ტემპით განვითარდება".

მართლაც, იმის გამო, რომ „რეინჯერსი" და „სელტიკი" მდიდარი კლუბები არიან და მაღალი კლასის ფეხბურთელების ყიდვა ხელეწიფებათ, მიმდინარე სეზონი უკვე დადგა საშიშროების წინაშე: შესაძლოა, ოქროს მედლისთვის ბრძოლა, რომელიც აქამდეც ამ ორ კლუბს შორის მიმდინარეობდა, საერთოდ გამოვიდეს ყოველგვარი ჩარჩოებიდან და დანარჩენთა ყოფნა-არყოფნას საერთოდ აზრი დაეკარგოს.

დახეთ, რა ხდება სქოთურ პრემიერლიგაში ხუთი ტურის შემდეგ: „რეინჯერსი" ბოლო 11 სეზონში 10-გზის ჩემპიონი, ხუთივე შეხვედრაში გამარჯვებულია და მესამე ადგილზე მყოფ „დანდი იუნაიტედს" შვიდი(!) ქულით უსწრებს.

„სელტიკი", რომელსაც ხუთი შეხვედრის შემდეგ 12 ქულა აქვს და ერთადერთია, რომელსაც „რეინჯერსისთვის" წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია, თამაშებზე საშუალოდ 59 ათას მაყურებელს იზიდავს და 27,37 მილიონი დოლარის ტოლფასი ხელფასის ფონდი უპრობლემოდ ევსება.

სკოტი, რომლის გუნდიც ექვსი ქულით მეექვსე ადგილზეა, ამბობს: „საშინაო შეხვედრებში „სელტიკისა" და „რეინჯერსის" სანახავად 50 ათასი ადამიანი დადის, რაც უზარმაზარი კომერციული მნიშვნელობის ფაქტია. ამას ვერავინ შეეჯიბრება. ჩვენს სანახავად 4 500 კაცი რომ მოდის, სიხარულით მეცხრე ცაზე ვართ. მოკლედ, ლიგის დანარჩენ რვა გუნდს გლაზგოელებთან ახლოს მისვლაც არ შეუძლიათ. დიახ, „რეინჯერსი" და „სელტიკი" იმავე ჩემპიონატში მონაწილეობენ, რომელშიც ჩვენ, მაგრამ სხვა ლიგაში გახლავან. ათასში ერთხელ შეიძლება მათი სენსაციური დამარცხება, სეზონის განმავლობაში მათთან კონკურენცია კი წარმოუდგენელია".

შემდეგ სკოტი დასძენს, რომ მას სხვა კლუბების მწვრთნელებიც ეთანხმებიან და შოტლანდიელ ხალხს „რეინჯერსისა" და „სელტიკის" გარეშე კარგ და, რაც მთავარია, მწვავე პირველობას ჰპირდებიან.

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „ლესტერ სიტის" ორ ფეხბურთელს, ტონი კოტისა და ენდი იმპის ბრალად გასული სეზონის ლიგის თასის ფინალზე დასასწრები, მათთვის გამოყოფილი მოსაწვევი ბილეთების ხალხში გავრცელება ედებათ. იმავე საკითხზე მოუწევს პასუხის გაცემა კლუბის კიდევ 25 წევრს, რომელთა შორის გახლავან როგორც მოთამაშეები, ასევე დირექტორატის წევრები. მათ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ახლობელთათვის, კუთვნილი ადგილები გამოუყო, მერე კი სიის დაბრუნება მოთხოვა, რაც ვერ შეძლეს. ხსენებულთა შორის არიან კლუბის ცნობილი ფეხბურთელები: მაზი იზეტი, სტივ გაპი, სტივ უოლში, ნილ ლენონი, რობი სევიჯი და გერი ტაგარტი. ფეხბურთის ასოციაციაში ეჭვი იმიტომ აღეძრათ, რომ ფინალის დროს ლესტერელთა სტუმრებისთვის გამოყოფილ სექტორში მათი იმდღევანდელი მეტოქის, „ტოტენჰემ ჰოთსპურის" ქომაგები იხილეს. სხვათაშორის, ამ აღრევამ მცირე კონფლიქტიც კი გამოიწვია. „სპურზმა" გაიმარჯვა 1:0. „ლესტერ სიტის" ახსნა-განმარტებისთვის ორი კვირა მისცეს.

**ბრაზილიაში** უცნაური ამბავი მოხდა: გამტაცებლებმა „პალმეირასის" თავდამსხმელი პაულუ ნუნეში შეიპყრეს, მაგრამ 10 წუთში გაარკვიეს, რომ თავიანთი საყვარელი გუნდის მოთამაშე ჰყავდათ დატყვევებული და გაუშვეს. ბოროტმოქმედებს ნუნეშისთვის არაფერი უვნიათ. ვითარებაში რომ გაერკვნენ, იგი სან პაულუს ტრასაზე ჩამოსვეს. „მათ მითხრეს, რომ „პალმეირასის" გულშემატკივრები არიან და გული დაწყდათ, რომ მაინცდამაინც მე მიტაცებდნენ" — უთქვამს ფეხბურთელს ბრაზილიელი ჟურნალისტებისთვის. გატაცებით კი იგი მაშინ გაუტაცებიათ, როდესაც თავისი მდიდრული მანქანა გაუჩერებია, რათა მობილური ტელეფონით მშვიდად ესაუბრა. სწორედ ამ დროს დაესხა თავზე ორი ადამიანი, რომელთათვისაც ნუნეში იმ დღეს მესამე მსხვერპლი გამოდგა. „ისინი ჩემს დამშვიდებას ცდილობდნენ, მაგრამ როგორ გინდა დამშვიდდე, როდესაც შუბლზე პისტოლეტის ლულა გაქვს მიბჯენილი" — თქვა ნუნეშმა, რომელსაც ამ დავიდარაბაში მზის სათვალე, საათი, მანქანა და დაახლოებით 500 დოლარის ტოლი ფული დაუტოვებია ყაჩაღებისთვის. „დამცინოდნენ, ამიერიდან პაულუ ნუნეშის სათვალით გავიპრანჭებითო" — დასძინა ფეხბურთელმა.

**ავსტრიის** კანცლერმა ვიქტორ კლიმამ და მისმა უნგრელმა კოლეგამ ვიქტორ ორბანმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის მათ ქვეყნებში ერთობლივად ჩატარების პროექტს. სახელმწიფოთა ხელმძღვანელებმა საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად ვენაში ითათბირეს და შეადგინეს წერილი უეფასადმი, რომელშიც ისინი შეჯიბრების პოლიტიკურ-სამთავრობო მხარდაჭერის გარანტიებს იძლევიან. ავსტრიელთა და უნგრელთა პროექტის ლოზუნგია: „დუნაის თამაშები — ორი ქვეყანა, ერთი მიზანი". კლიმამ განაცხადა, რომ წერილი უეფას პრეზიდენტის, ლენარტ იუჰანსონის გარდა ევროკავშირის კომისიის პრეზიდენტ რომანო პროდისა ფინეთის პრემიერ-მინისტრს, პაავო ლიპონენს გაეგზავნა. საქმე ის გახლავთ, რომ ფინეთის პრემიერს ამჯერად ევროკავშირის თავმჯდომარეობის რიგმა უწია. „პროექტის ფინანსურ მხარდაჭერას ორივე მთავრობა კისრულობს. ორივე ქვეყანას დაუმტკიცებია, რომ დიდი შეჯიბრებების ჩატარების უნარი შესწევს. ამ ეტაპზე ჩვენ სასაზღვრო მიმოსვლის გაუმჯობესებაზე ვმუშაობთ" — განაცხადა კლიმამ.

**იუგოსლაველი** თავდამსხმელი მარკო პანტელიჩი ესპანური „სელტადან" ავსტრიულმა „შტურმმა" გადაიბირა. ეს საქმე გრაცელებმა ჩემპიონთა ლიგის სატრანსფერო ვადის ამოწურვამდე ორიოდ საათით ადრე გაახერხეს. „შტურმის" მწვრთნელი ივიცა ოსიმი იმედოვნებს, რომ 20 წლის თავდამსხმელი ლიგის D ჯგუფში „მანჩესტერ იუნაიტედთან", „მარსელთან" და „კროაციასთან" თამაშს ერთობ გაუადვილებს. პანტელიჩი „შტურმის" განაცხადში ნიგერიელი აიდაბე ბაბალადეს ადგილს დაიკავებს, ვინაიდან ბაბალადე ევროკავშირის წევრი ქვეყნიდან არ არის და შეჯიბრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. იუგოსლაველი ფორვარდი „სელტამდე" „პარი სენ ჟერმენისა" და შვეიცარიული „ლოზანას" მოთამაშე გახლდათ.

**ბოსნიის** ნაკრების მწვრთნელმა, ფარუკ ჰაჯიბეგიჩმა განაცხადა, რომ მადრიდის „რეალის" თავდამსხმელი ელვირ ბალიჩი შაბათს, შოტლანდიის წინააღმდეგ, ევრო 2000-ის შესარჩევ შეხვედრას ვერ ჩაატარებს. ბოსნიელთა გუნდის ექიმმა განმარტა, რომ ბალიჩს ნატკენი მუხლი ბოლომდე ჯერ არ დაამებია და ამიტომაც მწვრთნელი ერიდება რისკს. „ამაზე პასუხისმგებლობას მთლიანად საკუთარ თავზე ვიღებ" — დასძინა ექიმმა და დაამატა, რომ ბალიჩი უკვე მადრიდს დაუბრუნდა. ბოსნიელები შოტლანდიელების შემდეგ ჩეხეთის ეროვნულ გუნდს ეთამაშებიან.

**უელსის** ნაკრების ნახევარმცველი რობი სევიჯი ევრო 2000-ის შესარჩევ შეხვედრაში ბელარუსთა წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. მის ადგილს ახალგაზრდა მეტიუ ჯონსი დაიკავებს. სევიჯი, რომელსაც საზარდულის ტკივილი აწუხებს, „ლესტერ სიტიში" თამაშობს, მისი შემცვლელი კი „ლიდს იუნაიტედში".

**ბულგარეთის** ნაკრების ღირსებას ევრო 2000-ის შესარჩევ შეხვედრაში შვედეთის წინააღმდეგ ვერ დაიცავს ცნობილი ნახევარმცველი ივაილო იორდანოვი. ლისაბონის „სპორტინგის" ფეხბურთელმა ორი კვირის წინ უკრაინელებთან ამხანაგურ მატჩში ტრავმა მიიღო.

**ბრაზილიელი** ნახევარმცველი, ემერსონი, რომელიც გერმანიაში, ლევერკუზენის „ბაიერში" თამაშობს, იტალიურ „რომას" სურდა, მაგრამ ლევერკუზენელებმა კატეგორიულად განაცხადეს, რომ იგი არ გაიყიდება. „ემერსონი მაღალი კლასის მოთამაშეა და ბუნებრივია, რომ მისი საკუთარ გუნდში ხილვა ძალიან ბევრ კლუბს სურს, მაგრამ ჩვენ გერმანიის ჩემპიონის ტიტულისთვის ვიბრძვით და, შესაბამისად, ემერსონი გვჭირდება. მას ჩვენთან 2002 წლამდე აქვს კონტრაქტი გაფორმებული და ამ ვადის ამოწურვამდე მის გაყიდვას არ ვაპირებთ" — განაცხადა „ბაიერის" სპორტულმა დირექტორმა, წარსულში ცნობილმა გერმანელმა ფეხბურთელმა, რუდი ფიოლერმა.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბეჯითი მოსწავლეები

*გადის თვეები და ისრაელის ნაკრებს სულ უფრო მეტი შანსი ეძლევა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად. ასეთი აღმასვლა გუნდს არასოდეს ჰქონია და მის მიმართ საყოველთაო ყურადღება და პატივისცემაც ბუნებრივია.*

1992 წელს ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნისთანავე შლომო შარფმა აღიარა, რომ მის გუნდს ბევრი ოფლის ღვრა მოუწევდა ევროპის საფეხბურთო ელიტაში შესასვლელად და მართალიც გამოდგა. პირველივე მატჩში მისი ხელმძღვანელობით ებრაელებმა ვენაში ავსტრიასთან 2:5 წააგეს. ეს იყო დამამცირებელი „ორიანი“. მაგრამ გავიდა ექვსი წელიწადი, რომლის განმავლობაშიც გუნდმა 33 ოფიციალური თამაში გამართა და ახლა ისრაელელებმა დაამარცხეს თელ ავივში ავსტრია — 5:0. ხუთი მშრალი ბურთი უკვე ხუთოსნის ატესტატს წააგავს. ისრაელის ნაკრებმა ყველაზე მომთხოვნ უნივერსიტეტში წარმატებით გაიარა სწავლების კურსი და „ხალხში გამოდის“.

საფეხბურთო თვალსაზრისით, ისრაელისთვის „ევროპული“ სტატუსის მინიჭებამ ამ ქვეყანას საშუალება მისცა, უდიდესი ნახტომი გაეკეთებინა თამაშის განვითარების ასპექტში. კლუბებს ევროთასებზე მუდმივად ძლიერ მეტოქეებთან უწევთ თამაში, ნაკრები რეგულარულ შესარჩევ ტურნირებში გამოიწრთო. 1992-ში კი ავსტრიასთან ასე სამარცხვინოდ იმიტომ დამარცხდნენ, რომ სამი წლის განმავლობაში საშეჯიბრო პრაქტიკა არ ჰქონიათ. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ბევრი ებრაელი ფეხბურთელი ახლა ძლიერ ევროპულ კლუბებში თამაშობს და ოსტატობას იმაღლებს.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა არაბეთის ქვეყნებთან დაძაბული ურთიერთობის გამო ისრაელელები ოკეანიის ზონაში გადაიყვანეს. ფეხბურთელებს გრძელი გზის გავლა უხდებოდათ თამაშებზე ჩასასვლელად, იქ კი მათ, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ სოლიდური გუნდები ელოდნენ — ფიჯი, ტაივანი, ახალი ზელანდია. ერთადერთი ავსტრალია იყო მეტ-ნაკლებად სერიოზული მოწინააღმდეგე. ასეთ ვითარებაში არანაირ პროგრესზე არ შეიძლებოდა ფიქრი. 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრამაც კი ვერ აამაღლა ებრაელების ავტორიტეტი, რადგან ამ უპირველეს ტურნირზე ისინი „სათადარიგო გასასვლელიდან“ მოხვდნენ. ახლა სხვა საქმეა. თუ აღთქმული მიწის წარგზავნილები ევროპის ჩემპიონატის 16 ფინალისტს შორის დაიჭერენ ადგილს, ეს უკვე ნამდვილი წარმატება იქნება. ელიტაში ისინი „მთავარი შესასვლელიდან“ მოხვდებიან.

ადვილი წარმოსადგენია, რა ზეიმი გაიმართება ისრაელში, თუ თეთრ-ლურჯ ფორმიანი ბიჭები სანუკვარ საგზურს მოიპოვებენ. მაგრამ ასეც რომ არ მოხდეს, ჩვეულებრივი იმედგაცრუების მაგიერ იტყვიან, ამჯერად ბიჭები ევროპის ჩემპიონატზე უიღბლობის გამო ვერ მოხვდნენო. ამ შემთხვევაში ეს კიდევ ერთი გაკვეთილი იქნება შარფისა და მისი შეგირდებისთვის.

მწვრთნელმა, პირდაპირმა და უკომპრომისო ადამიანმა, გუნდი მართლაც ქვეყნის უძლიერესი მოთამაშეებისგან დააკომპლექტა. შარფს ახლა ნებისმიერი ფეხბურთელის სრულფასოვანი შემცვლელი ჰყავს. და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მან გუნდში საოცრად თბილი და მეგობრული დამოკიდებულება დაამყარა. კერძოდ, როცა შეკრებაზე ეიალ ბერკოვიჩი და ჰაიმ რევივო ჩამოდიან — ყველაზე ცნობილი და მაღალანაზღაურებიანი ფეხბურთელები — ისინი არანაირი უპირატესობით არ სარგებლობენ.

5 სექტემბერს ისრაელს უმნიშვნელოვანესი მატჩი აქვს ლიმასოლში კვიპროსთან. ერთადერთი მისაღები შედეგი გამარჯვებაა. შარფს კარგად ესმის, რომ ბერკოვიჩი და რევივო აუცილებელნი არიან, რათა „მანქანამ“ მწყობრად იმუშაოს. ფეხბურთელებიც ხვდებიან, რომ თუ მაქსიმუმი არ გაიღეს, ქომაგები არ აპატიებენ, როგორც ეს 1996 წელს იყო. მაშინ კვიპროსელებმა უზომოდ თავდაჯერებულ ებრაელებს 2:0 მოუგეს და სავარაუდოა, რომ ის გაკვეთილი ჭკუის სასწავლებელი გამოდგა.

ბერკოვიჩი, რომელიც ზაფხულში „ვესტ ჰემიდან“ შოტლანდიურ „სელტიკში“ გადავიდა, საუკეთესო იყო ავსტრიელებთან მატჩში. ქვეყნის წამყვანმა ყოველდღიურმა გაზეთებმა მას უმაღლესი შეფასება — 10 ბალი დაუწერეს. არადა, მანამდე, 53 თამაშში მხოლოდ 4 ბურთი ჰქონდა გატანილი.

გუნდს სხვა ლიდერებიც ჰყავს. საფრანგეთის „ნიცას“ ფეხმარდი მეგოლე, ზუსტი დარტყმების ოსტატი ალონ მიზრახი და კაპიტანი ტალ ბანინი, რომელიც იტალიის სერია B-ს „ბრეშაში“ თამაშობს. ბანინი ნამდვილი ლიდერია. მასზე დიდადაა დამოკიდებული ნაკრების ფსიქოლოგიური განწყობა. დაცვაში შეთამაშებული სამეული — ამირ შელახი, ალონ ხარაზი და რანა ბენ შიმონი — მოქმედებს. დაბოლოს, ნირ დავიდოვიჩმა უკვე არაერთხელ დაამტკიცა, რომ ჩინებული და საიმედო მეკარეა.



ისრაელი — ავსტრია 5:0. მასპინძელმა მარიელ ბენადო (№5) ავსტრიელ მარიო ჰაასს დაასწრო

როცა შარფმა ნაკრები ჩაიბარა, ფიფას რეიტინგში გუნდი მეორე ასეულში წვალობდა. თანდათან ებრაელები აღზევდნენ, რასაც რამდენიმე სენსაციურმა გამარჯვებამაც შეუწყო ხელი. ერთ-ერთი ასეთი პარიზში ფრანგებთან გამარჯვება გახლდათ (3:2). 1993-ში შარფის გუნდი უკვე 22-ე პოზიციაზე დამკვიდრდა.

„დამსახურებული წაგებების დრო წარსულს ჩაბარდა“ — ასეთია შარფის დღევანდელი კრედო — „სწავლების ხანამ გაიარა. ახლა დროა, თავი ამა ქვეყნის ძლიერთა შორის ვიგულოთ“.

ორი ლევისი
„უორლდ სოკერი“



# მათეუსი ბაიერნიდან წასვლით დაიმუქრა

ლოთარ მათეუსმა მიუნხენის „ბაიერნის“ ხელმძღვანელობა გააფრთხილა, რომ შესაძლოა ზამთრის შესვენებას არ დაელოდოს და ამერიკაში წავიდეს. ყოველდღიური „ბილდის“ ცნობით, დიდი ლოთარის ასეთი უეცარი გადაწყვეტილება ვარჯიშის დროს ფრანგ თანაგუნდელ ბიქსენტე ლიზარაზუსთან მომხდარმა ინციდენტმა განაპირობა.

„შაბათის მატჩის შემდეგ („ბაიერნი“ — „უნტერჰახინგი“ 1:0) მენეჯერ ული ჰიონესსა და მწვრთნელ ოტმარ ჰიცფელდს ვუთხარი, რომ თუ რამეში მადანაშაულებენ, ახლავე შეუძლიათ მოქმედი კონტრაქტის დახევა“ — თქვა მათეუსმა.

საქმე ისაა, რომ გასული კვირის ერთ-ერთ ვარჯიშზე ლიზარაზუ და მათეუსი რაღაცაზე წალაპარაკებულან და ფრანგს დიდი ლოთარისთვის მამაპაპური სილა გაუწნავს.

შეგახსენებთ, რომ 38 წლის მათეუსმა ახლახან აშშ-ის „მეტროსტარზთან“ გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ვეტერანი ფეხბურთელი ბუნდესლიგის შესვენების დროს, თებერვლიდან, ამ კლუბში უნდა გადავიდეს. ამასობაში „მიუნხენის“ მწვრთნელმა ვიორნერ ლორანმა განაცხადა, რომ თუ მათეუსი ამერიკაში წასვლას გადაიფიქრებს, ის მოხარული იქნება, ლოთარი თავის გუნდში იხილოს.

## იტალია

თასის I ეტაპი. მე-5 ტური

I ჯგუფი

ფ. ანდრია 0:1 ტერნანა

ლეჩე 3:1 ლუკეზე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეჩე | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 10 |
| ტერნანა | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| ლუკეზე | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |
| ფ. ანდრია | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | 1 |

II ჯგუფი

სამპდორია 1:0 სავოია

ჩეზენა 1:1 პალერმო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 5 | 4 | 0 | 1 | 10:4 | 12 |
| ჩეზენა | 5 | 3 | 1 | 1 | 7:5 | 10 |
| პალერმო | 5 | 1 | 2 | 2 | 9:11 | 5 |
| სავოია | 5 | 0 | 1 | 4 | 4:10 | 1 |

III ჯგუფი

ლუმეცანე 0:2 ჯენოა

ემპოლი 1:0 მონცა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:4 | 10 |
| ჯენოა | 5 | 3 | 1 | 1 | 7:5 | 10 |
| მონცა | 5 | 1 | 1 | 3 | 6:9 | 4 |
| ლუმეცანე | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |

IV ჯგუფი

კრემონეზე 2:2 პისტოიზე

კიევო 0:0 ატალანტა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 5 | 3 | 2 | 0 | 7:1 | 11 |
| კიევო | 5 | 1 | 3 | 1 | 1:2 | 6 |
| პისტოიზე | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 6 |
| კრემონეზე | 5 | 0 | 2 | 3 | 5:10 | 2 |

V ჯგუფი

ტრევიზო 2:1 გუალდო

რეჯინა 1:0 კოზენცა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეჯინა | 5 | 3 | 2 | 0 | 5:0 | 11 |
| ტრევიზო | 5 | 3 | 2 | 0 | 5:2 | 11 |
| კოზენცა | 5 | 1 | 1 | 3 | 3:5 | 4 |
| გუალდო | 5 | 0 | 1 | 4 | 2:8 | 1 |

VI ჯგუფი

ნაპოლი 3:0 სალერნიტანა

ფერმანა 0:3 კომო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნაპოლი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 10 |
| სალერნიტანა | 5 | 3 | 1 | 1 | 13:8 | 10 |
| კომო | 5 | 2 | 2 | 1 | 10:8 | 8 |
| ფერმანა | 5 | 0 | 0 | 5 | 4:16 | 0 |

VII ჯგუფი

ბრეშა 1:0 სტაბია

რეჯანა 1:0 პესკარა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრეშია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:9 | 7 |
| პესკარა | 4 | 2 | 0 | 2 | 3:3 | 6 |
| რეჯანა | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| სტაბია | 4 | 1 | 1 | 2 | 7:4 | 4 |

VIII ჯგუფი

ალძანო 0:1 სპალ

ვიჩენცა 1:1 რავენა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რავენა | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| ვიჩენცა | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| ალძანო | 5 | 1 | 1 | 3 | 4:4 | 4 |
| სპალ | 5 | 2 | 1 | 2 | 4:8 | 7 |

# ცუდი ბარსელონა

იტალიური სერია A-ს ერთ-ერთმა ფავორიტმა, „ფიორენტინამ“, შეიძლება უეფაში საჩივრის წერილი შეიტანოს. ფლორენციელებს არ მოსწონთ „ბარსელონასთან“ ჩემპიონთა ლიგის მომავალ მატჩზე ბილეთების განაწილება.

გუშინ მილანური გაზეთი, „გაძეტა დელო სპორტი“ წერდა, რომ ესპანურმა კლუბმა იტალიელი გულშემატკივრებისთვის ათას ბილეთზე ოდნავ მეტი გამოჰყო, მაშინ როდესაც ქალაქის ცნობილ სტადიონ „კამპ ნოუზე“ 98 ათასი ადამიანი ეტევა.

გაზეთი აგრეთვე წერს, რომ „ფიორენტინას“ პროტესტს ლიგის B ჯგუფის კიდევ ორი გუნდი, ლონდონის „არსენალი“ და აიკიც შეუერთდება.

გეხსომებათ, რომ ჩემპიონთა ლიგის გასული გათამაშების ფინალი „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ბაიერნს“ შორის სწორედ ბარსელონაში, „კამპ ნოუზე“ გაიმართა და ბილეთების განაწილების კატალონიური წესი მაშინაც საშინლად გაკრიტიკებული დარჩა.

ვთავაზობთ სამსახურს კომპიუტერზე
კვალიფიციურად მბეჭდავ ახალგაზრდა ქალს
დარეკეთ 93 16 08
12-დან 15 საათამდე

## ბელგია

სუპერთასის გათამაშება

გენკი 1:3 ლიერსი

1:0 რუფინიო (17), 1:1 პეელმანი (35), 1:2, 1:3 მისეგემსი (82,88)

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| თარიღი | № | მატჩი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. VI ტური** | | | |
| 04.09 | 027 | ბარნსლი — ტრანმერი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 028 | ქრიუ — ვესტ ბრომვიჩი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 029 | ფულემი — პორტსმუთი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 030 | ჰადერსფილდი — იფსვიჩი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 031 | ნორვიჩი — მანჩესტერ სიტი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | 032 | ნოტინგემი — უოლსოლი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 033 | შეფილდი — კრ. პალასი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 034 | სტოკპორტი — ქუინზ პარკი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 035 | სუინდონი — ბლექბერნი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 036 | ვულვერჰემპტონი — ჩარლტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 05.09 | 037 | ბოლტონი — ბირმინგემი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 038 | პორტვეილი — გრიმსბი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. VI ტური** | | | |
| 04.09 | 039 | ბრენდფორდი — კარდიფი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 040 | ბრისტოლი — ბლეკპული | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 041 | ბარნლი — ბორნმუთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 042 | კემბრიჯი — სტოკი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 043 | კოლჩესტერი — უიგანი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 044 | ჯილინგემი — ოლდემი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 045 | ლუტონი — ბერი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 046 | მილუოლი — რედინგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 047 | ოქსფორდი — უიკომბი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 048 | პრესტონი — ჩესტერფილდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 049 | სკანთორპი — როვერსი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 050 | რექსემი — ნოტსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი** | | | |
| 04.09 | 051 | ბარნეტი — მაკლსფილდი | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| | 052 | დარლინგტონი — ექსეტერი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | 053 | ჰართლპული — საუთენდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 054 | ჰალი — ჩესტერი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | 055 | ლეიტონი — შრიუსბერი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 056 | მენსფილდი — პიტერბრო | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 057 | ნორთჰემპტონი — კარლაისლი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 058 | პლიმუთი — ბრაიტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 059 | როჩდეილი — ჰალიფაქსი | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| | 060 | როტერჰემი — იორკი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | 061 | სუონსი — ჩელტენემი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 062 | ტორკი — ლინკოლნი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. VII ტური** | | | |
| 03.09 | 063 | ნიორი — გენიონი | 2,7 | 2,9 | 2,8 |
| | 064 | ლე მანი — ლორიანი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 065 | კაენი — ვალანსი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 066 | ნიცა — ნიმი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 067 | აიაჩო — ლავალი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 068 | შატორუ — გენგამი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 069 | ლუანი — ამიენი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 070 | ტულუზი — ლილი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 071 | ვასკეალი — სოშო | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | 072 | კრეტეი — კანი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | | **იტალია. სერია B. II ტური** | | | |
| 06.09 | 073 | ატალანტა — ტრევიზო | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 074 | ფერმანა — პისტოიეზე | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| | 075 | მონცა — ნაპოლი | 2,8 | 2,7 | 2,4 |
| | 076 | პესკარა — კიევო | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| | 077 | რავენა — კოზენცა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| | 078 | სალერნიტანა — ჩეზენა | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 079 | სამპდორია — ბრეშა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 080 | სავოია — ემპოლი | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| | 081 | ტერნანა — ალძანო | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | 082 | ვიჩენცა — ჯენოა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | | **იტალია. სერია C1/A. I ტური** | | | |
| 05.09 | 083 | კომო — ჩიტალელა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 084 | ლივორნო — კარარეზე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 085 | ლუმეცანე — პიზა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 086 | მონტევარკი — მოდენა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 087 | რეჯანა — ალბინოლეფე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 088 | სანდონა — ლეკო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | 089 | სიენა — ლუკეზე | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 090 | სპალ — კრემონეზე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 091 | ვარეზე — ბრეშელო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | | **იტალია. სერია C1/B. I ტური** | | | |
| 05.09 | 092 | ანკონა — ნოჩერინა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | 093 | აველინო — ლოდიჯანი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 094 | დი სანგრო — კროტონე | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| | 095 | კატანია — ჯულიანოვა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 096 | ფ. ანდრია — ასკოლი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,03,2 | 2,3 | |
| | 097 | გუალდო — ატლეტიკო | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 098 | სტაბია — არეცო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | 099 | პალერმო — ბენევენტო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | 100 | ვიტერბეზე — მარსალა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. III ტური** | | | |
| 04.09 | 101 | ბადახოსი — ელჩე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 102 | კამპოსტელა — მერიდა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| | 103 | ოსასუნა — ატლეტიკო B | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 104 | ესტრემადურა — ლეგანესი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 05.09 | 105 | ხეტაფე — ეიბარი ($14^{30}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 106 | ალბასეტე — ვილიარეალი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 107 | სალამანკა — ლევანტე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 108 | ლეიდა — ტენერიფე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 109 | ლოგრონიესი — სპორტინგი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 110 | ლას პალმასი — უელვა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 111 | კორდობა — ტოლედო | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | | **ბელგიის ლიგის თასი** | | | |
| 03.09 | 112 | გენტი — ლოკერენი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 113 | სენტ ტრუიდენი — ვესტერლო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 114 | ბეერსხოტი — ჰარელბეკე | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 06.09 | 115 | კორტრაიკი — ანდერლეხტი | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| | 116 | ანტვერპენი — მუსკრონი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | | **ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები** | | | |
| 03.09 | 502 | აზერბაიჯანი — პორტუგალია | 14,0 | 8,0 | 1,05 |
| 04.09 | 503 | ბელარუსი — უელსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 504 | დანია — შვეიცარია | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 505 | ნორვეგია — საბერძნეთი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 506 | ალბანეთი — ლატვია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 507 | სლოვენია — საქართველო | ანგარიში — | | 5,0 |
| | 508 | ფინეთი — გერმანია | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| | 509 | ჩრდ. ირლანდია — თურქეთი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 510 | უკრაინა — საფრანგეთი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| | 511 | ისლანდია — ანდორა | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 512 | რუსეთი — სომხეთი | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| | | 0:3 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 513 | ინგლისი — ლუქსემბურგი | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| | | 0:4 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 514 | შვედეთი — ბულგარეთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,3 |
| | 515 | ავსტრია — ესპანეთი | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| | 516 | სლოვაკეთი — რუმინეთი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | 517 | ლიხტენშტაინი — უნგრეთი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| | 518 | ხორვატია — ირლანდია | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 519 | ბოსნია — შოტლანდია | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 520 | ფარერები — ესტონეთი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 521 | ლიტვა — ჩეხეთი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 05.09 | 522 | კვიპროსი — ისრაელი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 523 | იუგოსლავია — მაკედონია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | | 0:2 | 1,8 | 3,1 | 3,0 |
| | | **ამხანაგური მატჩი** | | | |
| 04.09 | 524 | ჰოლანდია — ბელგია | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 525 | არგენტინა — ბრაზილია | 2,3 | 2,8 | 2,9 |

**შესავსები ქვითრის მარცხენა სვეტში არჩეული წყვილის შესაბამისი ნომრის მითითება აუცილებელია** (ნომრისა და წყვილის შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტულად ჩაწერილი წყვილი ჩაითვლება)

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". თითოეული მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თახა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# იუგოსლაველები და ფრანგები ფინალში გველიან

*სლოვაკეთში, ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში სასპარეზოდ გამგზავრების წინ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი „სარბიელთან“ საუბრისას სინანულით აღნიშნავდა, რომ გუნდმა, ისიც სამი ლეგიონერის გარეშე, მხოლოდ ერთი კვირა ივარჯიშა ნორმალურად და საკვალიფიკაციო ეტაპს ღვთის წყალობით თუ დავძლევთო.*

*ღვთის წყალობა იყო, სწორი სათამაშო ტაქტიკა, თუ ჩვენი ჭაბუკების თავდადება, საქართველო იმ სამეულში მოხვდა, რომელიც მომდევნო ეტაპზე იასპარეზებს.*

*სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით ვესაუბრეთ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს, რომლის დებიუტი ნაკრებში მართლაც ჩინებული გამოდგა*


ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი

**— მოდით, ნუღარ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ თქვენ ცოტა ემოციური პიროვნება ბრძანდებით. თუ გავითვალისწინებთ ნაკრების მომზადებისთვის არასახარბიელო პირობებს და თქვენს დებიუტს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში, სანერვიულო მართლაც გქონდათ. ამ მხრივ სლოვაკეთში პრობლემები ხომ არ წამოჭრილა?**

— მწვრთნელს და თანაც ჩვენს პირობებში, ამ საერთო გაჭირვებაში, სანერვიულოს რა გამოულევს. ძალიან დამეხმარა ნაკრების მეორე მწვრთნელი გელა წულაძე. მისი დახმარებით შევძელი ემოციების მოთოკვა და ერთობლივადაც დავძლიეთ საკვალიფიკაციო ეტაპი.

**— სლოვაკეთში გამგზავრების წინ მოსამზადებელი პერიოდით უკმაყოფილო იყავით. ახლა როგორ ფიქრობთ, საქართველომ რომ საკვალიფიკაციო ეტაპი დაძლია, ეს მართლაც მხოლოდ ღვთის წყალობა იყო თუ...**

— ტურნირის დამთავრების შემდეგ პირველ-მეორე ადგილებზე გასული ფრანგები და იუგოსლავიელები ასე დაგვემშვიდობნენ: გელით ზაგრებში, ფინალური ტურნირის მასპინძელი ქალაქიში, დარწმუნებულები ვართ, იქ თქვენც მოხვდებითო. ესე იგი, ჩვენმა გუნდმა დატოვა ასეთი შთაბეჭდილება. რამდენად გავამართლებთ ფრანგებისა და იუგოსლავიელების იმედს, ეს უკვე ჩვენს მუშაობაზე და ბიჭების მონდომებაზეა დამოკიდებული.

ფრანგებმა და იუგოსლავიელებმა სლოვაკეთის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის ორწლიანი გეგმა შეადგინეს და სამასი ათასი დოლარი დახარჯეს. მართალია, ჩვენმა მაღლებმა ძალიან კარგად ითამაშეს, მაგრამ ჯერჯერობით არც ჩვენი ბიჭები არიან პროფესიონალები და წარმატება მართლაც ღვთის წყალობა იყო, თორემ ტურნირამდე შვიდი, მაქსიმუმ ათი დღით ადრე შეკრებილი გუნდით მომდევნო ეტაპზე გასვლას სხვა რა უნდა დაერქვას, თუ არა სასწაული.

**— თუ საიდუმლო არ არის, გვითხარით, ჩვენს გუნდზე რა თანხა დაიხარჯა საკვალიფიკაციო ტურნირისათვის მზადებისას?**

— რომ არ ეყოჩალა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბატონ გოგი ქათამაძეს, ტურნირზე გასამგზავრებელი გზის ფულიც არ გვქონდა და ასპარეზობის მიღმა ვრჩებოდით.

**— ამბობთ, ჩვენმა მაღლებმა გვასახელესო, კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

— დიდი მადლობელი ვარ ზაზა ფაჩულიასი და ნიკოლოზ ცქიტიშვილის. ისინი ერთად კაცებივით იბრძოდნენ მოედანზე, უშუალოდ ფაჩულია-ცქიტიშვილის დუეტის დამსახურებაა, რომ იუგოსლავიასთან შვიდი, ხოლო პირველ ადგილზე გასულ ფრანგებთან მხოლოდ ოთხი ქულის სხვაობით დავმარცხდით. საფინალო სირენამდე მატჩის ბედი გაურკვეველი იყო და გამარჯვებისთვის თითოეული გუნდის შანსი ორმოცდაათი-ორმოცდაათზე რჩებოდა. ჩვენმა მაღლებმა ტურნირზე მოასპარეზე ყველა გუნდის მაღლები დაჩაგრეს, რასაც ვერ ვიტყვი ჩვენს მსროლელებსა და გამთამაშებლებზე.

ფრანგებმა ესეც კი გვითხრეს — მოგვეცით თქვენი მაღლები და ასპროცენტიან გარანტიას ვიძლევით, რომ ჩემპიონები გავხდებითო. ფრანგებს ერთი ძალიან კარგი გამთამაშებელი ჰყავთ და იქით მოვთხოვეთ სპორტსმენი. რაღა ჩვენ მოგცეთ სამი კალათბურთელი, თქვენ მოგვეცით ერთი და თვითონ გავხდებით ჩემპიონებიო.


ზაზა ფაჩულია

**— სამი კალათბურთელიდან ფრანგები ფაჩულიას და ცქიტიშვილს რომ ვარაუდობდნენ, დიდი გამოცნობა არ სჭირდება. მესამე ვინ იყო, უგრეხელიძეზე ხომ არა?**

— დიახ, საუბარი იყო დავით უგრეხელიძეზე. დიდი ხანი არ არის, რაც იგი სლოვენიაში ვარჯიშობს, მაგრამ ამ მოკლე დროში ძალიან შეცვლილა. იმდენი დატვირთვა არ ჰქონია, რაც ფაჩულიასა და ცქიტიშვილს, მაგრამ როცა მოედანზე იყო, ძალიან ჭკვიანურად და ვაჟკაცურად თამაშობდა. ცოტა ფეხების პრობლემა აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისიც ძალიან პერსპექტიულია. მოკლედ, მომავლის გუნდია, ოღონდ უკანა ხაზის მოთამაშეებთან დიდი სამუშაო გველის.

**— არადა, ქართული კალათბურთი მუდამ გამოირჩეოდა ნიჭიერი მსროლელებითა და გამთამაშებლებით. ამჟამინდელ კრიზისს რით ახსნით, რა გამოგვეპარა, რა ვერ შევამჩნიეთ?**

— ამ თემაზე საუბარი შორს წაგვიყვანს და ვეცდები, რაც შეიძლება მოკლედ გიპასუხოთ. შეიძლება ბევრ მწვრთნელს ეწყინოს, მაგრამ მინდა მათ მეგობრულად ვუთხრა, რომ ნუ ჩათვლიან თავიანთ მუშაობას დამაკმაყოფილებლად. არც მე ვარ საკუთარი თავით კმაყოფილი. აშკარაა, ჩვენთან არ მიმდინარეობს სათანადო სწავლება და ძალიან ჩამოვრჩებით ევროპულ სკოლას. თუ გამოგვიჩნდნენ ტანმაღალი კალათბურთელები, ეს სელექციონერების დამსახურებაა და არა რომელიმე მწვრთნელის. ვერავინ დამარწმუნებს, რომ ფაჩულია საქართველოში დარჩენით იმდენს მიაღწევდა, დღეს რომ თამაშობს. მგონი, ცქიტიშვილმა და უგრეხელიძემ უცხოეთში წასვლა ცოტა დააგვიანეს კიდეც.

ყველაფერ ამას ქართულ კალათბურთზე დარდი მალაპარაკებს. იქნებ როგორმე გამოვიდეთ იმ ჭაობიდან, სადაც დიდი ხანია, ვიმყოფებით.

**— თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს, რომ ქართულმა კალათბურთმა ჭაობს თავი დააღწიოს?**

— ფინანსური პრობლემები თუ არ მოგვარდა, არაფერი გამოვა.

რასაც ფაჩულიას, ცქიტიშვილსა და უგრეხელიძეს თურქეთსა და სლოვენიაში უკეთებენ, ჩვენ ანალოგიურს ვერ გავუკეთებთ და ჯერჯერობით ვერც დავპირდებით. ბავშვი სათამაშო ფორმით რომ დავაინტერესოთ, ისიც კი არ შეგვიძლია და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ბევრი ბავშვი ვარჯიშებზე იმიტომ არ დადის, რომ გზის ფული არ აქვს. ბევრიც მხოლოდ კვირაში ერთხელ დადის უფულობის გამო. არადა, ევროპაში მათი ტოლები კვირაში ექვსჯერ ვარჯიშობენ.

**— იუგოსლავიასთან და საფრანგეთთან წაგებულ მატჩებზე ნაწილობრივ უკვე თქვით, თანაბარი ბრძოლა იყო და გამარჯვებას ორივე გუნდი იმსახურებდაო. უფრო კონკრეტულად ვერ გვეტყვით?**

— გამარჯვებას იმსახურებდნენ ჩვენი მაღლები, თორემ გამთამაშებლებმა და მსროლელებმა აშკარად დაგვალალატეს. როდესაც ოცდაერთჯერ კარგავ ბურთს, ეს იმაზე მეტყველებს, რომ მეტოქე აშკარად გჯობნის ფიზიკურად. ამიტომაც ვერ გავუძელით პრესინგს. უკანა ხაზზე ვინც დავაყენე, ვერავინ გამიმართლა. არც იმას გამოვრიცხავ, რომ იუგოსლაველთა მწვრთნელი ჩემზე გამოცდილი იყო. როდესაც გუნდი ორი წლის მანძილზე ემზადება, დაახლოებით ორმოცდაათი მატჩი ხომ მაინც უნდა ჩაატაროს. ამ ხნის მანძილზე ბავშვი ყველანაირად უნდა მოამზადო და ეტყობოდათ კიდეც.

სამაგიეროდ, გავილაღეთ თავდასხმაში, დაფარება გინდა თუ ბურთის მოხსნა, ორივე ფარზე ჩვენი ბიჭები ბატონობდნენ. არა მარტო იუგოსლავიელებისა და ფრანგების, არამედ ყველა მეტოქის მაღლები ჩვენებმა ყოველმხრივ დაჩაგრეს.

**— როდის მიხვდით, რომ საკვალიფიკაციო ბარიერი დაძლეული გქონდათ?**

— ფრანგებმა და იუგოსლავიელებმა ტურნირის დამთავრებამდე დაიბევს მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება. რაც შეეხება მესამე გუნდს, იგი ბოლო ტურში უნდა გარკვეულიყო ჩვენსა და რუმინეთს შორის შეხვედრაში. ორივე გუნდი ბოლო ტურამდე სლოვაკეთისა და ავსტრიის დამარცხებით მივედით.

მართალია რუმინელები ძალიან უხეშობდნენ დაცვაში, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენი მაღლების ხარჯზე შესარჩევ ტურნირზე თამაშის უფლებას მოვიპოვებდით. ასეც მოხდა. ბოლო ტურში უკანა ხაზის მოთამაშეებმაც კარგად ითამაშეს, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. ჩემი დავალება ფრიადზე შეასრულეს ხეცურიანმა და ტულუშმა. ბოლო ტურში გამიმართლა გამთამაშებელმა ბუბა ბერიშვილმაც, რომელიც თავის ამპლუაში ყველაზე კარგად გამოიყურებოდა.

**— თუ ანგარიშით ვიმსჯელებთ, ტურნირზე მოპოვებული სამი გამარჯვებიდან ყველაზე ძნელი სლოვაკების დამარცხება უნდა ყოფილიყო, რადგან ჩვენი გუნდის უპირატესობა მხოლოდ ოთხი ქულით (65:61) გამოიხატა.**

— სლოვაკეთი რომ ძლიერი გუნდი არ იყო, იუგოსლავიასთან მათმა შეხვედრამაც დაამტკიცა, ორმოცდათხუთმეტი ქულის სხვაობით დამარცხდნენ. ჩვენთან მოგების შემთხვევაში სლოვაკებს მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგი შანსი ეძლეოდათ და ამიტომ ყველაფერი იკადრეს. მასპინძლები გამარჯვების მოსაპოვებლად არაფერს ერიდებოდნენ, მსაჯებიც ეხმარებოდნენ. ისევ ჩვენმა ტანმაღალმა კალათბურთელებმა გვიხსნეს. იყო მომენტი, როდესაც თორმეტ ქულას ვიგებდით. საფინალო სირენამდე შვიდი წუთით ადრე რვა ქულითაც ჩამოვრჩით მეტოქეს, მაგრამ გამარჯვება მაინც ძლიერს დარჩა.

**— თითქმის ყველა ტურნირზე ასახელებენ საუკეთესო მოთამაშეებს. სლოვაკეთის ტურნირის ორგანიზატორებს თუ ჰქონდათ დაწესებული ასეთი პრიზი?**

— არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საუკეთესო მოთამაშის პრიზი რომ დაეწესებინათ, მისი მფლობელი უდავოდ ზაზა ფაჩულია გახდებოდა.

**— შესარჩევი ტურნირის კენჭისყრა როდისაა დაგეგმილი და ტურნირის ჩატარების დრო ან ადგილი თუ არის ცნობილი?**

— კენჭისყრა ნოემბრის დასაწყისში გაიმართება, ტურნირი კი მომავალი წლის აპრილშია დაგეგმილი, ჩატარების ადგილი ჯერჯერობით უცნობია.

**— ნაკრების შემადგენლობაში რაიმე ცვლილებები ხომ არ არის მოსალოდნელი?**

— აპრილამდე დიდი დროა და ამიტომ ზუსტად ვერ გეტყვით.

საერთოდ, მინდა, ჭაბუკთა დღევანდელი ნაკრების წევრებს დიდი მადლობა გადავუხადო. ოდნავი შელაპარაკებაც კი არ ყოფილა. ამ მოკლე დროში ძალიან შეკრული გუნდი ჩამოყალიბდა. ტურნირის დამთავრების შემდეგ თითქმის ყველამ თქვა, უკვე ვიცით, რაზე უნდა ვიმუშაოთ და ძალასა და ენერგიას არ დავიშურებთო. როგორ შეასრულებენ თავიანთ სიტყვას, ეს უკვე მათზეა დამოკიდებული. თუ ასე წავა მუშაობის პროცესი, ღვთის წყალობით ჩვენც კარგ შედეგებს მივაღწევთ.

**— შესარჩევი ტურნირისთვის მზადების გეგმა თუ შეადგინეთ?**

— ამაზე ჯერ ფიქრის დროც არ მქონია. მომავალ წლამდე ერთ ტურნირში მაინც რომ მივიღოთ მონაწილეობა, დიდი საქმე იქნება.

მომავალი წლის თებერვალ-მარტში კი ერთი შეკრება თურქეთში ზაზა ფაჩულიას დახმარებით უკვე გადაწყვეტილია. შევიერთებთ ზაზა ფაჩულიას, გამოვიძახებთ სლოვენიელ ლეგიონერებს და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ფინალურ ტურნირზე თამაშის უფლება მოვიპოვოთ.

**როლანდ ლაბუჩიძე**

## ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი
25-29 აგვისტო. სვიტი. სლოვაკეთი

25 აგვისტო

**საქართველო 82:89 იუგოსლავია**
(პირველი ტაიმი 34:45)

საქართველო: ბაბიაშვილი (11), ბერიშვილი (2), ხეცურიანი (2), მარკოიშვილი (2), მოისწრაფიშვილი (5), მშვილდაძე (1), ფაჩულია (19), შანიძე (14), ცქიტიშვილი (13), ტულუში (8), უგრეხელიძე (5)

იუგოსლავია: ალექსიჩი (10), ბაკიჩი (10), ჯორჯევიჩი (1), გაიჩი (9), იევდიჩი (12), იოვანოვიჩი (6), კოვაჩი (11), მილკოვიჩი (1), პანტიჩი (6), პოპოვიჩი (7), უროშევიჩი (16), ვორკაპიჩი

26 აგვისტო

**საქართველო 65:61 სლოვაკეთი**
(პირველი ტაიმი 36:31)

საქართველო: ბაბიაშვილი (9), ბერიშვილი (1), ხეცურიანი (2), მარკოიშვილი, მოისწრაფიშვილი (4), მშვილდაძე (7), ფაჩულია (20), შანიძე (6), ცქიტიშვილი (14), ტულუში, უგრეხელიძე (2)

სლოვაკეთი: ბისტაკი, ბლაჟიჩეკი, დემო, პანიშაკი (4), პრუშკა (4), პუსარი, პუშკა (2), კუკლა (21), ლორინჩიკი, მიხელი (23), ოპატოვსკი (5), ტორმა (2)

27 აგვისტო

**საქართველო 72:43 ავსტრია**
(პირველი ტაიმი 36:26)

საქართველო: ბაბიაშვილი (8), ბერიშვილი, კეიდია (2), ხეცურიანი (19), მარკოიშვილი (11), მოისწრაფიშვილი, მშვილდაძე, ფაჩულია (12), შანიძე (4), ცქიტიშვილი (1), ტულუში (6), უგრეხელიძე (9)

ავსტრია: ბაუტისტა (3), გასპარი (5), გიანე (6), კნაბლი (8), კუჩერა (2), ლასკა (2), მიულნერი, ოსტროვიცი (2), რინერი (2), შიონინგერი (3), ტრაგერი, ვოშანკი (10)

28 აგვისტო

**საქართველო 54:58 საფრანგეთი**
(პირველი ტაიმი 31:28)

საქართველო: ბაბიაშვილი (5), ხეცურიანი (2), მარკოიშვილი (4), მოისწრაფიშვილი (1), მშვილდაძე (1), ფაჩულია (19), შანიძე (2), ცქიტიშვილი (18), ტულუში (2)

საფრანგეთი: ალტიე (2), დიავი (10), ფრაპრო, მიშალსკი (2), მულერი (2), პარკერი (28), პიეტრუსი (5), რუპერტი, შაშჩაკი (5), იანგო (4)

29 აგვისტო

**საქართველო 73:57 რუმინეთი**
(პირველი ტაიმი 38:28)

საქართველო: ბაბიაშვილი (11), ბერიშვილი (5), კეიდია, ხეცურიანი (6), მარკოიშვილი, მოისწრაფიშვილი, მშვილდაძე, ფაჩულია (20), შანიძე (4), ცქიტიშვილი (3), ტულუში (20), უგრეხელიძე (4)

რუმინეთი: ანდრონესკუ (11), დორნესკუ (13), დრაგუში, გირიტი (6), კულჩსარი (10), მოსკალუ, პუფი, რუნჩიანუ (8), სინდიანი, შიარტო (3), ჟიგული (6)

*საბოლოო კლასიფიკაცია: 1 საფრანგეთი, 2 იუგოსლავია, 3 საქართველო, 4 რუმინეთი, 5 სლოვაკეთი, 6 ავსტრია*

| საქართველო | თ. | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხ. | პასი | ჩაჭ. | ფ. | ქ. | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფაჩულია | 5 | 155 | 26/56 | 0/0 | 38/51 | 44 | 4 | 6 | 9 | 90 | 18,0 |
| ცქიტიშვილი | 5 | 129 | 13/25 | 2/6 | 17/33 | 42 | 3 | 8 | 8 | 49 | 9,8 |
| ბაბიაშვილი | 5 | 84 | 14/31 | 0/1 | 16/25 | 22 | 0 | 10 | 6 | 44 | 8,8 |
| ტულუში | 5 | 97 | 4/10 | 6/11 | 10/12 | 15 | 5 | 8 | 11 | 36 | 7,2 |
| ხეცურიანი | 5 | 81 | 7/11 | 3/14 | 8/10 | 5 | 3 | 7 | 10 | 31 | 6,2 |
| შანიძე | 5 | 78 | 10/23 | 1/9 | 7/8 | 11 | 1 | 0 | 5 | 30 | 6,0 |
| უგრეხელიძე | 4 | 46 | 6/13 | 0/0 | 8/10 | 15 | 2 | 4 | 11 | 20 | 5,0 |
| მარკოიშვილი | 5 | 72 | 4/10 | 2/9 | 3/4 | 8 | 4 | 7 | 5 | 17 | 3,4 |
| ბერიშვილი | 4 | 79 | 2/6 | 0/7 | 4/6 | 15 | 4 | 10 | 12 | 8 | 2,0 |
| მოისწრაფიშვილი | 5 | 72 | 2/8 | 0/6 | 6/8 | 11 | 2 | 8 | 15 | 10 | 2,0 |
| მშვილდაძე | 5 | 90 | 2/6 | 0/0 | 5/12 | 10 | 3 | 7 | 12 | 9 | 1,8 |
| კეიდია | 2 | 17 | 1/2 | 0/2 | 0/0 | 4 | 0 | 0 | 4 | 2 | 1,0 |
| *სულ* | *5* | *—* | *91/201* | *14/65* | *122/179* | *202* | *31* | *75* | *108* | *346* | *69,2* |

## აზიის ჩემპიონატი. 28.08-5.09. იაპონია

### მეორე ჯგუფური ეტაპი. II ტური

1 სექტემბერი

**E ჯგუფი:** კუვეიტი — ლიბანი 86:81, ჩინეთი — საუდეთი 85:56

**F ჯგუფი:** კორეა — იაპონია 64:61, ტაივანი — სირია 89:81

US OPEN

# გორანის სამი მე

მედიცინაში მას შიზოფრენია ჰქვია, კინოში — ბეტმენი, ჩოგბურთში — გორან ივანიშევიჩი.

ამ ბოლო ხანებში ექსტრავაგანტური და გულღია ხორვატი მეტისმეტად უხეიროდ თამაშობს, კლასიფიკაციაშიც სულ ქვევით მიექანება და პირველად ბოლო ათწლეულის მანძილზე, „ოუფენზე" განთესილიც კი არ არის, მაგრამ ამას შესანიშნავი მიზეზი მოეძებნება — მას კორტზე პიროვნების გასამება ემართება-ხოლმე.

„მხოლოდ მატჩის დაწყების შემდეგ ვარკვევ, რომელი გორანი აპირებს ამ დღეს თამაშს. ხანდახან ვკამათობთ, არა მე, არა შენ-მეთქი. დღეს მარტო ორნი ვიყავით — კარგი და ცუდი, სხვა დროს კი მესამეც გვიერთდება. სახელები მათთვის არ შემირქმევია, მე, მე და მე ვართ ყველანი. შეიძლება ეს ყველაფერი მაყურებლებს მოსწონდეთ, მაგრამ თავად ხშირად ვიბნევი."

ასე რომ, ივანიშევიჩს მეტოქეებთან ერთად საკუთარ თავთან, მეორე და მესამე „მე"-ებთან ბრძოლაც უხდება და რა გასაკვირია, თუ უფრო ხშირად ამდენ გაწამაწიას თავს ვერ ართმევს — წლეულს ცხრაჯერ პირველ წრეში დამარცხდა.

ისეთი მარტივი გდაწყვეტილების მიღებაც კი, როგორც, მაგალითად, ბადესთან გასვლაა, გორანისთვის დიდ პრობლემად იქცევა-ხოლმე: ყველა „მე" სხვადასხვა ბრძანებას იძლევა.

„უფეხებოდ ბადესთან ვერ გახვალ — ეს 5, 10 მეტრია, რაც იოლი სულაც არ არის. ჯერ წინ გაქცევა მინდა, მერე უცებ აღარ მინდა. როცა უკანა ხაზზე ვრჩები, ვფიქრობ, რატომ წინ არ წავხვედი-მეთქი, თუ წინ წავედი, მაშინ პირიქით. ყოველთვის კითხვები მიტრიალებს თავში — რატომ? რატომ?"

თანაუგრძნობთ გორანს?

ერთმა კეთილმა ჟურნალისტმა პრესკონფერენციაზე ხორვატს ფსიქოლოგთან მისვლა ურჩია, თუმცა უიმბლდონის სამგზის ფინალისტი ამის გაკეთებას, ჯერჯერობით მაინც, არ აპირებს.

„არა მგონია, სხვა ვინმემ გამიგოს, თავადაც კარგი ფსიქოლოგი ვარ, ბექჰენდები და ფორჰენდები ხომ მე უნდა დავარტყა. ფსიქოლოგი ვერ გეტყვის, ახლა ეისი დაარტყი, ბრეიკ-პოინტიაო. ისინი გეუბნებიან, ყურადღება გაამახვილე, ისუნთქე, ისუნთქეო. შენც სუნთქავ, სუნთქავ, მაგრამ მაინც არაფერი გამოგდის."



გორან ივანიშევიჩი



REUTERS ნიუ იორკიდან

ვინუს უილიამსი

პირველი წრის მატჩში თავისზე ერთი თავით დაბალ, ტურნირზე კვალიფიკაციიდან მოხვედრილ ფინელ ვილე ლუკოსთან კარგმა გორანმა ცუდს აჯობა, 15 ორმაგი შეცდომა 27 ეისით აუნაზღაურა და 7:5, 7:6 (7:5), 4:6, 6:2 იმარჯვა.

ივანიშევიჩი ბადის იმ ნახევარში იმყოფება, რომელშიც პიტ სამპრასისა და პატრიკ რაფტერის ტრავმებით გავარდნის შედეგად ფავორიტების მხრივ დიდი სიხალვათეა შექმნილი. ასე რომ, თუ კარგი გორანი ცუდს კიდევ ორიოსამი მატჩის მანძილზე დაჯაბნის, ამასობაში ძველი თავდაჯერება და ფორმაც დაბრუნდება და ხორვატთან შეხვედრასაც, ალბათ, აღარავინ მოისურვებს.

„ბოლო ხანებში საერთოდ არ ვიცი, რას ვაკეთებ კორტზე, მაგრამ თუ იქ ჩოგბურთს ვთამაშობ, ახლაც ნებისმიერის დამარცხება შემიძლია. ამ წუთისთვის ფინალი ძალიან შორს მეჩვენება, ევერესტივით."

და თუ სასწაული მაინც მოხდა, რომელი „მე" მიიღებს აშშ-ის ღია პირველობის გამარჯვებულის ჯილდოს? — „ჩვენ ყველანი. ერთი ჯილდო ჩემთვის იქნება, კიდევ ორს კი მათთვის ისე ვიყიდი."

კაცებს შორის ოთხშაბათს მხოლოდ ორი მეორე წრის შეხვედრა გაიმართა და ერთ მათგანში, სამპრას — რაფტერის არყოფნაში, გამარჯვების ლამის მთავარ პრეტენდენტად ქცეული ევგენი კაფელნიკოვი (3) მონაწილეობდა.

სოჭელ ჟენიას არც დაუმალავს, რომ ზემოხსენებულ ფავორიტთა ნაადრევად აბარგებამ არცთუ მაინცდამაინც დასწყვიტა გული: „ასეთი ჩოგბურთელების გავარდნა (მიზეზის მიუხედავად) ცოტათი ყოველთვის შვებას გვგვრის, ამან გამარჯვების გაცილებით მეტი შანსი მისცა სხვებს, ჩემი ჩათვლით. მსგავსი რამ ხშირად არ ხდება, ამიტომ უნდა შეგეძლოს ამ შესაძლებლობის გამოყენება."

25 წლის ავსტრალიის ღია ჩემპიონატის გამარჯვებულის მეტოქე მეორე წრეში 1,92-მეტრიანი ბელარუსი მაქს მირნი იყო, რომელთან ერთადაც ჟენია ხშირად წყვილებში ასპარეზობს.

კაფელნიკოვი მთელი მატჩის მანძილზე შესანიშნავად აწოდებდა და ბელარუსს ერთი ბრეიკიც არ დაანება, მაგრამ მახლობელ ბრაიტონ-ბიჩზე გაზრდილ მირნის ხმამაღალმა ქომაგობამ ფრთები შეასხმევინა და ბოლოში სახელოვან მეტოქეს გვარიანად გაუძალიანდა.

„პირველი ორი სეტის მერე მეგონა, საქმეს სწრაფად მოვითავებ-მეთქი, მაგრამ მერე მთელი სტადიონი მის მხარეს გადავიდა, მაქსსაც რამდენიმე არაჩვეულებრივი დარტყმა გამოუვიდა და მოსაგებად ბევრი ჯახირი დამჭირდა" — აღნიშნა მოგვიანებით ფუენიამ.

მესამე სეტის ტაი-ბრეიკზე წაგების შემდეგ კაფელნიკოვი ცოტა დაიბნა, კინაღამ მეოთხეც დაკარგა, მაგრამ გონს სწრაფად მოვიდა და 2 საათსა და 11 წუთში, 7:5, 6:1, 6:7 (5:7), 6:3 იმარჯვა.

რუსის მეტოქე მესამე წრეში შვედი იონას ბიორკმანი იქნება, რომელმაც კენეტ კარლსენს მოუგო 5:7, 6:2, 6:3, 6:3.

ქალებს შორის კორტზე არანაირი მოულოდნელობა არ მომხდარა, სამაგიეროდ, მუდმივი ოპონენტები — მარტინა ჰინგისი და უილიამსების ოჯახი მცირე ინციდენტში გაეხვნენ.

რამდენიმე დღის წინ სერენასადა ვინუსის მამამ, შერეკილმა რიჩარდ უილიამსმა ინტერვიუში განაცხადა, აშშ-ის ღია პირველობის ფინალში უეჭველად ჩემი ქალიშვილები შეხვდებიან ერთმანეთსო.

მსოფლიოს პირველ ჩოგან შვეიცარიელს, რომელმაც მეორე წრეში ფრანგი სარა პიტკოვსკი გაანადგურა 6:1, 6:1, ბუნებრივია, ეს განცხადება არ ეპიტნავა.

„უილიამსებს დიდი პირები აქვთ, ისინი ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. ასე იყო ადრე და ასე იქნება მომავალშიც — აღნიშნა ჰინგისმა პრესკონფერენციაზე — მე ეს არ მაღარდებს, პირიქით, მათზე უფრო დიდ ზეწოლას მოახდენს. თანაც, სხვა ჩოგბურთელები ამ განცხადების შემდეგ ორმაგად მონდომებულები არიან."

გრიპშეყრილმა ვინუსმა, რომელმაც მესამე წრის საგზური ანა-გეილ სიდოს 6:4, 6:3 დამარცხებით გაიფორმა, კამათი თავიდან აიცილა: „სასაცილო განცხადებაა, რას იზამ, ყველას თავისი აზრი აქვს. მაგრამ მე აქ მხოლოდ ჩოგბურთის სათამაშოდ ვიმყოფები."

პირველი წრე. კაცები: **ბრეგ რუზეცკი** (9, ინგლისი) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) 4:6, 6:2, 6:3, 6:4; **მაგნუს ნორმანი** (შვედეთი) — ფელიქს მანტია (17, ესპანეთი) 1:6, 6:1, 6:2, 6:4; **მარატ საფინი** (რუსეთი) — მიქაელ ტილსტრომი (შვედეთი) 6:2, 5:7, 6:4, 2:6, 6:4; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) 5:7, 6:4, 6:4, 1:6, 7:6 (7:2)

მეორე წრე. ქალები: **იანა ნოვოტნა** (8, ჩეხეთი) — ტინა კრიზანი (სლოვენია) 6:0, 6:3; **ტარა სნაიდერი** (აშშ) — მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) 7:5, 6:3; **პატი შნიდერი** (შვეიცარია) — ლაიზა რეიმონდი (აშშ) 6:3, 3:6, 6:3; **ანკე ჰუბერი** (გერმანია) — ენ კრემერი (ლუქსემბურგი) 6:1, 7:6 (7:5)

**ავთანდილ სვანიძე**

## აშშ-ის ღია პირველობა ციფრებში

**1** რაოდენობა ჩოგბურთელებისა, რომლებიც საკუთარი განთესვის ნომერმა გაანაწყენა და „ოუფენზე" თამაშზე უარი თქვეს. 1996-ში ევგენი კაფელნიკოვი ნიუ იორკიდან შინ გაემგზავრა, რადგან კლასიფიკაციაში მეოთხე ადგილის მიუხედავად, ორგანიზატორებმა მეშვიდედ განთესეს.

**2** ადამიანები, რომლებიც აშშ-ის ღია პირველობაზე გარდაიცვალნენ. ფოტოგრაფი ჯოზეფ საქსი 1920 წლის ფინალში ბილ ტილდენსა და ბილ ჯონსტონს შორის ორადგილიანი თვითმფრინავიდან იღებდა სურათებს, როდესაც ჯეიმს მიურეი გრიერის მიერ მართულ საფრენ აპარატს ძრავა გაუფუჭდა და „უესტ საიდ ტენის კლაბიდან" ასიოდ მეტრში მიწას დაეხეთქა.

**3** ამდენ ცაციას მოუგია აშშ-ის ღია პირველობა ერთეულებში ქალთა შორის (ევლინ სირსი 1907; მარტინა ნავრატილოვა 1983, 84, 86, 87; მონიკა სელეში 1991-92).

**4** 1950 წლის ჩემპიონის, ამერიკელი არტურ ლარსენის ცრუმორწმუნეობრივი რიტუალების რაოდენობა. ლარსენი არასოდეს აბიჯებდა ხაზებს ქულებს შორის. მოწოდებისას იმ ბურთს ითხოვდა, რომლითაც წინა ქულა მოიგო; მიწას სამჯერ უთათუნებდა ხელს; დარტყმამდე რამდენიმე წამის მანძილზე კორტისკენ ზურგშექცევით იდგა.

**5** ამდენჯერ მოუგია ერთეულებში კაცთა პირველობა ჩოგბურთელს სეტის წაუგებლად. ესენი არიან: ფრენკ პარკერი (1945), ფრენკ სეჯმენი (1952), ტონი ტრაბერტი (1953, 55) და ნილ ფრეიზერი (1960).



ჯონ მაკინროი

**6** წუთების რაოდენობა, როდესაც CBS-ის საღამოს „ახალი ამბების" დროს ეკრანზე არაფერი გადიოდა. 1987-ში წამყვანი დენ რეზერი ისე აღაშფოთა იმან, რომ შტეფი გრაფისა და ლორი მაკნეილის გაჭიანურებული ნახევარფინალის გამო მისი გადაცემა გვიან უნდა დაწყებულიყო, შენობიდან გავარდა.

**7** ტიტულების სარეკორდო რაოდენობა ერთეულებში კაცთა შორის. ეს მაჩვენებელი ერთბაშად სამ ჩოგბურთელს აქვს: რიჩარდ სირსი (1881-87), ბილ ლარნიდი (1901-02, 1907-11) და ბილ ტილდენი (1920-25, 1929).

**8** კაცების ფინალში ზედიზედ გასვლის სარეკორდო რაოდენობა. ეს მიღწევა ეკუთვნით ბილ ტილდენს (1918-25) და ივან ლენდლს (1982-89).

**10** ამდენჯერ შეხვედრიან ერთმანეთს ძმები აშშ-ის ღია პირველობაზე. უკანასკნელად 1992-ში ემილიო სანჩესმა უმცროს ძმა ხავიერს 5:7, 6:1, 6:7 (4:7), 7:6 (7:3), 6:4 მოუგო მესამე წრეში.

**16** „ოუფენის" უმრწმესი ჩემპიონი ქალის, ტრეისი ოსტინის ასაკი, რომელმაც 1979-ის ფინალში კრის ევერტს 6:4, 6:3 მოუგო.

**18** წლების რაოდენობა ზედიზედ, როდესაც ჯიმი კონორსი განთესილი იყო (1972-89).

**20-22** არტურ ეშის სახელობის ცენტრალური კორტის სკამების სიგანე დიუმებში. შეიძლება რომელიმე მაყურებელს ეს ფართობი ეცოტაოს კიდეც, მაგრამ ნიუ იორკში ასე თავისუფლად სპორტულ სარბიელზე ვერსად მოთავსდებით: „იანკის" სტადიონზე სკამების სიგანე 19-21 დიუმია, „მედისონ სკვერ გარდენში" — 20.

**21** ამდენი წუთით დააგვიანა ჯონ მაკინროიმ 1986 წელს წყვილებში პირველი წრის მატჩზე (სადაც პეტერ ფლემინგთან ერთად უნდა ესპარეზა) ქრისტო სტეინისა და დენი ვისერის წინააღმდეგ, რისთვისაც დისკვალიფიკაციაც მიიღო. მახლობელ ქუინსის უბანში გაზრდილმა მაკინროიმ დაგვიანება პიკის საათზე გადატვირთულ მოძრაობას დააბრალა.

**26** აშშ-ის პირველ ღია პირველობაზე (1881) ერთეულებში მონაწილე კაცთა რაოდენობა.

**30** ამდენჯერ გაუკეთებია „ოუფენზე" ჩოგბურთელს ჰეთ თრიქი ერთეულების, წყვილებისა და შერეული წყვილების მოგებით. უკანასკნელად ეს მარტინა ნავრატილოვამ მოახერხა 1987-ში.

**38** „ოუფენის" ყველაზე ხანდასმული ჩემპიონი კაცის ასაკი (ბილ ლარნიდი 1911-ში).

**42** „ოუფენის" ყველაზე ხანდაზმული ჩემპიონი ქალის, მოლა ბიურსტედტ მელორის ასაკი (1926).

**46,5** აკრებში აშშ-ის ღია პირველობის ფართობის სიდიდე, რაც უიმბლდონისას 4,5-ით აჭარბებს.

**60** გვერდითი მსაჯის, რიჩარდ უერთაიმის ასაკი, რომელსაც 1983 წლის აშშ-ის ღია პირველობაზე იუნიორებს შორის მომავალმა გამარჯვებულმა სტეფან ედბერგმა მოწოდება მოარტყა. დარტყმის შედეგად უერთაიმი სკამიდან გადმოვარდა, თავის ქალა დაიზიანა და რამდენიმე დღეში საავადმყოფოში გარდაიცვალა.

**2:26** ყველაზე გვიანი საათი, როდესაც ერთეულების მატჩი დასრულდა. „ფლაშინგ მედოუზზე" 1993-ში შვედმა მატს ვილანდერმა თანამემამულე მიქაელ პერნფორსს 7:6 (7:3), 3:6, 1:6, 7:6 (8:6), 6:4 მოუგო.

**326** წუთების რაოდენობა აშშ-ის ღია პირველობის ყველაზე ხანგრძლივ მატჩში. 1992-ში ნახევარფინალში სტეფან ედბერგმა ხუთ სეტში მაიკლ ჩანგს მოუგო 6:7 (3:7), 7:5, 7:6 (7:3), 5:7, 6:4, მერე კი ზედიზედ მეორედ ჩემპიონიც გახდა.

**8 000** იმ პირსახოცების დაახლოებითი რაოდენობა, რაც 1998-ის ტურნირის მანძილზე ჩოგბურთელებმა გამოიყენეს.

**97 500 $** ოცადგილიანი ლოჟის საშუალო ღირებულება არტურ ეშის სახელობის ცენტრალურ კორტზე (საკვებისა და სასმელის ჩაუთვლელად).

**1 250 000 $** ამდენს უხდის აშშ-ის ჩოგბურთის ფედერაცია ქალაქ ნიუ იორკს ყოველწლიურად იქ ტურნირის ჩატარებაში. ეს 150 ათასი დოლარით ნაკლებია იმაზე, რაც შარშან იმავე ორგანიზაციამ ერთეულების ჩემპიონებს, პატრიკ რაფტერსა და ლინდსი დევენპორტს გადასცა.

**300 000 000 $** დაახლოებით ამდენით ხეირობს აშშ-ის ღია პირველობიდან ქალაქ ნიუ იორკის ბიზნესი.

# ბერძენ-რომაელები ათენში იკრიბებიან

## ქართველები იქ ძალიან სპარტანულად მომზადებულნი მიდიან

მალე — 23-26 სექტემბერს ათენში „ბერძენ-რომაელთა“ მსოფლიოს პირველობაა. იქ ოლიმპიური ლიცენზიები გათამაშდება. ამიტომ წლევანდელი ჩემპიონატი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე შარშანდელი, ან თუნდაც შარშანწინდელი. ლიცენზიას პირველ რვა ადგილზე გასული მოჭიდავეები მიიღებენ.

ჩვენი ნაკრები ამ გადამწყვეტი ტურნირისთვის უფულობის გამო სათანადოდ ვერ ემზადება. მაისის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ბიჭებს არც შეკრება გაუვლიათ, არც ტურნირებში უასპარეზიათ... ერთი ეგ იყო, ახლახან სეოკმა ნაკრების წევრობის ორი კანდიდატი — ტარიელ მელელაშვილი და ხვიჩა ბიჩინაშვილი (ორივე 76კგ) პოლონეთში, პეტლიასინსკის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე გააგზავნა, ხოლო ბესიკ ზურაბიანი საკუთარი ხარჯით წავიდა. იქ მელელაშვილმა მეორე ადგილი დაიკავა, ბიჩინაშვილმა — მეოთხე. სეოკმა ერთი შეკრებაც გაუხერხა გუნდს, რომელიც ფალავანთა კლუბში ჩაატარეს. მადლობა ოლიმპიურ კომიტეტს მოჭიდავეთაგან, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. ჯერ კიდევ არავინ იცის, დააფინანსებს თუ არა სპორტის დეპარტამენტი დასკვნით შეკრებას. ნაკრების მთავარ მწვრთნელ ბეგი დარჩიას თუ დავუჯერებთ, დეპარტამენტმა ფული რომც გამონახოს, უკვე მაინც გვიანაა.

აი, ასეთ პირობებში ემზადება ჩვენი ნაკრები სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. თუმცა მზადება მხოლოდ ყოველდღიური ვარჯიშებით და ურთიერთშეხვედრებით ამოიწურება. ეს რომ კმაროდეს... ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძნელია წინასწარ რაიმეს დაგეგმვა. საქმეს გუნდის წევრთა ტრავმებიც ართულებს. ამის გამო მწვრთნელს ჯერ საბოლოო შემადგენლობაც ვერ დაუსახელებია.

უკეთეს დღეში არც თავისუფლად მოჭიდავეთა ნაკრებია. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მათ მხოლოდ ერთი შეკრება გაიარეს ისევ და ისევ სეოკის შემწეობით. დეპარტამენტი გუნდს სამი შეკრების მოწყობას კი შეჰპირდა, მაგრამ ერთი უკვე ჩაუვარდა. არც ის იცის დანამდვილებით ვინმემ, ის ორი შეკრება მოეწყობა თუ არა. დეპარტამენტმა ამ ნაკრების ოთხი წევრი პოლონეთში გაგზავნა საერთაშორისო ტურნირში სასპარეზოდ. დანარჩენებისთვის ფული ვერ გამოიძებნა. „ბერძენ-რომაელ“ კოლეგებთან შედარებით ესენი უკეთეს დღეში მხოლოდ დროის თვალსაზრისით არიან — მათი მსოფლიოს პირველობა ოქტომბრის ბოლოს თურქეთში გაიმართება. ოლიმპიური ლიცენზიები იქაც იმავე პრინციპით გაიცემა — საუკეთესო ოქტეტზე.

**ირაკლი თავაძე**

# რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

ასეთი ამბავი საუკუნეში ერთხელ ხდება — 19 ოქტომბერს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში ქართული სპორტის ასწლოვანი ისტორია გაცოცხლდება. სწორედ ამ დღეს გაიმართება საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების, მწვრთნელების, გუნდების და სპორტის მოღვაწეთა დაჯილდოების ცერემონიალი. რეფერენდუმის პირველ ნომინაციაში („საქართველოს საუკუნის სპორტსმენი“) გამარჯვებულთა ვინაობა უკვე ცნობილია. წარმოგიდგენთ ლაურეატებს

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

**დავით გობეჯიშვილი**

თავისუფალი ჭიდაობა

*დაიბადა 1963 წლის 3 იანვარს ონის რაიონის სოფელ ხურუთში. სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის სამგზის (1985, 1986, 1988) ჩემპიონი, ორგზის (1985, 1990) მსოფლიოს ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი (1986), ევროპის ჩემპიონი (1985), კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი (1986), მსოფლიოს თასის სამგზის (1986, 1987, 1988) მფლობელი, სეულის ოლიმპიადის (1988) ჩემპიონი, ბარსელონის ოლიმპიადის (1992) ბრინჯაოსმედალოსანი*



1. ყველაზე ტკბილად მოსაგონარი სეულის ოლიმპიადაზე გამარჯვებაა, ყველაზე გულდასაწყვეტი კი ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე მარცხი, რომელმაც მასემეზე უკეთესი ადგილის დაკავების შანსი დამაკარგვინა.
2. ქართული სპორტი მართლაც კრიზისშია, მაგრამ ჯერ დაღუპული არაა. მას ნიჭიერი მომავალი ეზრდება. სახელმწიფო უფრო მეტად უნდა დაეხმაროს სპორტს. საზღვარგარეთ ყველა ქვეყანას სპორტით და კულტურით იცნობენ, ამიტომ არ შეიძლება მისი ბიუჯეტი 4 მილიონი ლარით განისაზღვრებოდეს. 15-20 მილიონი ლარი მაინცაა საჭირო სპორტის იმ დონეზე ასაყვანად, 10-20 წლის წინ რომ იყო.
3. ვიქტორ სანეევი, ლევან თედიაშვილი, გივი კარტოზია; ნონა გაფრინდაშვილი, ნინო სალუქვაძე, ნინო დუმბაძე.



# ქართველ სპორტსმენებს სუფთა ხელები აქვთ

## ხელის ჭუჭყი არა და არ ეკარებათ

ამ უქმეებზე საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები პოლონეთის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. ნაკრების ყოველი ნაბიჯი თავისთავად საყურადღებოა, მაგრამ ახლა ამ ინტერესს ერთი გარემოებაც აძლიერებს — ოქტომბრის დასაწყისში ანკარაში მსოფლიოს ჩემპიონატია, სადაც პირველი რვა ადგილი ოლიმპიურ ლიცენზიასაც იძლევა. პოლონური ტურნირი ამ უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო. თუმცა რაღა მზადებაზეა ლაპარაკი, როცა არაა დაფინანსება, არ ტარდება შეკრებები, ვერ მიდიან ტურნირებზე... დროდადრო აქა-იქ თუ გამოკრთება შეჯიბრი ან შეკრება და მაშინაც წასვლის წინა დღეს თუ მიიღებენ საბოლოო პასუხს. ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაზა თურმანიძე პოლონეთის ტურნირსა და გუნდის პრობლემებზე გვესაუბრება.



ზაზა თურმანიძე

**— პოლონეთის ტურნირიდან დაბრუნებულს სათქმელი უთუოდ გექნებათ...**

— ცოტა შორიდან დავიწყებ. ჩვენ მზადების გეგმა ადრევე წარვუდგინეთ სპორტის დეპარტამენტს, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ შეგვისრულა. იმ გეგმაში ეს ტურნირი გათვალისწინებული იყო როგორც საკონტროლო. ევროპის ჩემპიონატის მერე ხომ არსად გვიასპარეზია. ამიტომ პოლონეთში სრული გუნდის წაყვანა მინდოდა, მაგრამ... ფული არ გვქონდა. წასვლის წინა დღეს დეპარტამენტში არავინ იყო ისეთი, ვინც ჩვენი პრობლემის მოგვარებას შეძლებდა. შევბულებაში იყვნენ. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი დაგვეხმარა, რომელმაც ოთხი სპორტსმენი, მე და ერთი მსაჯი დაგვაფინანსა. რადგან სრული გუნდით ვერ მივდიოდით, ამიტომ პოლონეთში ისინი წავიყვანეთ, ვისაც ევროპის ჩემპიონატის მერე არსად ესპარეზათ: გიორგი გაგიშვილი (54), დავით პოლოსიანი (63), რევაზ მინდორაშვილი (76) და ალექსანდრე მოდებაძე (მძიმე). ასე წვალებით წავედით ვარშავაში, სადაც ძალიან ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. იქ არ იყო მხოლოდ თურქეთის გუნდი და რუსეთის პირველი ნაკრები, თუმცა მისი რამდენიმე წევრი კი გამოდიოდა. მათ გარდა თითქმის მთელი ევროპა ჩამოვიდა, რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკები დამოუკიდებელი გუნდებით ასპარეზობდნენ. იყვნენ აზიელებიც, თუმცა არასრული გუნდებით.

**— ჩვენებმა როგორ იჭიდავეს?**

— ყველაზე კარგად მძიმეწონოსანი ალექსანდრე მოდებაძე გამოვიდა, რომელმაც დაამარცხა გერმანელი, ვლადიკავკაზელი, სლოვაკი მეტოქეები და ფინალში გავიდა. იქ მისი მეტოქე ერთ დროს ჩვენებური, ახლა კი უკრაინის სახელით მოასპარეზე მერაბ ვალიევი იყო. სამწუხაროდ, მოდებაძემ ის შეხვედრა 0:3 წააგო.

ყველაზე მეტად მაინც დავით პოლოსიანის გამოსვლა გვაინტერესებდა. მან ამ ცოტა ხნის წინ საზარდულის ოპერაცია გაიკეთა. გვინდოდა, გვენახა, როგორ იჭიდავებდა ოპერაციის მერე. სამწუხაროდ, მას არც წილისყრამ გაუმართლა და არც მსაჯებმა დაინდეს. მასთან ჯგუფში მსოფლიოს ექსჩემპიონი და ევროპის წლევანდელი ჩემპიონი, უკრაინელი ელბრუს თედეევი მოხვდა. დათო მას თავიდან 2:0 უგებდა და ძირითადი დრო ასეც დამთავრდა. დაინიშნა დამატებითი დრო, სადაც ოსმა მსაჯებმა თავიანთი სიტყვა თქვეს. მათ ჯერ ერთი ქულა არ ჩაუთვალეს პოლოსიანს, მერე თედეევს არარსებული ორი ქულა მიანიჭეს და ანგარიში გაათანაბრებინეს. შეხვედრის ბოლოს დათომ გარისკა და მეტოქემ კონტრილეთზე გამოიჭირა. ასე ჩარჩა პოლოსიანი ჯგუფში. ჯგუფიდან ვერც გაგიშვილი გავიდა, რომელმაც ერთი შეხვედრა კი მოიგო, მაგრამ მეორეში დამარცხდა. მინდორაშვილი ჯგუფიდან გავიდა, მაგრამ მერე წააგო და ტურნირს გამოეთიშა.

**— პოლოსიანისთვის ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის პერიოდი როგორ მიმდინარეობს?**

—ნორმალურად. სრულიად ჯანმრთელია, თვადაუზოგავად ვარჯიშობს და ოპტიმისტურადაა განწყობილი. ჩვენც ვთვლით, რომ ამ წონაში მედლის მოპოვება შეუძლია, ოღონდ ხელის შეწყობა სჭირდება მომზადებაში. საამისოდ აქამდეც საკმაო უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ... თუ მაინც მოხედავენ, რაღაც იქნება.

**— 54-ში ახალი სახელი გამოჩნდა — გიორგი გაგიშვილი...**

— ოღონდ მისი გამოჩენა ამ წონიდან გოჩა კირკიტაძის ამოგდებას არ ნიშნავს. ნაკრებში მათ შორის ძლიერი მოხვდება, რასაც საკონტროლო შეხვედრა გამოავლენს.

**— ანკარაში წასაყვანი გუნდის ბირთვი, ალბათ, უკვე შერჩეული გეყოლებათ.**

— ძირითადი ბირთვი მართლაც ცნობილია. გასარკვევი მხოლოდ ორი წონითი კატეგორიაა, სადაც ყველაფერი საკონტროლო შეხვედრების მერე გაირკვევა. ანკარაში წავლენ ოთარ თუშიშვილი (58), დავით პოლოსიანი (63), ემზარ ბედინეიშვილი (69), გოჩა ჩიხრაძე (85), ელდარ კურტანიძე (97) და ალექსანდრე მოდებაძე (მძიმე). ჯერჯერობით გასარკვევია 54 და 76 კილოგრამ წონითი კატეგორიების ლიდერთა ვინაობა. პირველ წონაში, როგორც გითხარით, გიორგი გაგიშვილი და გოჩა კირკიტაძე იბრძვიან, მეორეში — რევაზ მინდორაშვილი და ალექსანდრე კახნიაშვილი. მათ შორის გამარჯვებული საკონტროლო შეხვედრებით გაირკვევა.

**— მოსამზადებელ ეტაპზე რას იტყვით?**

— ევროპის მერე მხოლოდ ერთი შეკრება მოვახერხეთ ურეკში, რომელიც ოლიმპიურმა კომიტეტმა მოგვიწყო. ერთი უკვე ჩაგვეშალა, ერთიც ხვალ უნდა დაგვეწყოს ბორჯომში, თუ ფული მოგვცეს. ამ გაურკვევლობის გამო მუდამ დაძაბულები ვართ მწვრთნელებიც და სპორტსმენებიც. წავალთ, თუ ვერ წავალთ, ყოველთვის ესაა ჩვენი საფიქრალი. ახლაც სამ სექტემბერს ბორჯომში შეკრება უნდა დაგვეწყოს და ორში კიდევ არ ვიცით, გაგვიშვებენ თუ არა. რომ გაგვიშვან, ხალიჩებია წასალები, იქ დარბაზს მცირე რემონტი სჭირდება, დასუფთავება, მოვლა. ამ ყველაფერზე მერე უნდა ვირბინო. ეს სპორტსმენებზეც მოქმედებს, ამ დროს კი მათ სიმშვიდე სჭირდებათ. აი, ესაა ჩვენი მზადება. ფულს თუ ვერ გვაძლევენ, პირდაპირ მაინც გვითხრან.

**— ასეთ პირობებში გეგმებზე წინასწარ საუბარი ცოტა ძნელია, მაგრამ ალბათ თურქეთში ტურისტებად წასვლაც არ გსურთ.**

— გვინდა, რაც შეიძლება მეტი ლიცენზია მოვიპოვოთ. ამასთან, არც მედლებზე ვიტყვით უარს. წარმატების მიღწევა რამდენიმე კაცს შეუძლია. ყველა თავდაუზოგავად ვარჯიშობს, სერიოზულად ემზადება მსოფლიოს ჩემპიონატისთვის.

**ირაკლი თავაძე**

# ყველამ თავის ოცდაათს მიხედოს

რაგბის მსოფლიოს თასის დაწყებამდე დიდი დრო აღარ რჩება. ყველა გუნდი, ფავორიტებიც და მარცხისთვის წინასწარ განწირულებიც, გამალებით ემზადება ტურნირისთვის. უამრავი ტესტი იმართება, რათა მწვრთნელებს საშუალება მიეცეთ, ოპტიმალური შემადგენლობები შეარჩიონ. თუმცა ზოგიერთი ნაკრების თავკაცმა უკვე გადაწყვიტა, ვინ წაიყვანოს მსოფლიოს თასის დასკვნით ეტაპზე. დღეს გაგაცნობთ ოთხი გუნდის შემადგენლობას. ამ ოთხეულიდან ყველას, სულ ცოტა, ნახევარფინალში მოხვედრა აქვს დაგეგმილი, ავსტრალია და ახალი ზელანდია კი საბოლოო გამარჯვების უპირველეს კანდიდატებადაც ითვლებიან.



ჯონა ლომუ

### ავსტრალია

ოცდაათ რჩეულ „ვოლაბს“ შორის 17 შერკინების ოსტატია და 13 უკანახაზელი. მწვანე კონტინენტის ნაკრების კაპიტანი 1991 წელს მსოფლიოს თასის მომგები ჯონ ილზი იქნება. მის გარდა იმდროინდელი გუნდიდან კიდევ სამი მორაგბე დაიცავს ავსტრალიის ღირსებას — ფილ კირნსი, ტიმ ჰორნა და ჯეისონ ლითლი.

საკმაოდ დიდი მოულოდნელობა იყო, რომ საბოლოო შემადგენლობაში ტომ ბოუმენი ვერ მოხვდა, არადა, იგი ავსტრალიაში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ მორაგბედ არის შერაცხული. თუმცა, ეტყობა, „ვოლაბების“ თავკაცობა მის მიერ ჩატარებულმა სეზონმა და სადღეისო ფორმამ ვერ დააკმაყოფილა.

ავსტრალია მსოფლიოს თასის პირველ მატჩში 3 ოქტომბერს რუმინეთს დაუპირისპირდება.

წინა ხაზი: ჯონ ილზი (კაპიტანი), ენდრიუს ბლიეიდზი, დენ კროული, მეტ კოკბეინი, მარკ კონორსი, მაიკლ ფოლი, ოუენ ფინეგენი, დევიდ გიფინი, რიჩარდ ჰარი, ფილ კირნსი, ტუტე კეფუ, პატრისიო ნორიეგა, ჯერემი პოლი, ბრეტ რობინსონი, ტიაან სტრაუსი, დევიდ უილსონი, ჯიმ უილიამსი;

უკანა ხაზი: ჯორჯ გრეგანი (ვიცე-კაპიტანი), მეტიუ ბურკი, ნატან გრეი, დენიელ ჰერბერტი, ტიმ ჰორანი, როდ კეფერი, სტივენ ლარკჰემი, კრის ლეტემი, ჯეისონ ლითლი, ჯო როფი, სკოტ სტენიფორთი, ბენ ტიუნი, კრის უაიტეკერი.

### ახალი ზელანდია

„ოლ ბლექსის“ შემადგენლობაში, რომელიც ორშაბათს გამოაქვეყნეს მისმა თავკაცებმა, თითქმის არანაირი მოულოდნელობა არ არის. ყველა, ვისაც კი ეკუთვნოდა მსოფლიოს თასზე წასვლა, აქაა. ახალი ზელანდიის ეროვნული ნაკრები წინასატურნირო შეკრებას 8 სექტემბერს დაიწყებს თავის ქვეყანაში. ორიოდ კვირაში კი, 23 სექტემბერს, ის დიდ ბრიტანეთში გაემგზავრება, სადაც პირველ მატჩს ჩვენთვის კარგად ნაცნობ ტონგასთან გამართავს.

წინა ხაზი: ენდრიუ ბლაუერსი, რობინ ბრუკი, კრეიგ დაუდი, გრეგ ფიკი, მარკ ჰემეტი, კარლ ჰოფტი, იან ჯონსი, ჯოშ კრონფელდი, ნორმ მაქსველი, კის მეუვსი, დაილენ მიკა, ენტონ ოლივერი, ტეინე რენდელი (კაპიტანი), სკოტ რობერტსონი, რეუბენ ტორნი, როის უილისი;

უკანა ხაზი: პიტა ალატინი, ტონი ბრაუნი, კრისტიან კალენი, რაის დუგენი, დერილ გიბსონი, ალამა იერემია, ბაირონ კელეჰერი, ჯონა ლომუ, ჯასტინ მარშალი, ენდრიუ მერთენსი, გლენ ოზბურნი, კარლოს სპენსერი, ტანა უმაგა, ჯეფ უილსონი (ვიცე-კაპიტანი).

### ინგლისი

ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის კლივ ვუდვორდის რჩეულთა შორის ერთის ყოფნა ნამდვილად მოულოდნელობაა. 34 წლის ვიქტორ უბოგუ თუ მსოფლიო თასზე ითამაშებდა, ძნელი წარმოსადგენი იყო. სამაგიეროდ, „ბათში“ მისი თანაგუნდელი ბენ კლარკი, მიუხედავად თავისი 37 კეპისა, ნაკრებში ვერ მოხვდა. ვუდვორდმა გამოცდილ მორკინალს ახალგაზრდა ჯო უორსლი ამჯობინა, ვისაც თავისი ქვეყნის ღირსება არასოდეს დაუცავს სანაკრებო დონეზე.

საბოლოო შემადგენლობაში ორი მორაგბე ჯერ კიდევ შეიძლება შეიცვალოს. კაირენ ბრეკენი და გერეტ არჩერი მცირედად არიან ტრავმირებულნი და შეიძლება, თუ მსოფლიო თასის დაწყებამდე სრულად ვერ მომჯობინდნენ, მათი ადგილი სხვებმა დაიკავონ.

ბოლო დროს ნარკოტიკებთან დაკავშირებულ სკანდალში გახვეული ინგლისელთა ექს-კაპიტანი ლოურენს დალალიო, რაგბის ნაღდი ქომაგების გასახარად, ნაკრების თავკაცმა ოცდაათი კაცის სიაში ჩართო და რეაბილიტაციის საშუალება მისცა.

წინა ხაზი: რიჩარდ ჰილი, ლოურენს დალალიო, ნილ ბეკი, ჯო უორსლი, მარტინ კორი, ნილ მაკარტი, გერეტ არჩერი, დენი გრუკოკი, მარტინ ჯონსონი (კაპიტანი), ტიმ როდბერი, დარენ გერფორტი, ჯეისონ ლეონარდი, გრეჰემ რაუნთრი, ვიქტორ უბოგუ, ფილ ვიკერი, რიჩარდ კოკრილი, ფილ გრინინგი;

უკანა ხაზი: ნიკ ბილი, მეტ პერი, ოსტინ ჰიილი, დენ ლუგერი, დევიდ რიისი, მაიკ კეტი, ფილ დე გლენვილი, უილ გრინვუდი, ჯერემი გასკოტი, ჯონი უილკინსონი, პოლ გრეისონი, მეტ დოისონი, კაირენ ბრეკენი.

### შოტლანდია

სკოტების ნაკრები უკანასკნელ ხანებში გამართული ტესტების შემდეგ დაკომპლექტდა. არგენტინასთან წაგების შემდეგ მისი კარი რამდენიმე მორაგბისთვის დაიხურა, ხოლო რუმინეთთან გამარჯვებისას თავგამოჩენილებიდან სუყველა ითამაშებს მსოფლიოს თასზე.

წინა ხაზი: გორდონ ბალოკი, პოლ ბარნელი, ჯორჯ გრეჰემი, სტიუარტ გრაიმსი, დევიდ ჰილტონი, მარტინ ლესლი, კემერონ მეტერი, სკოტ მიურეი, ბადჯ პუნტნი, ენდი რიდი, სტიუარტ რეიდი, რობერტ რასელი, გორდონ სიმპსონი, ტომ სმიტი, პიტერ უოლტონი, დუდი ვეირი;

უკანა ხაზი: გერი არმსტრონგი (კაპიტანი), იან ფეირლი, დანკან ჰოჯი, ჯონ ლესლი, კენი ლოგანი, შონ ლონგსტაფი, ჯეიმს მაკლარენი, ჯემი მეიერი, გლენ მეტკალფი, კემერონ მიურეი, კრის პატერსონი, ბრაიან რედპეტი, ალან ტეიტი, გრეგორ თაუნსენდი.

**გაგი გურული**



ეროვნული ბიბლიოთეკა




კოჯი ოსავამ ჯანო ბაგრატიონს სანიმუშოდ „მიზუნოს“ ეს ჩანთა გადასცა

# კოჯი ოსავა მიზუნოსთან გვაახლოვებს

ოლიმპიური თამაშებისთვის სამზადისი მხოლოდ სპორტულ ბაზებზე ვარჯიშითა და ოფლისღვრით არ შემოიფარგლება. სამზადისს სხვა მრავალი საზრუნავიც ახლავს, მათ შორის სპორტსმენთა ჩაცმა-ალკაზმულობაც, რაც მეორეხარისხოვანი სულაც არ არის. ლაზათიანად ჩაცმულ-დახურული ათლეტი თავისი ქვეყნის თავისებური სახეა. ამიტომაც საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი ამ მხრივ კარგა ხანია ფიქრობს და პრაქტიკულ ნაბიჯებსაც დგამს.

შარშან ნაგანოს ზამთრის ოლიმპიური თამაშების დღეებში ტოკიოში სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა, გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა და იაპონია-საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტმა კოჯი ოსავამ სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის ჩვენი ქვეყნის ეკიპირების საკითხებზე იმსჯელეს. მაშინ გამოითქვა სურვილი, რომ ჩვენი დელეგაციაც საქვეყნოდ ცნობილ იაპონურ ფირმა „მიზუნოს“ ჩაეცვა და დაეხურა. კოჯი ოსავამ ამ საქმეში ქართველებს დახმარება აღუთქვა. თავის მხრივ „მიზუნოც“ დაინტერესებულა ქართველ ოლიმპიელთა სპონსორული ეკიპირებით.

ეს საუბარი ამ ზამთარს კოჯი ოსავასა და მის თანმხლებ ბიზნესმენთა თბილისში სტუმრობისას გაგრძელდა. იაპონელები გუშინაც ეწვივნენ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, სადაც კიდევ ერთხელ განიხილეს ჩვენი ოლიმპიელების ეკიპირების საკითხი. მათ მასპინძლებს უჩვენეს ამ ეკიპირების რამდენიმე ნიმუში, ესკიზები.

ეტყობა, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ოლიმპიელებს მართლაც „მიზუნის“ ეკიპირებით ვიხილავთ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ავტორის ფოტოები




მოგწონთ? გვეკითხება კოჯი ოსავა „მიზუნოს“ ამ ნაწარმზე






ლორან ჟალაბერი

# ჟაჟა ეპიზოდის კაცი არ არის

## ჟალაბერი მოულოდნელად გამოჯანმრთელდა და «ვუელტაზეც» თანახმაა

რამდენიმეკვირიანი ყოყმანის და ექიმთა მეთვალყურეობით ვარჯიშის შემდეგ მსოფლიოს კლასიფიკაციაში პირველ საფეხურზე მყოფმა ფრანგმა მრბოლმა ლორან ჟალაბერმა „ვუელტაში“ მონაწილეობა გადაწყვიტა. მისი ესპანური გუნდის „ონსეს“ სპორტულმა დირექტორმა, მანოლო საისმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჟაჟა გუნდის ლიდერი იქნება ესპანელ აბრაამ ოლანოსთან ერთად. თუმცა, რომელი მათგანის გამარჯვებისთვის იმუშავებენ „ონსეს“ გრეგარები, ჯერჯერობით უცნობია. ალბათ, ვინც უკეთ დაიწყებს სეზონის მესამე უმთავრეს ტურნირს, გუნდიც მისი წარმატებისთვის იბრძოლებს. ეს კი სულ ორიოდ დღეში გახდება ცნობილი, რადგან „ვუელტა“ ხვალ იწყება.

თუ გახსოვთ, ჟალაბერი საკმაოდ მძიმედ დაშავდა ესპანეთში გამართულ „კასტილიისა და ლეონის ტურის“ ერთ-ერთ ეტაპზე. იგი სრულიად უწყინარ სიტუაციაში ჩამოვარდა ველოსიპედიდან და ლაწვისა და საფეთქლის ძვლები გაიტეხა. როგორც მისი გუნდის ექიმებმა განაცხადეს, ფრანგი მრბოლი გადაღლისა და პაპანაქების მსხვერპლი გახდა. ეტაპის მიმდინარეობისას მას გონება დაბინდვია და ამიტომაც წაქცეულა.

ჟალაბერს ინტენსიურად მკურნალობდნენ და უკვე კარგა ხანია, საკმაო დატვირთვებით ვარჯიშის უფლებაც მისცეს. უკანასკნელმა სამედიცინო შემოწმებამ ცხადყო, რომ ჟაჟა ფაქტობრივად გამოჯანმრთელებულიყო და „ვუელტაში“ მონაწილეობის ძალაც შესწევდა. მის მიერ ჩვეული ფორმის ასე მალე აღდგენა, ტრავმის სერიოზულობის გათვალისწინებით, ნამდვილად მოულოდნელი იყო.

ახლა ყველა სპეციალისტს ერთი კითხვა აწუხებს — შეძლებს კი ჟალაბერი, რომელიც ველოსიპედს 16 აგვისტოს დაუბრუნდა და ჩვეულ წონაზე სამი კილოთი მძიმეა, ესპანეთში ფავორიტთა შორის ყოფნას? თუმცა ეს საკითხი თითქმის არ აღელვებს „ონსეს“ ხელმძღვანელობას. „ჟალაბერი ის სპორტსმენი არაა, „ვუელტა“ დაიწყოს და ყოველი ეტაპი ოცწუთიანი ჩამორჩენით დაამთავროს. ის ტურნირში იმიტომ მონაწილეობს, რომ მთავარი როლი ითამაშოს, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ხნით იძულებითი დასვენება მის შედეგებს თავიდან, ალბათ, დაეტყობა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მისი იმედი გვაქვს“ — განაცხადა ბატონმა საისმა.

**დავით დაიაური**

# ავსტრალიური სასწაული

## არცერთი დღე ურეკორდოდ!

ავსტრალიელმა მოცურავეებმა სპორტის ამ სახეობაში ამერიკელთა ჰეგემონიის დამხობა ეტყობა მსოფლიოს რეკორდების დამყარებითაც გადაწყვიტეს. კანბერაში მიმდინარე ავსტრალიის ეროვნული ჩემპიონატის დღეებში მაიკლ კლიმმა, მეტიუ დანმა, ტოდ პერსონმა და ბილ კირზიმ 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით საცდელ გაცურვაში, როგორც გუშინ ვიუწყებოდით, მსოფლიოს რეკორდი დაამყარეს. დაიწყო ეროვნული ჩემპიონატი და 25-მეტრიან აუზში, მსოფლიოს რეკორდზე უკეთესი მაჩვენებელი სამჯერ აღინიშნა.

სუზან ო'ნეილმა 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში თებერვალში, შვედეთის ქალაქ მალმოში დამყარებული თავისივე რეკორდი (2.05,37) თითქმის ერთი წამით გააუმჯობესა — 2.04,43.

მაიკლ კლიმი, რომელიც ცურვის საერთაშორისო ფედერაციის მიერ ახალ საცურაო კოსტიუმზე აკრძალვას არაფრად დაგიდევთ, კვლავინდებურად ამ ჰიდროდინამიკურ ფორმაში ასპარეზობს, რითიც 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მსოფლიოს რეკორდსმენის ტიტული დაიბრუნა — 50,99 და ინგლისში, შეფილდში 1998 წლის დეკემბერში დამყარებული რეკორდი 51,02 დაამხო. თუმცა, ახალმოდურ საცურაო კოსტიუმის გამოყენების გამო მას ალბათ რეკორდს არ დაუმტკიცებენ.

შეფილდშივე 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (24,13), რომელიც გერმანელ ტომას რუპართის ეკუთვნის, მეტ ველშმა გაიმეორა.

მაგრამ ყველაზე დიდი მოულოდნელობა უკვე მრავალგზის მსოფლიოს რეკორდსმენის სიდნეელი თინეიჯერის იან ტორპის გამოსვლა იყო. მან წყნარი ოკეანის თამაშებზე მსოფლიოს ოთხი რეკორდით რომ გაგვაკვირვა, განაცხადა, კანბერაში ჰიდროდინამიკური კოსტიუმით გამოვალ და რეკორდი მერე ნახეთო, მაგრამ 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში თავის ამგვარ შედეგამდე (1.43,28) თითქმის ერთი წამი დააკლდა.

ბიგა ბურასაყვილი



მაიკლ კლიმმა მსოფლიოს რეკორდი შარვლიანმაც დაამყარა



სუზან ონეილი სარეკორდო გაცურვისას





ოქროს ლიგას და მილიონს მარიონ ჯონსი სევილიაში გამოეთხოვა



გაბრიელა საბო



უილსონ კიპკეტერი

# მილიონს ორნილა ეპოტინებიან

ოქროს ლიგის რიგით მეექვსე ტურნირი, რომელიც დღეს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში გაიმართება, თანამედროვეობის უგამორჩეულეს მძლეოსან ქალს, ამერიკელ მარიონ ჯონსს მოისაკლისებს. სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე 100-მეტრიან სპრინტში ოქროს მომგებმა ჯონსმა 200 მეტრის ნახევარფინალში ზურგის ტრავმა მიიღო და სწორედ ამ მიზეზით გამოაკლდება დღევანდელ შეჯიბრს.

„მარიონისთვის სეზონი დამთავრდა. ზურგის ტრავმის მოშუშება იოლი არაა და მას კიდევ მოუწევს მკურნალობა" — განაცხადა ვილფრედ მეერტმა, ბრიუსელის ტურნირის ორგანიზატორმა. ბატონ მეერტს ძალიან კი უნდოდა, ბრიუსელში „მძლეოსნობის დედოფალსაც" ერბინა, მაგრამ იმედები გაუცრუვდა. ჯონსის შესახებ მას ოთხშაბათ საღამოს აცნობეს.

მარიონ ჯონსმა სევილია ერთი კვირის წინ დატოვა და სამშობლოში გაემგზავრა, რათა მკურნალობის ინტენსიური კურსი ჩაეტარებინა, მაგრამ ექიმებმა მას საკმაო ხნით აუკრძალეს სარბენ ბილიკებზე გასვლა. მსოფლიოს ჩემპიონატზე ამერიკელმა მძლეოსანმა 100 მეტრზე ოქროს გარდა ბრინჯაოც მოიპოვა სიგრძეზე ხტომაში და ამ ორი მედლით დაკმაყოფილებამ მოუწია. არადა, ტურნირის დაწყებამდე იგი ოთხი უმაღლესი ჯილდოს მოპოვებას იქადნებოდა, რაც აქამდე ვერავის მოუხერხებია. ჯონსს პირველობა 200-მეტრიან დისტანციაზე და 4X100 მეტრ ესტაფეტაშიც ჰქონდა განზრახული, მაგრამ...

ახლა ოქროს ლიგის სუპერჰონორარის — მილიონი დოლარის მოგების შანსი ორ ათლეტს — რუმინელ გაბრიელა საბოსა და დანიელ უილსონ კიპკეტერს დარჩათ. შეგახსენებთ, რომ ეს ფულადი ჯილდო იმ სპორტსმენებზე ნაწილდება, რომლებიც ოქროს ლიგის შვიდივე ტურნირში შეძლებენ ერთსა და იმავე დისციპლინებში გამარჯვებას. ბრიუსელამდე მილიონი დოლარისთვის ოთხნი იბრძოდნენ — ჯონსის, საბოსა და კიპკეტერის გარდა კენიელ ბერნარდ ბარმასაისაც შეეძლო დიდძალი ფულის მოხვეჭა, მაგრამ აფრიკელი გულუბრყვილო, უფრო — სულელურმა ლაქლაქმა დაღუპა. ციურიხული ეტაპის მოგების შემდეგ მან განაცხადა, რომ მისი ჯობნა თანამემამულე კრისტოფერ კოსკეის შეეძლო, მაგრამ მან სთხოვა და კოსკეიმაც გამარჯვება დაუთმო. ასეთი არაჯენტლმენური საქციელისთვის კი იააფ-ის სადისციპლინო კომისიამ ბარმასაის დისკვალიფიკაცია მიუსაჯა და ისიც ჯიბის შევსების ოცნებას გამოეთხოვა.

ბაიოჭ თალაკვაძე


XX საუკუნის სპორტსმენი

# დაასახელეთ თქვენი რჩეული

ქართული სპორტის ისტორიას მრავალი გამოჩენილი სპორტსმენის სახელი ამშვენებს, მაგრამ ვინ იყო საუკეთესო საუკეთესოთა შორის, ვინ არის გულშემატკივრის რჩეული?

ამ კითხვაზე პასუხს გაგვცემს სპორტის მოყვარულთა სატელეფონო გამოკითხვა, რომელსაც *საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია* აწყობს *კომპანია „მეგაკომთან"* ერთად.

ჩვენი ტელეფონებია: 99-94-09, 97-36-60, 97-36-61, 97-36-62.

დარეკეთ სამუშაო დღეებში, 11-დან 15 საათამდე.

**დარეკეთ და დაასახელეთ თქვენი რჩეული!**

გამოკითხვის შედეგები გამოქვეყნდება 19 ოქტომბერს, სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

*ამონაწერი რეფერენდუმის დებულებიდან: „საგანგებო ნომინაციაში ლაურეატი (ერთი სპორტსმენი) ვლინდება სპორტის გულშემატკივართა გამოკითხვით. გამარჯვებულად ცხადდება სპორტსმენი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს. ლაურეატს ენიჭება ტიტული — „გულშემატკივრის რჩეული".*

სარეფერენდუმო კომიტეტი,
საქართველოს სპორტულ
ჟურნალისტთა ასოციაცია

მეგაკომი


# არ გინდოდათ სტალინგრადი?!

## ის, რაც ზვიად დავითიანს უკვირს, სულაც არ უკვირს ვოლგოგრადის მილიციას

— ვინ? ჟივჩიკოვი? რამე ხომ არ გეშლებათ? ნორმალური ბიჭია, კარგი სპორტსმენი, რუსეთის ნაკრებშიც იყო... მძარცველის არაფერი ეტყობოდა...

ამჟამად თბილისში მყოფ ქართველ წყალბურთელს ზვიად დავითიანს ძალიან გაუკვირდა, თავისი ყოფილი თანაკლუბელის, რუსეთის ჩემპიონ ვოლგოგრადის „სპარტაკ-ლუკოილის" წევრის დენის ჟივჩიკოვის ამბავი რომ შეიტყო. ვოლგოგრადის მილიციას კი არაფერი უკვირს. თუმცა ამაზე ცოტა ქვემოთ, მანამდე კი ეს ამბავი, ზვიადი ანუ „კიჭა" რომ გააოცა.

23 წლის ვოლგოგრადელი წყალბურთელი დენის ჟივჩიკოვი, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, ქალაქის მილიციამ შეიარაღებული ძარცვის ბრალდებით დააკავა. დააკავა მას შემდეგ, რაც ძარცვის მცდელობისას ორგან დაჭრეს.

— ის ეჭვმიტანილია შეიარაღებულ თავდასხმაში — განაცხადეს ვოლგოგრადელმა სამართალდამცავებმა, რომელთაც დიდი ხანია, აღარ აკვირვებთ სპორტში მოსაქმიანე ხალხისა და კრიმინალიტეტის გზების გადაკვეთა ან სულაც აღრევა.

ვოლგოგრადი რუსეთის კრიმინალური სამყაროს დედაქალაქად იქცა — წუხან ახალი რუსული ცხოვრებით გულშეღონებული მოქალაქენი, მხცოვანნი კი იმ დროს იხსენებენ, როცა მათ ქალაქს სტალინგრადი ერქვა და „ყველაფერი წესრიგში იყო". ახლა კი...

ამ ცოტა ხნის წინ ქალაქის გარეუბანში წაიყვანეს და ცემით კინაღამ სული ამოხადეს საფეხბურთო კლუბ „როტორის" პრეზიდენტის ვაჟს...

შარშან „როტორისავე" მოთამაშეს ოლეგ ვერეტენიკოვს და მის ორი წლის გოგონას მჟავა შეასხეს...

რუსეთის წყალბურთელთა ნაკრების კაპიტანი სერგეი მარკოჩი საკუთარ ბინაში სამმა უცნობმა უმოწყალოდ გალახა...

... ჟივჩიკოვს კი ამჟამად მილიცია მეთვალყურეობს, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

ბიგა ბურასაყვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# US OPEN

## მეორე წრე

### ქალები

სერენა უილიამსი (7, აშშ) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 6:4, 6:2; მონიკა სელეში (4, აშშ) — სილვია ფარინა 6:2, 6:3; ჟული ალარი (9, საფრანგეთი) — ფანგ ლი (ჩინეთი) 6:2, 6:4; ემი ფრეზერი (აშშ) — ნატაშა ზვერევა 6:2, 6:4; მაგუი სერნა (ესპანეთი) — სანდრინ ტესტიუ (14, საფრანგეთი) 6:3, 6:3; კონჩიტა მარტინესი (6, ესპანეთი) — ალექსია დეშამი (საფრანგეთი) 6:0, 6:0

### კაცები

ანდრე აგასი (2, აშშ) — აქსელ პრეტჩი (გერმანია) 6:3, 6:2, 6:1; რიჩარდ კრაიჩეკი (12, ჰოლანდია) — ლორენცო მანტა (შვეიცარია) 6:2, 6:4, 6:1; მარსელო რიოსი (10, ჩილე) — ჯორჯ ბასტლი (შვეიცარია) 4:6, 6:3, 6:2, 6:3; ნიკოლას კიფერი (15, გერმანია) — მიხაელ კოლმანი (გერმანია) 6:3, 6:2, 6:2; ანდრეი მედვედევი (უკრაინა) — სებასტიენ ლარუ (კანადა) 6:4, 6:1, 6:0; ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) — უეინ არტურსი (ავსტრალია) 6:2, 6:4, 6:7 (5:7), 6:4


REUTERS ნიუ იორკიდან

მაგუი სერნამ განთესილი სანდრინ ტესტიუ შეიწირა


REUTERS კლივლენდიდან

# ჩხუბი კლივლენდში

*პირდაპირ ჰოკეი გეგონება კაცს! ამგვარი ჩხუბი ჰოკეიში ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ბეისბოლში?! ბეისბოლშიაც ყოფილა. „კლივლენდ ინდიანზისა“ და „ინაჰაიმ ეინჯელზის“ თამაშისას ისეთი ჩხუბი ატყდა, რომ მწვრთნელებიც დაბნეულნი შეიქნენ. უცნობია, ინდიელები მოერივნენ ანგელოზებს, თუ პირიქით. სამაგიეროდ, ცნობილია: მწვრთნელები დიკ პოული და ტერი კოლინზი მოედნიდან გააძევეს, ინდიელთა კარლოს ბაერგა (მარცხნივ) კი თამაშიდან დაითხოვეს. კლივლენდს მაინც მოუგია 14-12.*

## კასპაროვი — მსოფლიო



1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4 ლb4:a4 23. ლf7:h7 კe5:b2 24. ლh7:g6 ლa4-e4 25. ლg6-f7 კb2-d4 26. ლf7-b3 f5-f4 27. ლb3-f7 კd4-e5 28. h3-h4 b6-b5 29. h4-h5 ლc4 30. ლf5+ ლc4-e6 31. ლe6+ მფ:e6 32. g2-g3 f:g3 33. f:g3 b4 34. კf4 კd4+ 35. მფh3 b3 36. g4 მფd5 37. g5



# მცირე ფორმულა



ეს მონცას ტრასაა. აგვისტოს ბოლო დღე. ხვალ დილით ფორმულა ერთის ტესტი გახურდება. 12 სექტემბერს აქ დიდი პრიზის მორიგი ეტაპი გათამაშდება. მაგრამ სანამ ტრასას ბოლიდებით მოსინჯავენ, „მაკლარენ მერსედესი“ თავის ჯადო-პროდუქციას ფორმულა 1-ის ციფრული მართვის მოდელებს წარუდგენს მანქანის გიჟებს.

# ბოლშევიკი სკოლაში

დიქტატორებს უყვართ ხოლმე სახალხოდ თავის გამოჩენა. უყვართ ისეთი უაზრო რამეებიც, „სახალხო დღესასწაული“ რომ ჰქვია. ეგებ არც უყვართ და მხოლოდ სჭირდებათ. ბელარუსის ბოლშევიკი თავკაცის, ალექსანდრ ლუკაშენკოს სკოლის ფიზკულტურის დარბაზში გამოჩენაც ესაა და სხვა არაფერი. მიზეზიც იყო — პირველი სექტემბერი, სწავლის „დღესასწაული“.


REUTERS მინსკიდან

# რონალდო არგენტინაში


REUTERS ბუენოს აირესიდან

რონალდო. მის უკან კი დიდებული ბუენოს აირესი. ბრაზილიის ნაკრები ამ ქალაქში ჩასულა, რათა ტრადიციული, ორმატჩა ამხანაგური სერიის პირველი შეხვედრა გამართოს თავის ძველ და მწარე მეტოქესა და მეზობელთან, არგენტინის ნაკრებთან.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე

უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli